პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 შ.

დ ღ ი უ რ ი

— უნგრეთის პარლამენტმა დაამტკიცა იტალია-უნგრეთის ხელშეკრულება.
— ოსმალეთს და შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა აღდგენილია.
— გაიხსნა „რემედასი"-ს გერმანიის სექციის ყრილობა.
— გაიხსნა წუნაროკაენეს მუშათა კონფერენცია.
— ჩინეთის სახალხო არმია შეტევას აწარმოებს მუკდენის არმიაზე ხენანის რაიონში.
— შანხაიში ჩავიდა ამერიკის ახალი სამხედრო ძალა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 24 მაისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 115 (1860)

ჩემბერლენ-ბრიანის შეხვედრის შემდეგ

ინგლისის დიპლომატია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მოკავშირენი გამონახოს თავის ანტისაბჭოთა კამპანიაში, რომელმაც ლონდონის საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმის სახით უკანასკნელ დროს კვლავ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ის ცდილობს, პირველ ყოვლისა, საფრანგეთთან დაახლოვებას და მის გამოყენებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უმთავრესად ამ მიზანს ისახავდა ჩემბერლენ-ბრიანის შეხვედრა ლონდონში.

კონსერვატიული ინგლისის საფრანგეთთან დაახლოვების ცდა გასაგებია. საფრანგეთი სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე უფრო ძლიერი სახელმწიფოა ევროპაში; მისი ჯარების მონაწილეობის გარეშე ლონდონს მეტად გაუძნელდება ჩვენთან ომის წარმოება, რომლისათვის ის ნიადაგს ამზადებს. ამავე დროს, ინგლის-საფრანგეთის ინტერესთა მწვავე წინააღმდეგობის გამო, რაც ართულებს საერთაშორისო მდგომარეობას თვით ევროპაში, ინგლისის იმპერიალიზმს ხელები გახსნილი ვერ ექნება თავისუფალი აგრესიული მოქმედებისათვის, თუ გინდ ეს მოქმედება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ იყოს მიმართული. ამიტომაა, რომ ინგლისი ცდილობს ამ წინააღმდეგობათა დროებით მაინც შენელებას, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობა; ამიტომაა, რომ ძველი ანტანტის, ე. ი. საფრანგეთ-ინგლისის კავშირის აღდგენის იდეამ უკანასკნელ ხანებში კვლავ წამოჰყო თავი ლონდონის ინიციატივით.

მაგრამ მთელი საკითხი იმაში მდგომარეობს, რამდენათ მოსახერხებელია ამ იდეის განხორციელება, კერძოდ საფრანგეთის აქტიურად ჩაბმა ანტისაბჭოთა ბლოკში? ბრიან-ჩემბერლენის ხსენებული მოლაპარაკება გვიჩვენებს, რომ ეს მოუხერხებელია, ჯერ-ჯერობით მაინც. ამას აშკარად გვამცნევს ევროპის პრესა, თუმცა ოფიციალური ცნობა ინგლის-საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრების შეხვედრის შესახებ ძალიან ძუნწი და ზოგადი ხასიათისაა.

ლონდონის თათბირის ასეთი შედეგი მოულოდნელი არ არის: იმდენად ღრმაა ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობანი, რომ მათი გადალახვა აღემატება ისეთი გაქნილი და გაიძვერა დიპლომატის უნარსაც, როგორიცაა ჩემბერლენი. ამ ორ ქვეყანას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებს დასავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონიისათვის.

ჩემბერლენი ცდილობს საფრანგეთის გადაბირებას გერმანიის ხარჯზე. ინგლისის იმპერიალისტები ბოლოს და ბოლოს თითქო თანხმდებიან ხელი აიღონ გერმანიის „მფარველობაზე" და მხარი დაუჭირონ მის მიმართ საფრანგეთის პრეტენზიებს. მაგრამ საფრანგეთს ეს მცირე საფასურად მიაჩნია. ჯერ ერთი, ბრიანს ესმის, რომ ხვალ თუ ზეგ საფრანგეთი იძულებული გახდება გერმანიასთან თანამშრომლობის გზას დაადგეს, რასაც, სხვათა შორის, საფუძველი ჩაუყარა ორივე ქვეყნის ფოლადის ტრესტის შექმნამ. ეს ტრესტი ისე, როგორც მომავალში მოსალოდნელი სხვაგვარი ეკონომიური დაახლოვება, მიმართულია იქითკენ, რომ საფრანგეთმა (და გერმანიამაც) თავი დააღწიოს ინგლისისაგან სამეურნეო და, მაშასადამე, პოლიტიკურ დამოკიდებულებას. მეორე, თუ საფრანგეთი ინგლისის საშუალებით მოინდომებს გერმანიის დამონებას, ამას აუცილებლად მოჰყვება ინგლისის გავლენის გაძლიერება საფრანგეთზე, უკანასკნელის გადაქცევა პირველის პოლიტიკის იარაღად, ე. ი. საფრანგეთის მიერ საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობის დაკარგვა ინგლისის სასარგებლოდ, რის წინააღმდეგ ასე იბრძვის საფრანგეთის დიპლომატია. მესამე, საფრანგეთის უფრო გონიერ პოლიტიკოსებს შეგნებული აქვთ, რომ ინგლისის მსოფლიო სიძლიერე თანდათან ეცემა და მაზე გადაჭრილი კურსის აღებამ შეიძლება საფრანგეთს ბოლოს და ბოლოს დიდი ზიანი მიაყენოს.

საფრანგეთი, როგორც ვხედავთ, არ კმაყოფილდება გერმანიის საკითხში მისთვის ინგლისის მიერ მხარის დაჭერით. ის, პირველ ყოვლისა, მოითხოვს ბალკანეთში მისი იმპერიალისტურ ზრახვების გატარებისათვის ხელის შეუშლელობას. მაგრამ როგორც ინგლისი, ისე უფრო მისი მოკავშირე, იტალია, ლამობენ ბალკანეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ დამორჩილებას—და იქედან საფრანგეთის განდევნას. მდგომარეობა ბალკანეთში კვლავ გამწვავებულია და იქ იტალია-საფრანგეთის ომის საფრთხე კიდევ არ არის აცილებული. ბალკანეთზე ჰეგემონიის საკითხში უაღრესად ძნელია ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება. ჯერ ერთი, ლონდონის მთავრობა თვითონ არ შეურიგდება საფრანგეთის გაბატონებას ბალკანეთის ქვეყნებში, რამდენათაც ამით საფრანგეთი გაძლიერდება, შემდეგ: ამ საკითხში დათმობაზე წასვლა ინგლისს ჩამოაცილებდა ისეთ ერთგულ მოკავშირეს, როგორიცაა ფაშისტური იტალია. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ დროს საფრანგეთმა ამ ფრონტზე ერთგვარ გამარჯვებას მიაღწია, რაც გამოიხატა მცირე ანტანტის კონფერენციის შედეგებში. ამ კონფერენციამ საჭიროდ სცნო მცირე ანტანტის სახელმწიფოების თანამშრომლობა და გაილაშქრა იტალიის წინააღმდეგ. საფრანგეთი, ცხადია, ამ გამარჯვებას არ დასთმობს ჩემბერლენის მეტად საეჭვო დაპირებებისათვის.

ამგვარად, ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობანი კვლავ რჩება ძალაში. ეს წინააღმდეგობანი აგრეთვე ნათლად გამოაშკარავდა ჟენევის ეკონომიურ კონფერენციაზე, მაშინ, როცა ჩემბერლენი ბრიანთან აწარმოებდა მოლაპარაკებას მოქმედების საერთო გეზის გამომუშავების შესახებ. ყველაფერი ეს აძნელებს ამ ორი ქვეყნის ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის განხორციელებას, რაც კიდეც ცხადჰყო ლონდონის შეხვედრამ.

ინგლისს უფრო ნაკლები შანსები აქვს ჩვენს წინააღმდეგ ამერიკასთან შეთანხმებისათვის. მათ შორის ურთიერთობა გამწვავებულია, კერძოდ ჩინეთის და ვალების საკითხების გამო.

ამან გამოძახილი ჰპოვა ჟენევის კონფერენციაზეც. სწორედ საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმის შემდეგ გაძლიერდა კონტაქტი საბჭოთა და ამერიკის დელეგაციებს შორის; ამერიკის წარმომადგენლები ზოგიერთ საკითხში ჩვენ გვიჭერენ მხარს ინგლისის წინააღმდეგ, ამასთან მოსალოდნელია მნიშვნელოვანი საკრედიტო შეთანხმებათა მიღწევა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის სამრეწველო-საბანკო ჯგუფებ შორის. თუ ერთი მხრით ეს არის ჩვენი მეურნეობით ამერიკის დაინტერესების მაჩვენებელი, მეორე მხრით ის უეჭველად ანტიინგლისურ დემონსტრაციას წარმოადგენს ამერიკის მხრით.

არას ვიტყვით გერმანიაზე, რომელიც მტკიცედ ატარებს საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობას და არ იჩენს ინგლისის ანტისაბჭოთა იარაღად გახდომის სურვილს, მიუხედავად ჩემბერლენის სათანადო ცდებისა.

ასე რომ ინგლისის მთავრობა დღევანდელ პირობებში ვერ ახერხებს მოკავშირეების გამოძებნას თავის ანტისაბჭოთა პოლიტიკის გასატარებლად. ამავე დროს მას საკმაოდ მძლავრი ოპოზიცია ჰყავს ქვეყნის შიგნით, და ეს არა მარტო მუშათა მასების, არამედ მნიშვნელოვან სამრეწველო-ფინანსიურ წრეების სახითაც, რომელნიც ცხოვლად არიან დაინტერესებული საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ ურთიერთობის შენარჩუნებასა და გაფართოებაში.

თუ, მიუხედავად ამისა, ბოლდუინის მთავრობა მაინც საბოლოოდ დაჰკარგავს გონიერებას და გაბედავს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გაწყვეტას, ამით ის, პირველ ყოვლისა, ინგლისს მიაყენებს აურაცხელ ზარალს და შეარყევს მის საერთაშორისო მდგომარეობას. საბჭოთა მთავრობა კი ძველებურად გააგრძელებს ყველა იმ სახელმწიფოებთან შეთანხმების ცდას, რომელნიც უზრუნველყოფენ იქ ჩვენი ნორმალური საქმიანი მუშაობის შესაძლებლობას. ფაქტები მოწმობენ, რომ ეს ცდა შესაფერ ნაყოფს იღებს და რომ ჩვენი განმარტოების პოლიტიკა, რომელსაც ინგლისელი იმპერიალისტები ატარებენ, მარცხდება.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

გართულებული მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდა უხანის მთავრობა, ამ ბოლო დროს **საგრძნობლად შეიცვალა.** მთელმა რიგმა გამარჯვებებმა სახალხო და რევოლიუციონურ ჯარებისამ შექმნა მეტად ხელსაყრელი პირობები მომავალ რთულ და გადამწყვეტ მნიშვნელობის ოპერაციების **წარმატებით** წარმოებისათვის. ჩვენ აღნიშნული გვქონდა, თუ რამდენად სერიოზულ საფრთხეს უქადიდა გენერალ **სიაო-დუ-ინის ღალატი** იქვე უხანის მთავრობის ზურგს უკან. დღევანდელი დეპეშები გვაუწყებენ, რომ **უხანის მთავრობამ შესძლო ამ ღალატის სრული ლიკვიდაცია. გენერალ სიაო-დუ-ინის ამბოხებული ჯარი განადგურებულია და გაფანტული.** დეპეშის ცნობით, მეამბოხენი, დაქსაქსულნი, სამხრეთისაკენ მიილტვიან. სამხრეთით პროვინცია ხუ-ნანი მდებარეობს, რომელიც სავსებით მომხრეა უხანის მთავრობისა და ამ პროვინციაში გლეხობა თვითონ აწარმოებს ბრძოლას და აქტიურად ეხმარება გუან-დუნის პროვინციაში მომქმედ გლეხების რევოლიუციონურ რაზმებს. ცხადია, რომ ასეთ პროვინციაში გენერალ სიაო-დუ-ინის განადგურებულ ჯარის გადარჩენილი და აქედ გამოქცეული ნაწილები ვერ იპოვნიან თავშესაფარ და სამშვიდობო ადგილს ხუ-ნანის პროვინციაში. ერთი სიტყვით, **მეამბოხე გენერლის ჯარის სრული ლიკვიდაცია** დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს და სიაო-დუ-ინის მაგალითი კარგი გაფრთხილებაა რევოლიუციონურ ჯარის სარდლობაში მოკალათებულ ზოგიერთ მერყევ ელემენტებისათვის.

კარგ დროს მოახერხა უხანის მთავრობამ სიაო-დუ-ინის ღალატის ლიკვიდაცია, რადგანაც უმთავრეს ფრონტით ჩრდილოეთ ხენანში ფინ-იუ-სიანის მიერ დაწყებული რთული და მნიშვნელოვანი. ოპერაცია ვითარდება და სწრაფი ნაბიჯით მიმდინარეობს. **უახლოესი მიზანი ამ ოპერაციებისა ამჟამად არის ჩენ-ჯოუ, პუნქტი,** სადაც ლუნხაის რკინის გზა სჭრის პეკინ-ხანკოუს რკინის გზას. ამ პუნქტის წინააღმდეგ რევოლიუციონური ჯარები შეტევას **ორი** მიმართულებით აწარმოებენ. სახალხო არმია (ფინ-იუი-სიანისა) უტევს მუკდენელებს დასავლეთიდან ლოიანის მხრიდან და დაშორებულია ჩენ-ჯოუდან სულ 80—100 კილომეტრით; ხანკოუდან წამოსული უხანის მთავრობის ჯარები უტევენ მუკდენელებს (და უ-პეი-ფუს დარჩენილ ნაწილებს) სამხრეთიდან და დაშორებული არიან იმავე ჩენ-ჯოუს 100—120 კილომეტრით. დღევანდელი დეპეშის ცნობით ჩენ-ჯოუს წინააღმდეგ პირდაპირი შეტევა და აღება დღე-დღეზე მოსალოდნელია. **აქ უნდა მოხდეს შეერთება ფინ-იუი-სიანის და ხანკოუს ჯარებისა** და, თუ ნამდვილია ცნობა, რომ უ-პეი-ფუს ნარჩენი ჯარები და მათთან ერთად მუკდენელები კაი-ფინისაკენ იხევენ, ე. ი. აღმოსავლეთისაკენ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ჯარებს დაუკარგავთ იმედი პეკინისაკენ მიმავალ პირდაპირი გზის, პეკინ-ხანკოუს რკინის გზის დაცვისა და ირჩევენ მდ. ხუან-ხეს ველით სვლას.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ პროვინცია ხუ-ბეის (მთავარი ქალაქები ხანკოუ და უხანი) და ხუ-ბეის დასავლეთით მდებარე უზარმაზარი პროვინცია სი-ჩუანი, სადაც ამ ბოლო დრომდეს ჯერ კიდევ ნავარდობდენ უ-პეი-ფუს მომხრე მილიტარისტები. ეს მილიტარისტები ნავარდობდენ მდ. იან-ცე-ციანის ზემო ნაწილით და მუდმივ საშიშროებას წარმოადგენდენ უხანის მთავრობისათვის და სწორედ მათ ასალაგმებლად გაგზავნილი იყო თავისი ჯარებით სიაო-დუ-ინი, რომელმაც უღალატა უხანის მთავრობას, პირიქით შეტევა დაიწყო უკანასკნელის წინააღმდეგ. როგორც უკვე ვიცით, უხანის მთავრობამ მოახდინა ამ ღალატის ლიკვიდაცია, თავის მხრით ფინ-იუი-სიანის **დამხმარე ჯარებს** (უნდა ვიგულისხმოთ გლეხობის შეიარაღებული რაზმები) გაუწმენდიათ მდ. იან-ცე-ციანის ზემო ნაწილი მილიტარისტების ბრბოებისაგან და აგრეთვე საბოლოოდ გაუნთავისუფლებიათ პროვინცია ხუ-ბეის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი უ-პეი-ფუს მომხრეებისაგან. ამ რიგად დასავლეთის მხრით სახალხო არმიას და უხანის მთავრობის ჯარებს თითქოს საშიშროება თავიდან აცილებული აქვს.

ფინ-იუი-სიანის **რეგულიარული ჯარები** კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ორგზობათ აწარმოებენ შეტევას ჩენ-ჯოუს მიმართულებით. შექმნილი სტრატეგიული პირობები იმგვარია, რომ ჩენ-ჯოუ აუცილებლად მოკლე ხანში ჩაუვარდება რევოლიუციონურ ჯარებს ხელში და, ეს რასაკვირველია, დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს მეტად კარგი დასაწყისია პეკინისაკენ გალაშქრებისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ პეკინამდე კიდევ ბევრი დაბრკოლების და წინააღმდეგობის დაძლევა დასჭირდება ამ ჯარებს.—არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროვინციაა ჩილის (სადაც პეკინი მდებარეობს), დასავლეთით მოსაზღვრეთ გადაჭიმულია საკმაოდ დიდი პროვინცია შან-სი, რომლის მფლობელის პოზიცია და მიდრეკილება დღემდე საბოლოოდ გამორკვეული არ არის და ამ პროვინციის ჯარი კი რიცხვით 100 ათასზე მეტია. ერთ დროს დეპეშებში გაკვრით იყო ცნობა, ვითომ პროვინცია შანსის მფლობელი შეჰპირდა ჩან-კაი-შის დახმარებასაო. რამდენად მართალია ეს არ ვიცით, მაგრამ რომ ფინ-იუი-სიანი იძულებული იქნება მთელი თავისი ოპერაციების განმავლობაში გულისყური პროვინცია შან-სისაკენაც იქონიოს —ეს აშკარაა. ეს გარემოება, რასაკვირველია, გავლენას იქონიებს სამხედრო მოქმედების ინტენსიობაზე.

აღმოსავლეთით, ნანკინ-პუკოუს მიმართულებით, ჩან-კაი-ში, დეპეშების ცნობით, განაგრძობს შეტევას ნანკინ-ტიანძინის რკინის გზის მიმართულებით ჩან-ცუ-ჩანის წინააღმდეგ. უკანასკნელი უკან იხევს და ჯარებს აჯგუფებს პენპუში, სადაც მოსალოდნელია გადამწყვეტ მნიშვნელობის ბრძოლა. აღსანიშნავია ჩან-კაი-შის შეტევის მეტად ნელი ტემპი. კარგა ხანია, რაც იწყო ეს შეტევა ჩან-კაი-შიმ, მაგრამ ჯერ კიდევ პუკოუს დიდი მანძილით არ გაშორებია. და თუ ჩან-კაი-შის მართლა სწადია ჩრდილოელ მილიტარისტების საგრძნობი დამარცხება. მაშინ პირიქით, რაც შეიძლება ჩქარი ნაბიჯით უნდა ეწარმოებინა შეტევა, რადგანაც ჩან-ცუ-ჩანი აგრერიგად სერიოზული ძალას არ წარმოადგენს და ჩან-კაი-შის მოკლე ხანში ლუნხაის რკინის გზაზე გამოსვლა კაიფინთან მომქმედ მუკდენელების ჯარებს მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩააგდებდა.

ი. გედევანიშვილი.

კონფერენციის კომისიაში გაიმარჯვა ამერიკის წინადადებამ ინგლისის წინააღმდეგ

მიღებულ ფორმულას სთვლიან საბჭოთა დელეგაციის გამარჯვებათ

მოელიან მსხვილ საკრედიტო შეთანხმებას ამერიკელ ფინანსისტებსა და საბჭ. სამეურნეო ორგანიზ. შორის

ციურიხის მუნიციპალიტეტმა მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირთან სავაჭრო მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ

ეკონომიური კონფერენცია

საბჭოთა დელეგაციის გამარჯვება

ჟენევა, 22 მაისი, საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის შესათანხმებელმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდენ კონფერენციის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, აგრეთვე ყველა კომისიების თავმჯდომარეებ და მომხსენებლები, მიიღო შემდეგი ფორმულა კონფერენციის საერთო რეზოლიუციაში შესატანად:

„კონფერენცია აღიარებს მსოფლიო ვაჭრობის აღდგენის მნიშვნელობას და თავს იკავებს რა ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხების განხილვისაგან, კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა ქვეყნების დელეგატების მონაწილეობას, მიუხედავათ ეკონომიურ სისტემათა სხვადასხვაობისა, ერთა მშვიდობიან ეკონომიურ თანამშრომლობის საუკეთესო სიმპტომათ სთვლის. **თავისთავად ცხადია, რომ რამდენათაც რუსეთის დელეგატებმა ხმა მისცეს პირველ სამ რეზოლიუციას, დანარჩენ რეზოლიუციებს ძალა არა აქვთ საბჭოთა კავშირის მიმართ".**

ფორმულა მიღებულ იქნა ამერიკის დელეგაციის მოთხოვნით და მისი უახლოესი მონაწილეობით. ინგლისის დელეგატები გამოვიდნენ ფორმულის წინააღმდეგ, საფრანგეთის დელეგატებმა პასიური წინააღმდეგობა გაუწიეს მას, ხოლო გერმანიის წარმომადგენლები გულგრილად შეხვდენ.

ერთა ლიგის წრეებში ფორმულის მიღებას საბჭოთა დელეგაციის გამარჯვებათ სთვლიან.

ამერიკის დელეაგტების პოზიცია ყველასათვის მოულოდნელი იყო, შესაძლოთ სთვლიან მსხვილ გარიგებების დადებას ამერიკის ფინანსისტებსა და საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებს შორის.

ბერლინი, 22 მაისი. საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისთან შეთანხმებული ფორმულის მიღებას გერმანიის პოლიტიკურ წრეებში საბჭოთა დელეგაციის მნიშვნელოვან გამარჯვებათ სთვლიან.

„ინდუსტრი უნდ ჰანდელსცეიტუნგ" სწერს:

„მიღებულ ფორმულას უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს. ის ნიშნავს რუსეთის ეკონომიურ სისტემის ცნობას. ამ ფორმულის მიღება საბჭოთა დელეგაციის მნიშვნელოვან გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა ინგლისში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით".

კონფერენციის მონაწილეთა წრეებში ფიქრობენ, რომ კონფერენციის მუშაობის წარმატებით დამთავრება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო გარიგებების გამრავლებას. **განსაკუთრებით გაძლიერდება ინტერესი კრედიტის საკითხისადმი.**

ახალი გართულება

ბერლინი, 22 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„იმის შემდეგ, რაც მიღწეულ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირის საკითხში, კონფერენციის წარმატებით დამთავრება თითქოს უზრუნველყოფილი იყო. მიუხედავად ამისა 22 მაისის სხდომაზე მდგომარეობა ისევ გართულდა, ვინაიდან საბჭოთა დელეგაციამ უარყო ყველა კომისიების მოხსენებები. ერთა ლიგის დაინტერესებულ წრეებს იმედი აქვთ, რომ მოხსენებებისათვის საერთო კენჭის ყრის დროს შესაძლო გახდება სიძნელეთა დაძლევა" (ადს).

საბჭოთა დელეგაციის დეკლარაცია კარტელების შესახებ

ჟენევა, 22 მაისი. ეკონომიური კონფერენციის სამრეწველო კომისიამ მიიღო რეზოლიუცია კარტელების შესახებ, რომელიც წარმოადგინა სარედაქციო კომისიამ. რეზოლიუციის წინააღმდეგ ხმა მისცა საბჭოთა დელეგაციამ და ამსტერდამელებმა; ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების დელეგაციამ თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან.

სოკოლნიკოვმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ საერთაშორისო კარტელების შექმნის პროცესი უეჭველად გაამწვავებს ბრძოლას მონოპოლისტურ ორგანიზაციებს შორის და გააღრმავებს წინააღმდეგობას მსოფლიოში გაბატონების მსურველ სახელმწიფოებს შორის. შეთანხმება მეურნეობის მშვიდობიან საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ შეუძლებელია მწარმოებელთა გაერთიანებებისათვის, მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ სახელმწიფოებში, სადაც მეურნეობა მშრომელების ხელშია. იმ საფრთხეს, რომელსაც უქადის კარტელების შექმნა მასებს, მოსპობს მხოლოდ პროლეტარიატის პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციების გაძლიერება და პროფმოძრაობის მთლიანობის სწრაფი განხორციელება. საბჭოთა სამეურნეო ორგანოები არ გაურბიან მონაწილეობას საერთაშორისო შეთანხმებებში, რომელთა შიგნით ისინი დაიცავენ მუშების, მომხმარებელ მასების და აგრეთვე იმ ქვეყნების ინტერესებს, რომელთაც დაბეჩავებას უქადის მონოპოლისტური კაპიტალი.

ღირსეული პასუხი საბჭ. კავშირის მუშების არამკითხე დამცველს

საფრანგეთის დელეგატ პეირიმოფის გამოლაშქრების საპასუხოდ სოკოლნიკოვმა ციფრებით უარჰყო ცილისწამება, თითქოს საბჭოთა კავშირში მუშები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან და გაკვირვება გამოსთქვა, რომ პეირიმოფი, რომელიც მაღაროების პატრონთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარეა, საბჭოთა კავშირის მუშების დაცვას კისრულობს. სოკოლნიკოვმა განაცხადა, რომ უმჯობესი იყო პეირიმოფი ასე მოქცეულიყო ნულანსის დროს.

თავმჯდომარე და დამსწრეები სიმშვიდეს იჩენდენ, მიუხედავათ იმისა, რომ სოკოლნიკოვის სიტყვის კილო შედარებით მკაცრი იყო.

მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ

მოლაპარაკება საერთო რეზოლიუციაში საბჭოთა დელეგატების მიერ გამოთქმულ სურვილების შეტანის შესახებ გრძელდება. არის შანსები, რომ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება, თუმცა ადგილი აქვს მოლაპარაკების გაჭიანურების ცდებს, რათა საბჭოთა მოთხოვნილებების უარყოფით საბჭოთა დელეგაციას არ მიეცეს კონფერენციის დატოვების საბაბი და უზრუნველყოფილ იქნეს მისი დარჩენა კონფერენციის დამთავრებამდე. კონფერენციის დახურვა განზრახულია 24 მაისისათვის (ადს).

ინგლისის გამარჯვება, საფრანგეთის დამარცხება

ბერლინი, 22 მაისი. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ის კორესპონდენტი ჟენევიდან იტყობინება, რომ პოლიტიკური ბრძოლა ეკონომიურ კონფერენციაზე დამთავრდა ინგლისის სრული გამარჯვებით. ინგლისის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუციები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ კონფერენციამ თითქმის ერთხმად მიიღო.

წინადადება კარტელებზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ, რასაც თავგამოდებით იცავდა ლუშერის ჯგუფი, უარყოფილ იქნა. რეზოლიუციები მრეწველობის რაციონალიზაციის და მრეწველობის სხვა საკითხების შესახებ შეიცავენ მხოლოდ ზოგად ადგილებს, რომლებით არ ზღუდავენ ინგლისში არსებულ პირობებს.

„ინგლისმა, სწერს კორესპონდენტი, გაიმარჯვა კონფერენციაზე, რასაც ხელი შეუწყო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების დელეგაციის პასივობამ და იმ დახმარებამ, რომელიც მას გაუწია გერმანიის დელეგაციამ. **კონფერენციის საბოლოო პოლიტიკური შედეგი — ეს არის საფრანგეთის დამარცხება**" (ადს).

კონფერენციის პლენარული სხდომა

ჟენევა, 22 მაისი. 21 მაისს გაიხსნა ჟენევის საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის პლენარული სხდომა. ჯერ-ჯერობით მიღებულია კომისიების მიერ მოწონებული რეზოლიუციები. საბჭოთა დელეგატები გამოდიან თვითეულ რეზოლიუციის განხილვის დროს და ასაბუთებენ თავის შეხედულებებს და მოსაზრებებს.

თავდასხმის შემდეგ

ხიკსი ახალ ყალბ დოკუმენტებს ამზადებს

ლონდონი, 22 მაისი, მუშათა პარტიის წევრმა, მაკდონალდის კაბინეტის საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფ. ამხანაგმა პონსონბიმ „დეილი ჰერალდის" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„ზინოვიევის წერილის" შემდეგ, მე ეჭვის თვალით უყურებ ცნობას, რომ თითქოს არკოსსა და სავაჭრო წარმომადგენლობაში აღმოაჩინეს რაღაც საიდუმლო დოკუმენტები. პოლიციის საიდუმლო განყოფილება, რომელსაც დავალებული აქვს ამ საქმის შესრულება მუდამ იმაზე ზრუნავს, რომ გაამართლოს თავისი არსებობა, ხოლო დღევანდელი შინაგან საქმეთა მინისტრის სახით, პოლიციას ჰყავს მისტიფიკაციის შედეგების საუკეთესო განმადიდებელი" (ადს).

უთანხმოება მთავრობის და ვაჭარ-მრეწველთა წრეებში

ლონდონი, 22 მაისი, „დეილი ჰერალდი" აღნიშნავს, რომ კაბინეტის მეორე ხარისხოვან წევრებს, რომლებზედაც ზეგავლენას ახდენენ უფრო შეურიგებელი მინისტრები, უჭირავთ მერყევი პოზიცია. ერთ-ერთ მათგანს გაზეთი მიაწერს ცინიკურ შენიშვნას, რომ რუსეთთან ურთიერთობის შეწყვეტა არის ერთადერთი გამოსავალი იმ უხერხულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ხიქსმა ჩააგდო მთავრობა.

„დეილი ჰერალდის" სიტყვით, მთავრობის ზომიერ ელემენტებს შველის ერთი გარემოება—**ზოგიერთ სამრეწველოდ და საფინანსო წრეების ენერგიული გაფრთხილება, რომ ურთიერთობის გაწყვეტა რუსეთთან გამოიწვევს დიდ ეკონომიურ შედეგებს. საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, აგრეთვე, თვით ბანკირების და ინგლისის მრეწველთა ფედერაციის შორის.**

დასასრულ „დეილი ჰერალდი" აღნიშნავს იმ შიშს, რომელიც გამეფებულია უცხოელ დიპლომატიურ წრეებში. ერთ-ერთმა დიპლომატმა განუცხადა წერილის ავტორს, რომ ურთიერთობის შეწყვეტა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ევროპას 10 წლით მაინც კიდევ დაახევინებს უკან. (ადს).

„რამოდენიმე დღის საკითხი"

პარიზი, 22 მაისი. საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები ხთავსებენ ლონდონიდან მიღებულ კორესპონდენციას. რომლის თანახმად ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს საბჭოთა კავშირთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება. ინგლისის მთავრობის ეს ნაბიჯი გამოჰქვეყნდება პარლამენტში არკოსის შესახებ შეკითხვის შეტანის დროს.

ამხ. ბოევი

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობის აღმასრულებელი ინგლისში

„ეკო დე პარი"-ში პერტინაქსი სწერს:

„ინგლის საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტა—რამოდენიმე დღის ან კვირის საკითხია. ინგლისი არ დაკმაყოფილდება მარტო სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტით, ვინაიდან დიპლომატიურ ურთიერთობას ის იმდენად აფასებს, რამდენადაც მას თან სდევს ვაჭრობა. ინგლისი ფიქრობს, რომ საფრანგეთი ანგარიშს გაუწევს მას. ამიტომ დღევანდელ პირობებში საფრანგეთის მიერ სესხის მიცემა საბჭოთა კავშირისათვის შეფასებული იქნება, როგორც ინგლისის გამოწვევა.

უნდა ვიფიქროთ რომ საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკება უნაყოფოდ დასრულდება. გარდა ამისა ინგლისი ფიქრობს, რომ არ შეიძლება დათმობა გერმანიისათვის, რადგან ეს უდრის ერთ იმ ორ სახელმწიფოთაგანის გაძლიერებას, რომლებიც იბრძვიან ჰეგემონიისათვის ომის შემდეგ დროინდელ ევროპაში" (ადს).

ჯოინსონ ხიკსის ზურგს უკან—ნავთის მრეწველები

ლონდონი, 22 მაისი. რეაქციონური „დეილი მეილი" მოწინავეში აცხადებს, რომ **„საბჭოთა ნავთის იმპორტმა ინგლისში იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ საფრთხეს უმზადებს ინგლისის მრეწველობას".**

გაზეთი აცხადებს, რომ მან გამოუშვა პლაკატები, რომლებიც უნდა გამოიკრან იმ გარაჟებში, სადაც არ ჰყიდიან საბჭოთა ნავთს. პლაკატს აწერია: „აქ საბჭოთა ნავთი არ იყიდება".

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ამ პლაკატის მისაღებად მივიდა „დეილი მეილის" კანტორაში, რომელმაც არ მისცა ის.

ფიქრობენ, რომ ანტისაბჭოთა კამპანიას, რომელსაც ოლივერ ლოკერ-ლემპსონი ხელმძღვანელობს, ხელს უწყობენ ნავთის მსხვილი ფირმები. (ადს).

შვეიცარია-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ჟენევა, 22 მაისი. კომუნისტების და სოციალ-დემოკრატების 53 ხმის უმრავლესობით ბურჟუაზიულ პარტიების 44 ხმის წინააღმდეგ, **ციურიხის მუნიციპალიტეტმა მიიღო კომუნისტების რეზოლიუცია, რომელშიაც შვეიცარიის მთავრობას წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განახლების შესახებ** (ადს)..

ლატვია-საბჭ. კავშირის მოლაპარაკება

რეველი, 22 მაისი. რეველში ჩამოვიდა ესტონეთის ელჩი ლატვიაში **სელკიამა**, რომელმაც პრესის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა, რომ **ლატვიაში ოპტიმისტურად უყურებენ მოსკოვში წარმოებულ მოლაპარაკებას ლატვიასა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. საგარანტიო ხელშეკრულება,—** სელკიამას აზრით,—**დადებულ იქნება ესტონეთთან შეთანხმებით**" (ადს).

ინგლის-ამერიკის დამოკიდებულების გამწვავება

(წერილი ინგლისიდან).

ჩინეთის კრიზისის შედეგი იყო, სხვათა შორის, ინგლისისა და შეერთებული შტატების ურთიერთობის გამწვავება. პოლიტიკური და კომერციული მოსაზრებების გამო ამ უკანასკნელმა უარი სთქვა ინგლისს გაჰყოლოდა აშკარა შეტევითი პოლიტიკის წარმოებაში ახალი ჩინეთის წინააღმდეგ. როგორც ჩემბერლენმა განაცხადა, ამერიკის წინააღმდეგობის წყალობით ლონდონის მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია და უარი ეთქვა ძალმომრეობის პოლიტიკაზე, რომლის წარმოება მას უნდოდა შორეულ აღმოსავლეთში.

ამ იძულებულმა უკან დახევამ გამოიწვია ის გაბოროტება, რომელიც აშკარათ სჩანს ლონდონსა და ვაშინგტონს შუა გაცვლილ ნოტებში, სადაც ომის დროინდელი ვალების საკითხები ირჩევა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ ვალის საკითხი ააშკარავებს უკმაყოფილებას ორ დიდ ანგლო-საქსონურ სახელმწიფოს შორის. შარშან საქმე ლანძღვა-გინებით დასრულდა; ინგლისელები ამერიკელებს მევახშეებს უწოდებდენ.

წრეულს კამათი დაიწყო ამერიკის ფინანსთა უწყების სეკრეტარის (მინისტრის) მელონის წერილის გამო; ეს წერილი მიმართული იყო კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორებისადმი, რომელნიც ვალების ხელშეკრულებათა გადასინჯვას მოითხოვდენ. თავის წერილში მელონმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ამერიკა არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმება ვალების შემცირებასო; რაც შეეხება კერძოდ ინგლისს, მის მიერ ამერიკის ვალის ნაწილ-ნაწილ გადახდა გავლენას არ ახდენს სახელმწიფოს სალაროზე, მიტომ რომ ინგლისი გერმანიიდან მეტს ღებულობს, ვიდრე ამერიკას აძლევსო.

ჩერჩილმა გაფთრებულ ნოტაში უარჰყო მელონის ციფრების სისწორე. კამათი შესწყდა, მიტომ რომ ამერიკამ ამაყად უარი სთქვა მის გაგრძობაზე.

სხვა დროს ამ კონფლიქტს მხოლოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ექნებოდა. დღეს ის პირველხარისხოვან მნიშვნელობას ღებულობს, მიტომ რომ ინგლისი და ამერიკა ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან ჩინეთის საქმეებში. მას შემდეგ, რაც ამერიკის ოპოზიცია იმდენათ გაძლიერდა, რომ მისი დამალვა აღარ შეიძლება, ინგლისის საგარეო საქმეთა უწყებისა და მის მიერ შთაგონებული პრესის ტონი სავსებით შეიცვალა. სანამ ინგლისს იმედი ჰქონდა, რომ ამერიკა მას მიემხრებოდა, ან ყოველ შემთხვევაში, ხელს არ შეუშლიდა ჩინეთში, ის „ჩაურევლობის" პოლიტიკას აწარმოებდა ამერიკული იმპერიალიზმის მიმართ, რომელიც ცენტრალური ამერიკის დაპყრობას სცდილობს. მაგრამ ბოლო დროს ინგლისური ოფიციალური და ოფიციოზურ გაზეთებს აშკარად იერიშები მიაქვთ ამერიკის წინააღმდეგ: ისინი აშკარათ ამბობენ, რომ ინგლისის ინტერესები მოითხოვს შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მადას საზღვარი დაედოს შუა ამერიკაშიო.

„ტაიმსმა" ამ ცოტა ხნის წინათ დაბეჭდა ორაზროვანი სიტყვებით სავსე წერილი და, სხვათა შორის, აღიარა, რომ „მექსიკის საკითხი, რასაკვირველია, მრავალ სიძნელეს შეიცავსო". აშკარაა, რომ ეს ამერიკის ნიშნის მოგება იყო.

წინააღმდეგობა ამ ორ სახელმწიფოს შორის უფრო ღრმაა, ვიდრე გარეგნულათ სჩანს. შეერთებული შტატების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ლონდონში ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ ამერიკას არ სურს ინგლის-ამერიკის კავშირის დამყარებაო.

თუმცა დროგამოშვებით ორ დიდ ანგლო-საქსონურ სახელმწიფოს შორის თითქო კეთილმეზობლური განწყობილება მყარდება. მაგრამ დიდი ქიშპობა მაინც თავს იჩენს, მიტომ არსებითად დოლარსა და გირვანქა სტერლინგს შორის ომი სწარმოებს და ინგლისი გულის ტკივილით უცქერის დოლარის სასწაულებრივ მსვლელობას ევროპაში, სადაც წინათ სტერლინგი ბატონობდა.

კ. დავიდ.

ლონდონი, 1927 წ. 13 მაისი.

ვერ შეთანხმდნენ

პესიმისტური განწყობილება პარიზში და ლონდონში

ბერლინი, 22 მაისი. „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგის" ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ბრიანისა და ჩემბერლენის თათბირის შემდეგ, ლონდონის პოლიტიკურ წრეებში მეტად პესიმისტური სულიერი განწყობილებაა გამეფებული.

გერმანული გაზეთების პარიზელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პარიზში აღარავინ აღარ მალავს იმ უკმაყოფილებას, რომელიც **გამოწვეულია ინგლის-საფრანგეთის ოფიციალური ცნობის მოკლე შინაარსით ლონდონის შეხვედრის შესახებ.** საერთო აზრი ასეთ ფორმებში ყალიბდება: ინგლისის მთავრობამ გადასდო გადაწყვეტილების გამოტანა რუსეთის საკითხზე, და ამითვე დაამტკიცა, რომ **მოლაპარაკებამ** ცალკე საკითხებზე ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო.

ამტკიცებენ, რომ ბრიანი და ჩემბერლენი ვერ შეთანხმდენ ვერც ერთ საკითხში და რომ ამ საკითხების შემდგომი განხილვა გადადებულია ბრიანისა და ჩემბერლენის ახალ შეხვედრამდე ივნისში ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე ჟენევაში

ლონდონის შეხვედრის დროს მისი მონაწილეები მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ყველა ცალკე სადაო საკითხების გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადასწყვეტს ინგლისის მთავრობა ინგლის-საბჭოთა საკითხს. ჩემბერლენს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ამ საკითხის გადაწყვეტის ხასიათი, რადგან მის გარშემო თვით ინგლისის მთავრობაში დიდი აზრთა სხვადასხვაობაა. (ადს).

მუკდენის ჯარების დამარცხება

უხანის მთავრობის მდგომარეობა მტკიცეა.

ხანკოუ, 22 მაისი. უცხოეთის იმპერიალისტური პრესის და სააგენტოების **ცნობები უხანის მთავრობის კატასტროფიულ სამხედრო მდგომარეობის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს.** ცნობები თვით უხანისათვის არსებულ საფრთხის შესახებ გადაჭარბებულია. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულია. უხანი ამჟამად ყოველმხრივ გარშემორტყმულია მტრების მიერ. დასავლეთით სი-ჩუანის მხრიდან ხუ-ბეის პროვინციის დასავლეთ ნაწილში შეტევა დაიწყო ნაციონალური მთავრობის მოღალატე იანსენმა. ხენანის პროვინცია დაკავებული აქვთ მუკდენელებს, რომელთაც შეუერთდა ხენანის ჯარების დიდი ნაწილი, რომლებიც წინად მუკდენელების წინააღმდეგ იბრძოდენ. უხანის მთავრობის დასაყრდენს წარმოადგენს ხუნანი და ხუ-ბეი.

სამხედრო ხელმძღვანელები ძირითად ფრონტათ სთვლიან ხენანის ფრონტს, სადაც რევოლიუციონური არმიის გამარჯვება საშუალებას მისცემს ფინ-იუი-სიანს გააძლიეროს შეტევა მუკდენის წინააღმდეგ. ამიტომ **რევოლიუციონური არმიის მთავარი ძალები ამჟამად თავმოყრილია ხენანის ფრონტზე, სადაც რევოლიუციონურ არმიის შეტევა უკვე დაიწყო და წარმატებით ვითარდება. სამხედრო ხელმძღვანელები დარწმუნებული არიან ახლო მომავალი რევოლიუციონურ არმიას ახალ გამარჯვებებს მოუტანს და გააქარწყლებს უსაფუძვლო ხმებს უხანის მთავრობის დაცემის შესახებ** (ადს).

იმპერიალისტების იმედები ფუჭია.

შანხაი, 23 მაისი. იმპერიალისტების იმედები უხანზე თავდასხმის შესახებ გადაჭარბებულია.

ნაციონალური სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ **ეროვნული მთავრობის ჯარები უხანის დასაცავად საკმაო; ამ ჯარებს შეუძლია წინაღუდგეს ყოველგვარ საფრთხეს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას.** ხუ-ბეიში და ხენანში მოწინააღმდეგეთა მნიშვნელოვანი ძალები არ არის. აქ ყველგან ბატონობს ეროვნული ხელისუფლება. ეროვნული ჯარების შეტევა ჩრდილოეთის მიმართულებით შეუჩერებლად გრძელდება. **ჩენ-ჩჟოუს იერიშს ყოველ წუთში მოელიან.** იან-სენის ოპერაციებს (სი-ჩუანის სამხედრო წრეების წარმომადგენელი) ბოლო მოეღო მდ. იან-ცზის ზემო ნაწილში. ფინ-იუი-სიანის დამხმარე რაზმები ხუ-ბეის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს სწმენდავენ უ-პეი-ფუს ჯარების ნაშთებისაგან და მისი მთავარი ძალები მიიმართებიან ტან-შენ-ჩის ჯარებთან შესაერთებლად, რომ ერთად იქნას წარმოებული შეტევა ჩრდილოელთა წინააღმდეგ (ადს).

ნანკინის მთავრობის ფინანსიური „მოღვაწეობა".

შანხაი, 23 მაისი. ნანკინის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომელიც კრძალავს ხანკოუს ცენტრალური ბანკის განკარგულების მიღებას. ნანკინის მთავრობა იმუშავებს გეგმას „სუნ-იატ-სენის ეროვნული ბანკის" მოსაწყობად, რომელმაც უნდა განაგოს ჩან-კაი-შის კონტროლის ქვეშ მყოფ ყველა პროვინციების შემოსავალი (ადს).

ჩან-კაი-შის ჯარების შეტევა

შანხაი, 22 მაისი. მემარჯვენე გომინდანის გაზეთები იუწყებიან, რომ **ნანკინის არმია მიიწევს ჩრდილოეთისაკენ. ნანკინის არმიამ აიღო ჩან-პა-ლინი, ტიანძინ-პუ-კოუს რკინის გზის ხაზზე, და, აგრეთვე ლოიანი, ლუხო და ტიენ-ჩა-** (ადს).

ფინ-იუი-სიანის არმიის გამარჯვება

შანხაი, 22 მაისი. პეკინში ადასტურებენ ცნობას ფინ-იუი-სიანის მიერ ლოიანის აღებისა და მის მხარეზე გენერალ ლუ-ჩენ-ხუას გადასვლის შესახებ. (ადს).

გლეხთა მოძრაობა ხუბეის პროვინციაში

ხანკოუ, 22 მაისი. ხუბეის პროვინციაში სწრაფი ტემპით ვითარდება გლეხთა მოძრაობა. გლეხთა კავშირების წევრთა რიცხვი, რომელიც მარტში უდრიდა **800.000 კაცს, ამჟამად გაიზარდა 2.200.000 კაცამდე. ხუბეის პროვინციის მაზრების უმეტეს ნაწილში ძალაუფლება ფაქტიურად გლეხთა კავშირების ხელში იმყოფება;** ბევრ მაზრაში გაუქმებულია მმართველობის ძველი სისტემა. **მემამულეები გარბიან ქალაქებში. იყო შემთხვევები, როდესაც მემამულეებმა ნებაყოფლობით გადასცეს გლეხთა კავშირებს თავისი მამულები.** მსხვილ მემამულეთა კონფისკაციაქმნილ მიწებისა და უძრავი ქონების ღირებულება უკვე სჭარბობს 20.000.000 ჩინურ დოლარს. მთელ პროვინციაში გლეხები საჩქაროდ იარაღდებიან და აიარაღებენ მემამულეთა განკარგულებაში მყოფ ძველ გლეხთა რაზმებს. (ადს).

ჩჟან-ცზუნ-ჩანი უკან იხევს

შანხაი, 22 მაისი. **ჩჟან-ცზუნ ჩანის ჯარები განაგრძობენ უკან დახევას ტიანძინ-პუკოუს რკინის გზით ხაზით.** უკანასკნელი ცნობებით, ჩჟან-ცზუნ-ჩანის ჯარები თავს იყრიან პენპუსთან, **სადაც ახლო მომავალში მოსალოდნელია სერიოზული შეტაკება.** (ადს).

ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს შეთანხმება

პეკინი, 22 მაისი. ჩინეთის სააგენტო „აზიატიკი" იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინმა და უ-პეი-ფუმ დასდვეს ხელშეკრულება „შეთანხმებული გამოსვლის შესახებ უხანის კომუნისტების წინააღმდეგ". ამ შეთანხმების თანახმად, უ-პეი-ფუ ჩაიბარებს ხუთ დივიზიას და დაიწყებს შეტევას ხანკოუზე. უ-პეი-ფუს ჯარებს შეუერთდება, აგრეთვე, ნინ-იანის გარნიზონი. (ადს).

ინდოელ რევოლიუციონერების დაპატიმრება შანხაიში

ხანკოუ, 22 მაისი. უხანში დიდი აღშფოთება გამოიწვია ინდოელ რევოლიუციონერების დაპატიმრებამ შანხაიში და ჩან-კაი-შის მიერ ინგლისის სარდლობისათვის დახმარების აღმოჩენამ ამ საქმეში.

ინდოელ კომუნისტების ლიდერმა როიმ ჩან-კაი-შის გაუგზავნა საპროტესტო დეპეშა ასეთი ძალადობის წინააღმდეგ.

„ჩინეთის ტერიტორიაზე ჩინელ ჯარისკაცების მიერ ინდოელების დაპატიმრება,—ნათქვამია დეპეშაში,—და დაპატიმრებულთა გადაცემა ინგლისელ სულთამხუთავების ხელში, წარმოადგენს იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ჩაგრულ ერთა სოლიდარობის დარღვევას, ამ საქმეში დამნაშავე პირთ ჩინელი ხალხი ჩასთვლის თავისუფლების რენეგატებად და იმპერიალიზმის საზიზღარ აგენტებად. (ადს).

დაპატიმრებანი აღ.-ჩ. რკ. გზ. რაიონში

პეკინი, 22 მაისი. ჩეუნ-მელის სააგენტო იუწყება, რომ ხარბინის ხელისუფლებამ მრავალი კომუნისტი დააპატიმრა აღ.-ჩ. რკ. გზ. რაიონში. ცნობაში აღნიშნულია, რომ „54 დაპატიმრებული არის რუსული სკოლის სტუდენტი. ეს სკოლა წინად არსებობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯზე, ხოლო კარახანის ელჩობის დროს, ფინანსიურ დახმარებას საბჭოთა კავშირიდან ღებულობდა".

სააგენტოს ცნობით, დაპატიმრებულნი ამჟამად იმყოფებიან ხარბინის სამხედრო ციხეში.

ამერიკის დამხმარე ძალები

ნიუ-იორკი, 22 მაისი. „ასოშიეტედ პრეს"-ის ცნობით მანილიდან შანხაიში გაიგზავნა 500 ამერიკელი მეზღვაური, ტანკები და ჰაეროპლანები (ადს).

სახალხო არმიის შეტევა.

პეკინი, 22 მაისი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად, **სახალხო არმიამ დასავლეთ ხენანში შეტევა დაიწყო ორ მიმართულებით. სახალხო არმიის სამი კორპუსი მიიწევს ლუნხაის რკინისგზის მიმართულებით. 14 მაისს ამ არმიის ავანგარდი 3.000 კაცის რაოდენობით შევიდა სინანში სამხრეთ მიმართულებით შეტევაზე გადასული სახალხო არმია მიზნად ისახავს ნან-იანის ხელში ჩაგდებას. ნან-იანში მოთავსებულია უ-პეი-ფუს მთავარი შტაბი.**

სახალხო არმიის შეტევა მიზნად ისახავს შეერთებას უხანის არმიასთან, რომელსაც ხელმძღვანელობს ტან-შენ-ჩი. ამის შემდეგ დაწყებულ იქნება საერთო შეტევა პეკინ-ხანკოუს რკინისგზის ხაზის მიმართულებით (ადს).

რევოლიუციონური ჯარების ახალი გამარჯვება.

ხანკოუ, 22 მაისი. რევოლიუციონურმა ჯარებმა ყველა ფრონტებზე სასტიკად დაამარცხეს მოწინააღმდეგენი. **უმთავრეს გამარჯვებებს მიაღწიეს ხენანში, სადაც რევოლიუციონურმა ჯარებმა სამი დღის სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაიჭირეს მდინარე შახოს მთელი რაიონი და სავსებით გაანადგურეს მუკდენის მე-11 და მე-17 კორპუსები.** რევოლიუციონურმა ჯარებმა ხელთ იგდეს ბევრი სამხარი მასალა და სხვა ნადავლი, აგრეთვე რამოდენიმე ათასი ტყვე. მუკდენელები სასწრაფოდ იხევენ კაიფინისა და ხან-ჩჟოუსაკენ. **მოელიან, რომ ამ ქალაქებს რევოლიუციონური ჯარები ამ უახლოეს დღეებში დაიჭერენ.**

ლაო-ხო-კოუს რაიონი ჩრდილო-დასავლეთით ხუ-ბეიდან, სადაც უ-პეი-ფუს ჯარების ზოგიერთი ნაწილები უკანასკნელ დღეებში იჩენდენ აქტივობას, აგრეთვე გაწმენდილია მოწინააღმდეგეთაგან ფინ-იუი-სიანის სპეციალური ნაწილების მიერ, რომლებმაც დასავლეთი ხენანიდან შეუტიეს. **სიაო-დუ-ინის აჯანყება ჩაქრობილია. რკინის გზა უ-ჩანიდან იო-ჩჟოუსაკენ გაწმენდილია მეამბოხეთაგან.** მეამბოხეთა ნაშთები სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაიქცენ; მათ უკან დაედევნა რევოლიუციონური ჯარები. ხენანში რევოლიუციონური ჯარების წინსვლა ჩრდილოეთით გრძელდება. **რევოლიუციონური ჯარების ნაწილები, რომლებმაც იენ-ჩენი დაიჭირეს, განაგრძობენ შეტევას** (ადს).

საიდუმლო შეთანხმება.

შანხაი, 23 მაისი. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ჩან-კაი-შის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მუნიციპალურ საბჭოს შორის მოხდა საიდუმლო შეთანხმება, რომლითაც ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შეუძლიათ უცხოელთა უბნის ტერიტორიაზე იმ პირების დაპატიმრება, რომელთაც დაეძებენ. ამ შეთანხმების ძალით ბევრი დააპატიმრეს (ადს).

დახურულ კარებში.

შანხაი, 23 მაისი. ორი ინდოელ რევოლიუციონერს, რომლებიც დააპატიმრეს რევოლიუციონური გაზეთის გავრცელებისათვის ხანკოუში, გადასცემენ ინგლისის საპოლიციო სასამართლოს. საქმე გაირჩევა დახურულ კარებში (ადს).

მაილს ლემპსონი სდუმს

შანხაი, 22 მაისი. შანხაიში ჩამოვიდა ინგლისის ელჩი პეკინში მაილს ლემპსონ, რომელმაც უარი განაცხადა განემარტა ჟურნალისტებისათვის თავისი ჩამოსვლის მიზანი.

იუწყებიან; რომ **ლემპსონი არ აპირებს ნანკინში გამგზავრებას.**

პეკინში დაპატიმრებულთა ბედი

პეკინი, 22 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით პროკურატურას ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია იმ პირთა საქმის გამოძიება, რომელნიც დაპატიმრებულ იქნენ საბჭოთა საელჩოში. გადაწყვეტილია გამოყოფილ იქნეს ბოროდინის მეუღლის და სამ დიპლომატიურ კურიერის საქმე დამოუკიდებელ პროცესათ, რომელიც დანიშნული იქნება პირველ რიგში.

საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის დაპატიმრებულ თანამშრომელთა შესახებ ინფორმაციის მიღება მეტად ძნელია. უკანასკნელი ცნობების თანახმად დაპატიმრებულთა სიცოცხლე საფრთხეშია. **პატიმართა დაკითხვის დროს ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალდატანებას.** დამზვერავ განყოფილების უფროსი იანი პატიმარ ბაისკისაგან მოითხოვდა მისთვის საჭირო ჩვენებებს და ემუქრებოდა მას რევოლვერით. პატიმართა უმრავლესობას დღესაც აჩნია დაპატიმრების დროს ცემისაგან დალურჯებული ადგილები. **ტუბერკულიოზით ავადმყოფს მოროზოვს დაპატიმრების დროს იმდენი სცემეს, რომ პოლიციაში ის უგრძნობათ მიიყვანეს** (ადს).

ავსტრია-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება

ვენა, 23 მაისი. ვენის ახალი მუნიციპალიტეტის პირველ სხდომაზე ვენის ქალაქის თავმა ზეიცმა საპროგრამო სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა:

„ვენის მუნიციპალიტეტი ყველა საშუალებებით შეეცდება ხელი შეუწყოს ავსტრიის ექსპორტის განვითარებას საბჭოთა კავშირში. თუ გვინდა, რომ გავაძლიეროთ ჩვენი მრეწველობა და ხელოსნობა, ამისათვის ჩვენ უნდა გამოვნახოთ ახალი გზები. **გერმანიამ, რომელმაც მისცა საბჭოთა კავშირს საგრანტიო სესხი, გვიჩვენა კარგი გაკვეთილი იმისი, თუ როგორ უნდა შევუწყოთ ხელი ჩვენი ექსპორტის განვითარებას საბჭოთა კავშირში.** ვენის მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომები ავსტრიის ექსპორტის სწრაფი განვითარებისათვის“ (ადს).

წყნარ-ოკეანეს მუშათა კონფერენცია

კონფერენციის გახსნა.

ხანკოუ, 22 მაისი. კანტონიდან **წყნარ-ოკეანეს მუშათა კონფერენციაზე დასასწრებათ ჩამოვიდა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს დელეგაციის მეორე ნაწილი ლოზოვსკის მეთაურობით** და აგრეთვე საფრანგეთის დელეგატი. კონფერენცია გაიხსნა 20 მაისს. ამჟამად უხანში იმყოფებიან ჩინეთის, საბჭოთა კავშირის, იაპონიის, კორეის, ინგლისის, შეერთებულ შტატების და საფრანგეთის დელეგატები; მოელიან დანარჩენ დელეგატების ჩამოსვლას. ფიქრობენ, რომ იმ ქვეყნების პროფკავშირები, რომელთაც ვერ შესძლეს დელეგატების გამოგზავნა კონფერენციაზე, შემდეგში შეუერთდებიან კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

კონფერენციის დღის წესრიგში სდგას ამხ. ლოზოვსკის მოხსენება ჩინეთის რევოლიუციის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესახებ; ყველა დელეგაციების მოხსენებები მათ მიერ წარმოდგენილ ქვეყნების პროფკავშირთა მოძრაობის შესახებ; საორგანიზაციო საკითხების განხილვა და წყნარ-ოკეანეს ქვეყნების პროფკავშირთა მუდმივ სამდივნოს შექმნა.

კონფერენციის მოწოდება.

კონფერენციის გახსნის შემდეგ მიღებულ იქნა მოწოდება **„ძალადობის წინააღმდეგ აჯანყებულ ჩინეთის ხალხის მიმართ“**.

„ჩინეთის ფართე მასების ბრძოლას,— ნათქვამია მოწოდებაში, — უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. **როგორც არ უნდა ებღაუჭებოდეს იმპერიალიზმი თავის პრივილეგიებს, რამდენი ჯავშნოსანი, ტანკი, ჰაეროპლანი და ტყვიისმკრქვეველებიც არ უნდა გზავნონ მათ ჩინეთში, მაინც ვერ ჩააქრობენ იმპერიალისტური სახელმწიფოები ჩინეთის ხალხის განმანთავისუფლებელ მოძრაობას, ვინაიდან მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც ხელს შეუშლის თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს გარეკოს თავის ქვეყნიდან თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ყაჩაღები.** კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადასული ჩან-კაი-ში და ბაი-ძუნ-ში, ხვრეტენ რა მუშებს და გლეხებს, ცდილობენ კიდევ [illegible] გააძლიერონ ხალხის მოსისხლე მტრების პოზიცია.

მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს იმპერიალისტების და კონტრ-რევოლიუციების ფრონტი, მას მაინც დამარცხება მოელის.

წყნარ-ოკეანეს მუშათა კონფერენცია კონფერენციაზე წარმოდგენილ პროფკავშირთა ორგანიზაციების სახელით პირობას იძლევა, რომ წარმოდგენილ ქვეყნების მუშები იხმარენ ყოველივე ძალღონეს, რათა დახმარება გაუწიონ ჩინეთის ხალხის დიდ ბრძოლას თავის ნაციონალურ და სოციალურ განთავისუფლებისათვის“ (ადს).

პოლონეთი არჩევნების წინ

ძალმომრეობითი არჩევნები

ვარშავა, 22 მაისი. 21 მაისი, არჩევნების წინა დღე, განირჩეოდა აგიტაციის განსაკუთრებული ინტენსივობით. გაიმართა რამოდენიმე ათეული მიტინგი. პეპეესოველების მიტინგებზე ადგილი ჰქონდა პეპეესოველთა რაზმელების შეტაკებას კომუნისტურად განწყობილ მუშებთან. არიან დაჭრილები და დასახიჩრებულნი. მუშათა რაიონებში ადგილი ჰქონდა შეტაკებას პეპეესოველებსა და კომუნისტებს შორის. **პოლიცია აპატიმრებდა ყველას, ვინც აგიტაციას ეწეოდა მუშათა მემარცხენე ფრთის სასარგებლოდ. პოლიციამ გარეკა ყველა დემონსტრაციები, რომლებიც მოწვეული იყო მუშათა მემარცხენე ფრთის მიერ.** (ადს).

მუშების დევნა

ვარშავა, 22 მაისი. შესდგა კომუნისტების მიერ მოწყობილი საპროტესტო მიტინგი მთავარ საარჩევნო კომისიის მიერ მუშათა მემარცხენე ფრთის სიის გაუქმების წინააღმდეგ. პოლიციამ მიტინგი გარეკა. პოლიციამ გარეკა აგრეთვე აივიაკის საპატიმროს წინ მოწყობილი მიტინგი. დააპატიმრეს მუშები, რომლებიც მოუწოდებდენ ამომრჩევლებს დემონსტრატიულად ხმა მიეცათ მუშათა მემარცხენე ფრთის სიისთვის. (ადს).

ზემო-სილეზიაში

ბერლინი, 22 მაისი. ზემო-სილეზიაში საქალაქო და სასოფლო თვითმართველობების არჩევნების დროს გერმანელ-ამომრჩევლების წინააღმდეგ მიმართეს ძალადობას. ამასთან დაკავშირებით, სილეზიის საოლქო სამმართველოში არჩეულმა გერმანელმა დეპუტატებმა პილსუდსკის გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც სთხოვენ აღადგინოს ცხოვრების კანონიერი პირობები სილეზიაში. (ადს).

დაპატიმრებები ვილნოში

ვარშავა, 22 მაისი. ვილნოში და მის განაპირა უბნებში ადგილი ჰქონდა მრავალრიცხოვან დაპატიმრებებს. დაპატიმრებულთ ბრალს სდებენ კომუნისტურ პროპაგანდაში. (ადს).

იტალია-ჰუნგრეთის ხელშეკრულება

ვენა, 22 მაისი. 19 მაისს ჰუნგრეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა იტალია-ჰუნგრეთის ხელშეკრულება მეგობრობის და არბიტრაჟის შესახებ. სოციალ-დემოკრატების სახელით დეპუტატმა **ვარნეიმ** პროტესტი განაცხადა იმ ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო, რომელიც ამზადებს უნგრეთის წინააღმდეგ მცირე ანტანტას და უნგრეთს აკავშირებს მართვა-გამგეობის სახელგატეხილ სისტემასთან.

ვარნეის გამოსვლამ პალატაში არაჩვეულებრივი ხმაურობა გამოიწვია. სოციალ-დემოკრატებმა მოაწყვეს დემონსტრაცია მუსოლინის წინააღმდეგ.

„ჰუნგრეთი გახდა არა მარტო ინგლისის, არამედ იტალიის კაპიტალის ახალშენიც,—განაცხადა ვარნეიმ. იმ შემთხვევაში, თუ იტალიასთან ომი დაიწყო, უნგრეთი გადაიქცევა ფაშისტური არმიის ბაზისათ. **ფაშისტები ომისთვის ემზადებიან.** იტალია-უნგრეთის კავშირი ნიშნავს ამ ომისათვის მხარის დაჭერას.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ ხელშეკრულება დამტკიცებულ იქნა მთავრობის პარტიის და მთელი ოპოზიციის ხმებით, გარდა სოციალ-დემოკრატების ხმებისა. სოციალ-დემოკრატებმა ხმა მისცეს რატიფიკაციის წინააღმდეგ (ადს).

ამერიკის „მიუდგომელი“

სასამართლო.

ნიუ-იორკი, 22 მაისი. ბეწვეულზე მომუშავეთა კავშირის ცხრა მემარცხენე ლიდერი, რომლებიც გაფიცვის დროს პოლიციასთან შეტაკების გამო დააპატიმრეს, განთავისუფლებული არიან იმ პირობით, რომ ისინი არ გავლენ ქალაქიდან. სასამართლო, რომელმაც გაარჩია მათი საქმე, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განაჩენი გამოტანილი ყოფილა კომუნისტებისადმი მტრული განწყობილების ნიადაგზე (ადს).

ავიო-კატასტროფა

ლონდონი, 22 მაისი. მფრინავი ვარი და გილმენი ინგლისიდან გაფრინდენ და უნდოდათ შეუჩერებლად გადაფრენილიყვნენ ინდოეთში. იმავე დღეს იგი დაინახეს ვისბადენში (გერმანია). 21 მაისს სიმლიდან (ინდოეთი) მიღებულ იქნა ცნობა, რომ ეს მფრინავები იძულებული გახდენ სპარსეთის ყურეში შეჩერებულიყვნენ 45 მილის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით ბენდერ-აბასიდან. მფრინავები უვნებლად გადარჩენ. აპარატი დაიმსხვრა. (ადს).

ქართული ტერმინოლოგიის შესახებ

ოქტომბრის რევოლიუციამ წინად დაჩაგრულ ერების ცხოვრების ყველა სფეროში გაეროვნების საჭიროება დაბადა. ამან კი თავის მხრივ გამოიწვია მეცნიერებისა და ტეხნიკის სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის შექმნა ეროვნულ ენაზე.

ჩვენში ამ მიმართულებით მუშაობა უკვე რამოდენიმე წელიწადია წარმოებს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი სასურველად მიმდინარეობს: ბაზარზე გამოსულ ლექსიკონებისა და სახელმძღვანელო წიგნების გადათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ ტერმინოლოგიის ხმარებაში არაჩვეულებრივ აღრევას აქვს ადგილი, განსაკუთრებით ისეთ საგნებში, რომელთაც პრაქტიკული, გამოყენებითი ხასიათი და დანიშნულება აქვს.

ამ მხრივ საგულისხმოა, რომ არამც თუ სხვადასხვა ავტორი, ერთი და იგივე პიროვნებაც კი ერთსა და იმავე ცნებას სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავს, მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო და სავალალო ის ფაქტია, რომ ამ მრავალფერ ტერმინოლოგიის ძიებაში, მეცნიერთა ერთი ნაწილი სავსებით ამცდარა ყველგან მიღებულ ინტერნაციონალურ პრინციპს და, ქართულ ტერმინოლოგიის შემუშავების დროს, ყველაფრის გადმოქართულება განუზრახავს და თავისი ეს განზრახვა კიდევაც მოუყვანია სისრულეში.

ვგულისხმობთ საქართველოს სატეხნიკო საზოგადოების მიერ შემუშავებულ ტეხნიკურ ლექსიკონს, სადაც ყველა ტერმინი მთელი 100 პროცენტით გადმოქართულებულია, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სრულიად ხელოვნურად შექმნილია ახალი ტერმინოლოგია, ახალს, გაუგებარ ენაზე. ეს გარემოება ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელია. ამით ჩვენ ვერავითარ სამსახურს გავუწევთ ხალხს, პირიქით, ასეთი ხელოვნური ტერმინების შემოღებით ჩვენ მას გავუძნელებთ საქმეს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორც ძველ დროში, ისე, მით უმეტეს, ჩვენს დროში,—ერთი ერი სესხულობს მეორე ერისაგან სხვადასხვა ტერმინებს, ახალ ცნებების გამოსახატავად. ეს ხდება სრულიად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად და არა იმიტომ, რომ ვისმეს სურვილი ჰქონდეს ენის აჭრელებისა უცხო სიტყვებით. დაე, ყველამ გაიგოს, რომ დღეს ერთი ერის ენობრივი საუნჯე, უკვე აღარაა საკმაო ყველა საჭირო ცნების გამოსახატავად.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვართ წინააღმდეგი იმის, რომ ტერმინების დადგენისას მიმართონ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხმარებულ ამა თუ იმ ცოცხალ სიტყვას, რომელიც დღეს ლიტერატურაში არ იხმარება, და იგი იხმარონ რომელიმე ტერმინის აღსანიშნავად: საჭირო შემთხვევებში ეს სასარგებლო და აუცილებელიცაა, მაგრამ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ განდევნილ იქნას ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიიდან ხსენებულ ლექსიკონის წყალობით დღეს ბევრგან შეჭრილი, უეჭველად უვიცად და ვიწრო ნაციონალისტურად შეთხზული ისეთი ტერმინები, როგორიცაა მაგ.

ტელეფონის	მაგიერ	ელსმენი
ვაგონის	„	რონოდა
კაბელის	„	ჯირგინი
აზოტის	„	ჰაისი
ანალიზის	„	აღლევა
პროსპექტის	„	გამზირი
ტერმინოლოგიის	„	სახელსახება
სექციის	„	განწევრი
ნეიტრალიზაციის	„	გაშუადება
ელექტრონის	„	ელვისო
ლამპის	„	მაშუქა
სიგნალის	„	მთანგი
ბატარეას	„	ჯგუფარი
ლენტის	„	რტყელა
დეპოს	„	საყუდი

და სხვა მრავალი, რომლითაც სავსეა ზევით დასახელებულ ლექსიკონი და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამწუხარო არა მარტო ლექსიკონი: **ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და წიგნებიც საკმაოდაა აჭრელებული მით!**

ეს კი უეჭველია, დიდ საფრთხეს გვიმზადებს: გარდა იმისა რომ ამას ქართულ ენაში დიდი არევ-დარევა შეაქვს, თვით ხალხსაც მეტად ვიწრო ნაციონალურ ეთნოგრაფიულ ფარგლებში ამწყვდევს, რაიც ყოველ მიზეზს გარეშე, შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს.

ამ გარემოებას ს. ს. რ. ცაკმა უკვე მიაქცია ყურადღება და სათანადო დადგენილებით კიდევაც დაარსა განათლების სახალხო კომისარიატთან ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისია, რომელსაც დაავალა ყველა დარგის ტერმინოლოგიის ხელმეორედ გადასინჯვა და საბოლოოდ დამუშავება.

კომისიას მიცემული აქვს ინსტრუქცია, რომლის ძალითაც ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიას საფუძვლად უნდა დაედვას ინტერნაციონალური პრინციპი, ე. ი. ყველა ტერმინი, რომელიც დღეს მეცნიერებაშია **საერთოდ მიღებული, ქართულშიაც უნდა შემოვიდეს სავსებით.**

სამეცნიერო კომისიის მიერ შემუშავებული და მიღებული ტერმინოლოგია შემოდის საბოლოოდ დასადასტურებლად-ცხოვრებაში გატარებისათვის **ს. ს. რ. ცაკის მთავარ სატერმინოლოგიო კომიტეტში.**

ასეთია დღეს საქმის ვითარება. კომისია ვერც ისე მალე დაამთავრებს თავის მუშაობას და, ამისდამიხედვით, სათანადო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებამდე საკმაო დრო გაივლის, მაგრამ ნაჩქარევად შეთხზულ (ზემოთჩამოთვლილ და მათ მსგავს) ტერმინებს ახლავე უნდა მოეღოს ბოლო.

და მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტიც მიმართავს ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციას და კერძო პირს—ჟურნალ-გაზეთო წერილების ბეჭდვისა, თუ წიგნების გამოცემისას, **აგრეთვე ყოველგვარ მიმოწერის დროს მიიღონ მხედველობაში ყოველივე ზევით ნათქვამი და ალკვეთონ ყველა იმისთანა ტერმინის ხმარება, რომელთა შემოღება ქართულში არავითარი საჭიროებით არაა გამოწვეული და მათ ნაცვლად იხმარონ ინტერნაციონალური ტერმინები,** რომლებიც ან უკვე შეთვისებულ და შესისხლხორცებულია როგორც ქართულ ლიტერატურაში უფრო ადვილი და მიზანშეწონილია, ვინემ ახალ ტერმინების ხელოვნურად გამოგონება.

საქართველოს ცაკთან არსებული მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

უკანასკნელი ცნობები

ოსმალეთ-საბჭოთა ხელშეკრულობის რატიფიკაცია

ანგორა 22 მაისი. 21 მაისს მეჯლისმა ერთხმად მიიღო ოსმალეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულობა; ხელშეკრულობის რატიფიკაციის დროს არ დაუცავთ ჩვეულებრივი ფორმალური საპარლამენტო პროცედურა. (ადს).

დიდი წყალდიდობა

ნიუ-იორკი, 23 მაისი. წყალდიდობა შტატ ლუიზიანაში გრძელდება. ყოველ დღე წყალი ფარავს რამოდენიმე ქალაქს. რკინის გზის ხაზი წალეკილია. მცხოვრებლები გარბიან. (ადს).

შუბლმაგართა შემოტევა

ლონდონი, 2 მაისი. შაბათს და კვირას საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს საშუალება ჰქონდა გამოერკვია ინგლისის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეების წარმომადგენელთა აზრი.

როგორც სჩანს, ჩერჩილი, ბირკენხედი, ემერი, ივონსი, ხიქსი და სხვ. ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ ურთიერთობის ჩაშლის სასარგებლოდ და, როგორც სჩანს, მათ მხარს უჭერს მთელი რიგი ნაკლებ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებისა, რაც ამ ჯგუფს უმრავლესობის შეკრების საშუალებას აძლევს კაბინეტში. ერთ-ერთმა ლიბერალმა კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ კაბინეტი თავისი გადაწყვეტილების გამოტანის დროს იხელმძღვანელებს არა დიპლომატიური ან ეკონომიური მოსაზრებებით, არამედ მინისტრების სულიერი განწყობილებით. მეორე მოსაუბრის აზრით, ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შენარჩუნების ერთად-ერთი იმედი მდგომარეობს იმაში, რომ ბოლდუინი და ჩემბერლენი გაბედავენ კაბინეტის დანარჩენ წევრების წინააღმდეგ წასვლას, მათ გამოწვევას; ამ შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს დიდი შინაგანი პოლიტიკური კრიზისი. არის ცოტა იმედი იმისი, რომ ზოგიერთ საქმიან წრეების ენერგიული პროტესტები გავლენას მოახდენს ზოგიერთ მინისტრზე და აიძულებს მათ მხარი დაუჭირონ ბოლდუინს და ჩემბერლენს. (ადს)

მოსკოვის კომკავშირის აქტივი მრეწველობის რაციონალიზაციის შესახებ

მოსკოვი, 22 მაისი. მოსკოვის კომკავშირის აქტივის კრებაზე ამხ. კვირინგის მოხსენების გამო მრეწველობის რაციონალიზაციის და პარტიისა და კომკავშირის წინაშე არსებულ ამოცანების შესახებ მიღებულ იქნა რეზოლიუცია. რეზოლიუციაში კრება სავსებით უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილებებს ამ საკითხის შესახებ და იწონებს კომკავშირის მეხუთე საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებებს. (ადს)

ანგარიშების შემცირება

მოსკოვი, 23 მაისი. მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე გამოირკვა, რომ მოსკოვის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მიღებული წინადადება ანგარიშების შემცირების შესახებ წარმ. და ტრესტ. დაახლოებით 2 მილ. მანეთით შეამცირებს წლიურად ხარჯებს. საამშენებლო ანგარიშის შემცირება მოგვცემს დაახლოვებით 5 მილ. მანეთის დაზოგვას. მოსკოვის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ სავსებით გააუქმა 95 წარმომადგენლობა სხვა ქალაქებში და მინიმალურად შეამცირა დარჩენილთა შტატი. ეს მოგვცემს 2 ნახ. მილ. მანეთის დაზოგვას წელიწადში.

ვაჭრობის სახალხო კომისრის განკარგულება

მოსკოვი, 23 მაისი. როგორც იტყობინებიან საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარმა მიქოიანმა 21 მაისს წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელს ინგლისში აღარ მისცეს დაკვეთები ინგლისელ მრეწველებს. (ადს)

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 23 მაისი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა დაამთავრა მოხსენებების განხილვა დღის წესრიგის პირველი მუხლის შესახებ,—ომის საფრთხე და მასთან ბრძოლა. კუუსინენის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ პლენუმმა მიიღო მის მიერ ამ საკითხის შესახებ წარმოდგენილი რეზოლიუცია. საღამოს სხდომაზე ბუხარინი გამოვიდა მოხსენებით ჩინეთის საკითხის შესახებ, რის შემდეგ დაიწყო კამათი. (ადს)

კატასტროფიული მიწისძვრა

ლენინგრადი, 23 მაისი. სამეცნიერო აკადემიის სეისმოგრაფმა 23 მაისს ღამის პირველ საათზე აღნიშნა მეტად ძლიერი მიწისძვრა ლენინგრადიდან 9000 კილომეტრის დაშორებით. მიწისძვრა სიძლიერით არ ჩამორჩებოდა 1923 წლის 1 სექტემბერს იაპონიაში მომხდარ მიწისძვრას. მიწისძვრის კერა მოთავსებულია ჩინეთის ჩრდილოეთ-დასავლეთით, მონღოლეთის და ტიბეტის საზღვარზე. (ადს)

ეკონომიური კონფერენცია იხურება.

ჟენევა, 23 მაისი. საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია 23 მაისს დაიხურება. საბჭოთა დელეგაცია 24 მაისს გამოემგზავრება. ხინჩუკი 22 მაისს გაემგზავრა ლონდონში. (ადს).

ნაძირალების მთავრობა

ლონდონი, 23 მაისი. „დეილი ჰერალდ“ აქვეყნებს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის ჯორჯ ხიკსის შემდეგ განცხადებას: „არკოსის გაჩხრეკამ არავითარი ფაქტიური მასალა არ ატმოაჩინა. ჩვენ გვაწვდიდენ დიდძალ გაურკვეველ და სოიცარ ზღაპრებს საიდუმლო დოკუმენტის შესახებ. ჩვენ არ ვიცით,—შეიძლება ეს იყო არა დოკუმენტი, არამედ შაქრის ან საპნის შესახვევი ქაღალდი. ისინი, ვისაც შეუძლია ამის შესახებ განმარტების მიცემა, სდებენ ამ განმარტებას. საკმაოდ ცუდია ის გარემოება, რომ მაშინ, როცა ჩვენი მრეწველები ყოველივე ძალ-ღონეს ხმარობენ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის განსავითარებლად, მთავრობის წევრები დადიოდენ ქვეყნის ყოველ კუთხეში და საბჭოთა წარმომადგენლებს უწოდებდენ კაცის მკვლელებს, ბოროტმოქმედთ და ყოველგვარ დამამცირებელ სახელებს. მაგრამ ასეთი დიპლომატიის ისტორიაში გაუგონარი ძარცვა დღის სინათლეზე, პოლიციის მობილიზაცია, ქალების უხეშად და თავხედურად ჩხრეკა, ოთახებიდან უზრდელურად ხალხის გამოყრა, კედლების დანგრევა და სეიფების დამტვრევა—უსათუოდ საზღვარის გადალახვაა. ყოველ ძარცველს მსოფლიოში შეუძლია განსაკუთრებული სიამაყით თვალყური ადევნოს ინგლისის მთავრობის „საქმეს“. ინგლისის ეხლანდელი მთავრობა, ეჭვს გარეშეა, შევა ისტორიაში; როგორც „ნაძირალების“ მთავრობა (სახელწოდებაა ცნობილი დრამის მძარცველთა ცხოვრებიდან“).

„ვაჭრობა კი,—განაგრძობს ხიკსი,—რომლის წარმოება შეიძლებოდა საბჭოთა კავშირთან, დაიკარგა. კონსერვატიულმა მთავრობამ ფაქტიურად მოსპო ორი დიდი, ყველაზე უფრო ხელსაყრელი ბაზარი ინგლისის საქონლისათვის—ჩინეთი და საბჭოთა კავშირი“. (ადს).

ინგლისის კაბინეტის სხდომა

ლონდონი, 23 მაისი. ხვალ თემთა პალატაში მთავრობა გააკეთებს განცხადებას ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. დღეს შესდგა კაბინეტის სხდომა ჩხრეკის დროს გატაცებულ საბუთების და იმ განცხადების ტექსტის განსახილველად, რომელიც უნდა გააკეთოს შინაგან საქმეთა მინისტრმა თემთა პალატაში. განხილულ იქნება აგრეთვე ჩემბერლენის განცხადება დიპლომატიურ მდგომარეობის შესახებ.

პასუხი საბჭოთა ნოტაზე არ გაიგზავნება სანამ არ იქნება გაკეთებული განცხადებები თემთა პალატაში.

ამხ. ჩიჩერინი პარიზში

პარიზი, 23 მაისი. დღეს დილით ამხ. ჩიჩერინი ჩავიდა პარიზში.

პონსონბის განცხადება

ლონდონი, 23 მაისი. პროფკავშირთა უფლებების დაცვის კომიტეტის მიერ კვირას მოწყობილ საპროტესტო დემონსტრაციებში და მიტინგებში მონაწილეობა მიიღო ერთ მილიონზე მეტმა მუშებმა. პონსონბიმ, რომელიც გამოვიდა მიტჩერში განაცხადა: არკოსის გაჩხრეკა მორიგი ტრიუკია, მთავრობამ იცოდა, რომ კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ არ სარგებლობს პოპულიარობით. მთავრობას სურს შექმნას ახალი წითელი საფრთხობელა, მაგრამ ასეთი ტრიუკის განმეორება არ შეიძლება ასე ხშირად (პონსონბის მხედველობაში აქვს ე. წ. „ზინოვიევის წერილი“). (ადს).

მიწის-ძვრა

ყაზახი, 23 მაისი. სომხეთის სოფელში ბალეკენტში მიწისძვრამ დაანგრია 20-დე სახლი. რამდენიმე კაცი დაჭრილია. (ადს).

---

23 მაისს დილის 5 საათზე და 33 წუთზე საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა ჩასწერეს სუსტი მიწისძვრა. მიწისძვრის ცენტრი მდებარეობს 50 კილომეტრის დაშორებით. მიწის-ძვრა სუსტათ საგრძნობი იყო თბილისშიაც.

ღამით 22-23 მაისს პირველ საათზე და 40 წუთზე თბილისის დროით საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა ჩასწერეს კატასტროფიული მიწის-ძვრა. ისარი ზოგჯერ წრეს გადადიოდა. მიწის-ძვრის ცენტრი თბილისიდან 5.000 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

ნაციონალისტების მებრძოლ ორგანიზაციის აკრძალვა

ვარშავა, 23 მაისი. პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ აკრძალა ნაციონალისტების მებრძოლი ორგანიზაცია „ხალხის გუშაგი“.

გერმანელ მენშევიკების მორიგი ღალატი

რესპუბლიკანური თავდაცვის კავშირის და მუშების იარაღის კონფისკაცია

ვენა, 22 მაისი. ავსტრიის კომპარტიის ორგანომ „როტე ფანემ“ გამოაქვეყნა ცნობა მთავრობის მიერ მთელი იმ იარაღის კონფისკაციის შესახებ, **რომელიც ეკუთვნოდა თავდაცვის რესპუბლიკანურ კავშირს და სოციალ-დემოკრატებს. იარაღის კონფისკაცია მოხდა მთავრობისა და სოციალ-დემოკრატების საიდუმლო შეთანხმებით.** ორივე მხარე ვალდებულია დაიცვას საიდუმლოება.

ამის გამო „როტე ფანე“ სწერს:

„დაე გაიგოს მთელმა პროლეტარიატმა გაუგონარი ამბავი. სოციალ-დემოკრატები დანებდენ მთავრობას 3 კვირის შემდეგ გამარჯვების დღიდან. სოციალ-დემოკრატ მუშებმა ახსნა-განმარტება უნდა მოსთხოვონ თავის ლიდერებს“.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის მიერ მიღებულ ცნობებით, თავდაცვის კავშირი სოციალ-დემოკრატების სახელით შეეცადა ჩაებარებია „როტე ფანეს“. რედაქცია და უკანასკნელს, გამომჟღავნების შემთხვევაში, რეპრესიებით ემუქრებოდა. (ადს).

ვენა, 22 მაისი. სოციალ-დემოკრატიულ წრეებში იზრდება უკმაყოფილება იმ ლიდერების მოქმედებით, რომლებმაც ქარხნებში არ დაარიგეს იარაღი, სოციალ-დემოკრატებს ეშინიათ მუშათა მასების სასტიკი უკმაყოფილებისა, რადგან ყოველთვის აიმედებდენ მათ, რომ დაურიგებდენ იარაღს. (ადს).

ოსმალეთი და ამერიკა.

ვაშინგტონი, 22 მაისი. შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯოზეფ - გრიუ დანიშნულ იქნა ელჩათ ოსმალეთში. **ამრიგად დიპლომატიური ურთიერთობა ოსმალეთსა და შეერთებულ შტატებს შორის საბოლოოდ აღდგენილია.** (ადს).

უცხოელ სპეციალისტების

მოწვევის წესი

მოსკოვი, 23 მაისი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა სამეურნეო ორგანოებში სამუშაოდ უცხოელ სპეციალისტების მოწვევის წესი. მოწვეული უნდა იქნენ მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები იმ პირობით, თუ საბჭოთა კავშირში არ მოიპოვებიან შესაფერი კვალიფიკაციის სპეციალისტები. ნებართვა ამა თუ იმ სპეციალისტის მოწვევის შესახებ თვითეულ ცალკე შემთხვევაში მიღებული უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან. (ადს).

ჩამოიხსენით ნიღაბი

მოსკოვი, 23 მაისი. „იზვესტია“ 22 მაისის მოწინავე წერილში სწერს:

„ბრიტანეთის მინისტრების ოინბაზობა საპარლამენტო გამოსვლებში, განსაკუთრებით გარეშე საქმეთა მინისტრის ოინბაზობა, უკვე გადაიქცა ტრადიციულად. მაგრამ ამჟამად, როგორც ეს დაამოწმა იმავე ინგლისურმა პრესამ, ბრიტანეთის მინისტრმა ვერ შესძლო იმ ნდობას გამართლება, რომელსაც მასზე ამყარებდა კონსერვატიული პრესა და მისი სხვა კოლეგები კაბინეტით. საქმე, რასაკვირველია, სრულიადაც არ არის იმაში, რომ სარგებლობს თუ არა ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა დიპლომატიური იმუნიტეტით ან მისი უფლება ეჭვს ქვეშ იმყოფება თუ არა. ხელისუფლების სათავეში მყოფ ინგლისელ კონსერვატორებს დიპლომატიური პრივილეგიების შესახებ მსჯელობით სურთ მიაყურონ ინგლისის მოსახლეობის ფართო ფენების ყურადღება და ცდილობენ დაფარონ მათგან ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტისათვის მზადება და ის საიდუმლო მოლაპარაკებანი, რომელიც სწარმოებს საფრანგეთთან, იტალიასთან და სხვა ქვეყნებთან ანტი-საბჭოთა ბლოკის შესაქმნელად.

მაგრამ დრო აიხდას მშვიდობიანობის მოყვარეობის ნიღაბი, რომელიც ბრიტანეთის იმპერიალიზმს აქვს ჩამოფარებული. დროა წარსდგეს იგი მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი ნამდვილი სახით, როგორც პირველი პროლეტარული სახელმწიფოს და მისი სოციალისტური მთავრობის მძულვარებით აღსავსე და საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესთა ფეხქვეშ გამთელავი“ (ადს).

გადაფრენა ატლანტიის ოკეანეზე

პარიზი, 22 მაისი. მფრინავი ჩარლს ლინდბერგი, რომელიც 20 მაისს 7 საათზე და 30 წუთზე გამოფრინდა ნიუ-იორკიდან 21 მაისს 22 საათზე და 23 წუთზე დაეშვა ლე-ბურჟეს ჰაეროდრომზე, პარიზის მახლობლად. (ადს).

ლონდონი, 23 მაისი: დღეს ევროპის დროით 12 საათზე გემი „ექსპრესოფ სკოტლენდ“ ირლანდიის დასავლეთ ნაპირიდან 500 მილის დაშორებით შეხვდა ლინდბერგის ჰაეროპლანს: ჰაეროპლანი მოფრინდა დაბლა, 150 მილის სისწრაფით საათში. საფრანგეთის ნაპირი და ჰაეროპლანი მოფრინავდა დაბლა, 150 მილის უქტორებით, რომ ავიატორისათვის გზა ეჩვენებიათ ჩამოსაფრენად.

ცნობამ ლინდბერგის ჩამოფრენის შესახებ არაჩვეულებრივი სენსაცია გამოიწვია პარიზში. ლე-ბურჟეს აეროდრომზე თავი მოიყარა დაახლოვებით 100.000 კაცმა. ლინდბერგი, მიუხედავად იმისა, რომ 34 საათი დაჰყო ჰაერში, მშვენივრად გრძნობდა თავს. მან მოახდინა ორი რეკორდი: შეუჩერებლად ნიუ-იორკიდან პარიზში გადაფრენა და პირველი გადაფრენა ატლანტიის ოკეანეზე უთანამგზავროდ. აპარატი თვითონ ლინდბერგის მიერ არის გაკეთებული. მხოლოდ ზოგიერთი ნაწილი არის დამზადებული ქარხანაში. მანქანის ნაწილების უმეტესობა ლინდბერგის საკუთარი კონსტრუქციისა, ასე რომ შეიძლება ითქვას, მან ახალი მანქანა შექმნა. პერისკოპი, რომლითაც ის გზას იკვლევდა ფრენის დროს, მის მიერ არის გამოგონილი.

ლინდბერგი 25 წლისაა. ის არის ამერიკელი მფრინავი. მისი მშობლები წარმოშობით შვეციელები არიან. შვეციის სტორტინგი ლინდბერგს დეპეშით მიესალმა.

„დეილი მეილ“-ის თანამშრომელთან საუბარში ლინდბერგმა განაცხადა, რომ მას მოუხდა ბრძოლა სქელ ნისლთან, ბურუსთან და წვიმებთან. მან გასინჯა ყველა სიმაღლეები, მაგრამ უშუდეგოდ.

მთელი დღის განმავლობაში მას არ შეუმჩნევია არც ერთი გემი, მაგრამ ღამით ხედავდა სინათლეს გემებზე.

— მე მალე შევეჩვიე მარტო ფრენას და ვცდილობდი ძალიან დაბეჯითებით, რომ არ დამძინებოდა. ამისათვის არ მიხმარია არც ყავა, არც სხვა საშუალება, რომელიც მქონდა თან იმ შემთხვევისათვის, თუ შევატყობდი, რომ ძილი დამძლევდა. მე არ გამჭირვებია გზის გაკვლევა. დაღამება ძალიან სწრაფად დაიწყო. როცა დავინახე ლე-ბურჟე და შემდეგ თვალი მოვკარი ეიფელის კოშკს, დავრწმუნდი, რომ ჩემი გადაფრენა დავამთავრე“. (ადს).

საქართველოს პროფკავშირების მეექვსე ყრილობა

ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ

პირველი სხდომა

ყრილობის გახსნა.

გუშინ, საღამოს ექვსნახევარ საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა მეექვსე ყრილობა. ყრილობა გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. ყურულაშვილმა**, რომელმაც ყრილობას მიმართა მოკლე მისასალმებელი სიტყვით.

ამხ. გ. ყურულაშვილის სიტყვა

— ამხანაგებო, სრულიად საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა უკანასკნელ მეხუთე ყრილობიდან მეექვსე ყრილობამდე გავიდა ერთი წელიწადი და ორი თვე. განვლილი დრო ისეთი ხანა იყო, როდესაც საქართველოს პროფესიონალურ კავშირებს უხდებოდათ მუშაობა მასსებთან დასაახლოვებლად, პროფკავშირებში მუშური დემოკრატიის განსახორციელებლად, ახალი მუშური ფენების ჩასაბმელად პროფკავშირებში და პროფესიონალური კავშირების კომუნიზმის სკოლად გადასაქცევად.

საანგარიშო დროის განმავლობაში პროფკავშირების მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო მუშების ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზე. ამ მხრივ ჩვენს პროფკავშირებს აქვთ დიდი მიღწევები. ეს ამოცანა დაკავშირებული იყო მეორე ამოცანასთან, სახელდობრ მრეწველობის განვითარებასთან და შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან. პროფკავშირებს ნათლად შეგნებული ჰქონდათ ის გარემოება, რომ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ გაფართოებული მრეწველობის ბაზისზე. ამ მიმართულებით პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. ამ მხრივ დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული და მიღწევებიც დიდი გვაქვს.

დღევანდელმა ყრილობამ ჯამი უნდა გაუკეთოს მთელ იმ მუშაობას, რომელიც ჩატარებულ იქნა ამ ერთი წლის და ორი თვის განმავლობაში და უნდა დასახოს პროფკავშირების მუშაობის უახლოესი ამოცანები. ყრილობის მხედველობის გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი საკითხი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ჩვენი პროფმუშაობის გაძლიერებისათვის. ყველა ეს საკითხები გადაწყვეტილი უნდა იქნეს მუშათა კლასის სასარგებლოდ და საბჭოთა საქართველოს გასამტკიცებლად.

ყრილობამ უნდა აღნიშნოს ჩვენი პროფკავშირების მუშაობის მიღწევები და უნდა მიუთითოს იმ ნაკლულევანებებზე, რომელთა გამოსწორება აუცილებელია. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო და მისი პრეზიდიუმი იმედოვნებენ, რომ ყრილობის დელეგატები საქმიანად შეუდგებიან ყველა საკითხების განხილვას და მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, როგორც ამას მოითხოვს მუშების ის ლაშქარი, რომელმაც ისინი აქ გამოგზავნა.

სალამი საქართველოს პროფკავშირთა მეექვსე ყრილობას. ვუსურვებ მას ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა საქართველოს განსამტკიცებლად და ჩვენი მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. (ტაში).

დღის წესრიგი.

ამხ. გ. ყურულაშვილის სიტყვის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი.

1) მოხსენება საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე.
2) ანგარიში საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მუშაობის შესახებ.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ.
5) რესპუბლიკის სოც. დაზღვევის სამმართველოს მუშაობის შესახებ.
6) ცეკავშირის მოხსენება კოოპერაციის მდგომარეობის და ამოცანების შესახებ.
7) საქართველოს პროფმოძრაობის მორიგი ამოცანები:
ა) საორგანიზაციო დარგში.
ბ) სატარიფო - საეკონომიო დარგში.
გ) კულტურულ - განმანათლებელ დარგში.
8) არჩევნები.

ამხ. გ. ყურულაშვილი წინადადებით ყრილობამ დაადგინა: ამხ. მ. კახიანის მოხსენება საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ გამოყოფილ იქნეს ცალკე და იგი წაკითხული იქნეს ყრილობის სხდომაზე საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად.

პრეზიდიუმი

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობა ირჩევს საქმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას, სამდივნოს და საპატიო პრეზიდიუმს.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

ბელენკი (სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგე) **იაკუბოვი** (ა.-კ. პროფსაბჭო), **ყურულაშვილი, კახიანი, ქართველიშვილი, ფანცხავა, მაჩაიძე, ჭელიძე, მარიამიძე, სვანიძე, ხომასურიძე, მიქაძე, მორჩილაძე, ათოევი, ავეტისოვი, ხვედელიძე, ცირეკიძე, ხარაბაძე, სუკოიანი, ფირალოვი, ტორჩოვი** (სამხრეთ-ოსეთიდან), **გრ. ჩხეიძე** (საინჟენერო ტეხნიკურ ძალთა კავშირთაშორისო სექციიდან), **სულავა** (რკინისგზელთა საუბნო კომიტეტიდან), **ვაჭარაძე** (ხაშურიდან), **ბელინოვა, ელბაქიანი, ჩარკვიანი, ბენაშვილი, ბალანჩივაძე, ლოლაძე და ვანო კირკაშიძე.**

სამანდატო კომისია

ამხ. **ნიკიტინი, ორჯონიკიძე, ენუქიძე, გვარამაძე, მხიტაროვი, ულენტი, და ბენია**

სამდივნო

ამხ. **ჯიჯაძე, კაციტაძე, გოდაბრელიძე, მარკმანი და ქშონძერი.**

საპატიო პრეზიდიუმი

ამხ. **სტალინი, ტომსკი, ლოზოვსკი, რიკოვი, ბუხარინი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ელიავა, მახარაძე და ცხაკაია.**

ყრილობის ორგანოების არჩევის შემდეგ ყრილობას ესალმება ა.-კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **იაკუბოვი.**

ამხ. იაკუბოვის სიტყვა.

— ამხ-ბო, მე ვფიქრობ, რომ ეხლა ასეთი დროა, რომ მისალმებებს საერთოდ არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რადგან ჩვენ ერთბაშად საქმიან მუშაობაზე გადავდივართ. მაგრამ ვინაიდან დღეს აქ საქართველოს პროფკავშირთა ყრილობაა, ა.-კ. პროფსაბჭოს არ შეუძლია სიჩუმით შეხვდეს ამ ფაქტს.

ნება მიბოძეთ ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს სახელით მივესალმო საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა მეექვსე ყრილობას.

პროფკავშირების წინაშე ამჟამად მრავალი გადაუდებელი ამოცანებია წამოჭრილი. ესენია—მრეწველობის განვითარება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, ფასების დაკლება, შრომის ხელფასის მოწესრიგება და შრომის დაცვა.

მრეწველობის განვითარებაზეა დამოკიდებული მუშების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება; მრეწველობის განვითარება კი მჭიდროდ დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან, რაშიაც უდიდესი როლი უნდა ითამაშონ პროფესიონალურმა კავშირებმა.

პროფკავშირები დიდ როლს თამაშობენ აგრეთვე ფასების დაკლების კამპანიაში; ისინი კონტროლს უწევენ ფასების დაკლებას და ამით ხელს უწყობენ სათანადო ორგანოებს კამპანიის წარმატებით ჩატარებაში.

ამჟამად პროფესიონალური მუშაობის დღის წესრიგში სდგას აგრეთვე ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების საკითხი. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია და თქვენი ყრილობის შემდეგ დაიწყება ამ საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტა.

კავშირებს დიდი მნიშვნელობა აქვთ შრომის დაცვის საქმის სათანადო ნიადაგზე დაყენებაში. პროფკავშირებმა უნდა მიუთითონ შრომის დაცვის ორგანოებს, თუ როგორ უნდა იქნეს განხორციელებული შრომის დაცვა სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში.

ვათავებ რა მისალმებას, ვუსურვებ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

შემდეგ ამხ. **გ. ყურულაშვილმა** გააცნო ყრილობას მუშათა კრებების და კონფერენციების სურვილი გაეგზავნოს საბჭოთა კავშირის მთავრობას მიმართვა საბჭოთა წარმომადგენლობებზე თავდასხმის გამო ლონდონში და პეკინში.

ყრილობამ [illegible] შემუშავა ასეთი მიმართვა საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი და აგრეთვე მიმართვა ჩინეთის რევოლიუციონური (უხანის) მთავრობისადმი.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **გ. ყურულაშვილის** მოხსენება პროფსაბჭოს ერთი წლის მუშაობაზე.

ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება

განვლილი დრო,—ამბობს ამხ. გ. ყურულაშვილი თავის მოხსენებაში,—ხასიათდება მუშათა მასების აქტივობის გაძლიერებით და მუშათა ახალი ფენების ჩაბმით საკავშირო მუშაობაში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერებასთან ერთად გაიზარდა პროფკავშირებიც. ეს ზრდა ხდებოდა უმთავრესად სასოფლო - სამეურნეო მუშების ხარჯზე; შემდეგ მიდიან მრეწველობის, ტრანსპორტის, სახალხო შეერთების და სხვა დარგების მუშები. ყველაზე მეტად გაძლიერდა მიწა-ტყის მუშაკთა, ფეიქართა და ხის დამმუშავებელთა კავშირები. ერთგვარი შემცირება ეტყობა ტრანსპორტის მუშათა კავშირს, მაგრამ ეს შემცირება მოხდა არა წარმოებაში ჩაბმულ მუშათა ხარჯზე, არამედ იგი გამოიწვია მტვირთველთა გამორიცხვამ პროფკავშირიდან. მტვირთველები გამორიცხული იქნენ იმის გამო, რომ ისინი არსად არ არიან დაქირავებული, ამჟამად ისინი გადაყვანილი არიან საარტელო სისტემაზე.

პროფკავშირების ზრდა უფრო ძლიერია პროვინციაში, რადგან საკავშირო მუშაობის სიმძიმე ჩვენ მიერ გადატანილი იქნა ადგილებზე. თუ როგორ გაიზარდა ჩვენი პროფორგანიზაციების ქსელი, ამას ამტკიცებს შემდეგი ციფრები: 1926 წლის პირველ იანვრისათვის პროფორგანიზაციების რიცხვი უდრიდა 1.632, 1927 წლის პირველ იანვრისათვის კი—2.196, ე. ი. ზრდა გამოიხატა 34 პროცენტში.

ჩვენ ამჟამათ მივედით ისეთ მდგომარეობამდე, როდესაც აქტივის შემდგომი ზრდა შეჩერებული უნდა იქნეს; საჭიროა არსებული აქტივის გადამუშავება. ეს აქტივი სრულიად საკმარისია ჩვენი პროფესიონალური მოძრაობისათვის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყოველ წლიური გადარჩევის დროს აქტივის ნახევარი ახლად ებმებოდა მუშაობაში. ამჟამად აქტივის შემადგენლობაში შედის პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა 12 პროცენტი. სულ აქტივში ითვლება 19 ათასი კაცი. აქედან 53,3 პროცენტი მუშებია, 48,6 მოსამსახურეები; მათ შორის 33 პროცენტი კომუნისტებია, 66,9 პროცენტი კი უპარტიოები. ამრიგად, უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი ჩაბმულია პროფაქტივში.

უკანასკნელი გადარჩევის დროს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში აქტივი განახლებულ იქნა 65 პროცენტით, სამაზრო განყოფილებებში—54 პროცენტით, ცენტრალურ გამგეობებში—50 პროცენტით და სამაზრო პროფბიუროებში—50 პროცენტით.

აქტივის განახლებასთან ერთად ჩვენ ძირითად ამოცანას შეადგენს ის, რომ საკავშირო ორგანოებში ახლად ჩაბმული მუშაკები შევაჩვიოთ პროფმუშაობას. ამ მიზნით საკავშირო ორგანოების მუშაობის ვადა გაგრძელებული იქნა. ამ გარემოებამ, რომ არ გამოიწვიოს საკავშირო ორგანოების მოწყვეტა მუშათა მასებისაგან, ჩვენ ყოველ ექვს თვეში ვიწვევთ საანგარიშო კონფერენციებს. თუ ეს კონფერენციები საჭიროდ დაინახავენ საკავშირო ორგანოების გადარჩევას, ჩვენ მივმართავთ ამ ღონისძიებასაც.

რაც შეეხება პროფკავშირების წევრთა ეროვნულ შემადგენლობას, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივაც ჩვენ საგრძნობი მიღწევები გვაქვს 1925 წლის პირველ ივლისისათვის ქართველები შეადგენდენ 57,5 პროცენტს, 1926 წლის პირველ ივლისისათვის კი მათი რიცხვი უკვე უდრიდა 59,5 პროცენტს; რუსები 1925 წელში იყო 16,2, 1926 წელში—14,3; სომხები—18. 5—16,8 პროცენტი; სხვადასხვა ეროვნებანი—7, 8—9,4 პროცენტი.

პროფკავშირებში ქართველებთან ერთად გაიზარდა საქართველოში მოსახლე წვრილი ერები (აფხაზები, ოსები და სხვა) წარმომადგენლების რიცხვი.

რაც შეეხება პროფკავშირების ჯამაგირიან მუშაკებს, მათი რიცხვი ყველა პროფორგანოებში 1926 წლის პირველ იანვრისათვის უდრიდა 1.334 კაცს, 1927 წლის პირველ იანვრისათვის კი—1.529 კაცს. აქედან პასუხისმგებელი მუშაკებია 652 და ტეხნიკური—717.

პროფსაბჭოს მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენდა კავშირების ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მხრივ ჩვენ საგრძნობ შედეგებს მივაღწიეთ. მაგალითად, ცენტრალურ გამგეობების საკავშირო საშუალებათა საერთო შემოსავალი 1924 წლის პირველ ოქტომბრიდან 25 წლის პირველ ოქტომბრამდე უდრიდა 486.204 მან. 40 კაპ., 1925—26 საბიუჯეტო წელს კი ასეთი შემოსავალი უდრის 759.793 მან. 24 კაპეიკს. საშუალო თვიური შემოსავალი გასული საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეადგენდა 44.711 მანეთს 66 კაპეიკს. საანგარიშო წელს კი 62.316 მანეთს 18 კაპეიკს. ამრიგად, საანგარიშო წლის განმავლობაში გასულ წელთან შედარებით შემოსავალი გაიზარდა 41,6 პროცენტით.

ასეთი განსაკუთრებული ზრდა საკავშირო ორგანიზაციების შემოსავლისა აიხსნება ორი მიზეზით: პროფკავშირის წევრთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებით და საწევრო გადასახადის აკრეფის სისტემის გაუმჯობესებით.

საანგარიშო წლის განმავლობაში ბალანსი დეფიციტით დაამთავრა ექვსმა ცენტრალურმა გამგეობამ. დეფიციტი ქანაობს 13 მან. 47 კაპეიკიდან (სახალხო კვების მუშაკთა კავშირი) 3.293 მან. 47 კაპეიკამდე (განათლების მუშაკთა კავშირი). დანარჩენმა კავშირებმა თავიანთი ბიუჯეტი ნაშთით დაამთავრეს.

დეფიციტი გამოწვეულია უმთავრესად საწევრო გადასახადების შეუკრებლობით; მიმდინარე წლის იანვრის შემდეგ მიღებული ღონისძიებების წყალობით მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა. მაგალითად, განათლების მუშაკთა კავშირი დეფიციტიანი კავშირიდან გადაიქცა ისეთ პროფორგანიზაციათ, რომელსაც ნაშთი რჩება.

შემდეგ ამხ. ყურულაშვილი შეეხო საორგანიზაციო მუშაობის სხვა დარგებს და, დასასრულ, შეჩერდა პროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო და კულტურულ მუშაობაზე.

მოხსენების ამ ნაწილში ამხ. ყურულაშვილმა მოიყვანა ის ცნობები, რომლებიც შევიდა წიგნაკათ გამოცემულ პროფსაბჭოს ანგარიშში. ეს მასალა ჩვენ უკვე მოვათავსეთ „კომუნისტი“-ს კვირის ნომერში.

ყრილობის დღიური

— დღეს თბილისში ჩამოვა და ყრილობას დაესწრება სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგე ამხ. ბელენკო, რომელიც არჩეულია ყრილობის პრეზიდიუმში.

— დღევანდელ დილის სხდომაზე ყრილობა მოისმენს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, რის შემდეგაც გაიმართება კამათი ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო.

— დღეს ყრილობას მიესალმებიან საქართველოს პროფსაბჭოს მიერ შეფობის ქვეშ აყვანილი სამხედრო ნაწილები.

კოოპერაციაზე მოხსენების მოსმენის შემდეგ ყრილობა მოისმენს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლების თანამოხსენებებს ფასების დაკლების შესახებ.

რემედასის ყრილობა

ბერლინი, 22 მაისი. გაიხსნა რემედასის გერმანულ სექციის ყრილობა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ პოლონეთის, დანიის და შვეიცარიის რემედასის აღმასკომთა წარმომადგენლები. ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელი გერმანიის ხელისუფლებამ არ დაუშვა ყრილობაზე. (ადს).

დისპუტი მეიერხოლდის თეატრის შესახებ

გუშინ სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა დისპუტი ამჟამად თბილისში საგასტროლოდ მყოფ ამხ. მეიერხოლდის თეატრის შესახებ. მომხსენებლათ გამოვიდა თვით ამხ. ვ. მეიერხოლდი.

მომხსენებლის აზრით თეატრალური შემოქმედება, როგორც ყოველი შემოქმედება, შეუძლებელია შინაარსის და ფორმის ჰარმონიის გარეშე. როდესაც რეჟისორი სვამს საკითხს რა უნდა შექმნას, მან უნდა დასვას საკითხი თუ როგორ უნდა შექმნას. როგორც „რა“, ისე „როგორც“ უნდა იყოს დაკავშირებული ცხოვრების სინამდვილესთან და მის ტემპთან.

ჩვენი სინამდვილე დიდი რევოლიუციის სინამდვილეა, ამ ეპოქის ტემპი ჩქარია. მაშასადამე ეს ტემპი უნდა შეითვისოს სცენამაც. ეს იქნება, მხოლოდ მაშინ, თუ თანამედროვე თეატრი უკუაგდებს ძველ ფორმებს. მაგრამ თეატრი ვერ შექმნის ახალ ფორმებს, თუ მსახიობი მოწყვეტილია ცხოვრებისაგან, თუ ის არ იქნება ამ ცხოვრების მონაწილე. მისი შემოქმედება მოკლებული იქნება სოციალურ საფუძველს.

„რევიზორი“-ს დადგმა რამდენიმე ათეულ წლების განმავლობაში არ გასცილებია განყენებულ ფორმას, თუ „რევიზორი“ ფორმალურად გაყინული იყო, ეს არ არის გოგოლის ბრალი, არამედ იმ შავბნელ რეჟიმის მიზეზი იყო, რომელიც ჩვენ გვქონდა თვითმპყრობელობის სახით. ძველ სცენას, ძველ რეჟისორს არ ჰქონია საიმისო პირობები, რომ „რევიზორი“ გადმოეცა მაყურებლისათვის ამ პიესის მთელი სოციალური აზრის გაშლით, რომელიც ცხვირ-პირში სცემდა ძველ წყობილებას. დღეს ეს შესაძლებლობა არის. და ახალი თეატრის ვალია მოგვცეს ჩვენი ცნობილი მწერლების ნაწარმოებნი ახალი, თანამედროვე გადმოცემით, ამ ნაწარმოების სოციალურ შინაარსის მეტი გამახვილებით. ოსტროვსკის „ტყე“-ი ეს ამოცანა უფრო ადვილი დასაძლევი გახდა, როგორც შედარებით მარტივ ნაწარმოებში, მაგრამ ის უფრო რთულია გოგოლის „რევიზორში“, როგორც დიდ მხატვრულ ღირებულების და ღრმა სოციალურ შინაარსის ნაწარმოებში, შეიძლება ამით თუ აიხსნება ის გაუგებრობანი, რომელთაც ზოგიერთებში იწვევს ჩვენი თეატრის დადგმა „რევიზორი“.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ „რევიზორი“, ისეთი დადგმით, როგორც ამას ის იძლევა, წარმოადგენს გოგოლის საუკეთესო გაგებას, რადგან გოგოლი სწავლობდა ისპანიურ თეატრის ტეხნიკას და ამ თეატრის მაშინდელ მიღწევებს. „ჩვენი თეატრის „რევიზორი“, დაასრულა თავისი სიტყვა მომხსენებელმა; გოგოლის პიესის სწორათ გაგებას ნიშნავს, ის ხელს უწყობს მასის რევოლიუციონურ სულისკვეთების განმტკიცებას და ამავე დროს ძველი, დამყაყებული წყობილების სასტიკ გაკიცვას წარმოადგენს.

კამათში მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ ორატორებმა, როგორც წინასწარ გამოცხადებულებმა, ისე აუდიტორიიდან ჩაწერილებმაც.

პირველათ ილაპარაკა ამხ. **ხლებნიკოვმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ მომხსენებელმა ვერ მოგვცა საკმაო ახსნა-განმარტება თავისი თეატრალური სკოლის ძირითადი მისწრაფებების და მისი ცალკე დადგმების მნიშვნელობის შესახებ. მეიერხოლდის თეატრს არა აქვს თავისი დადგმების შესახებ ის ახსნა-განმარტებითი ლიტერატურა, რომელიც მოეპოვება მოსკოვის ბევრ აკადემიურ თეატრებს. ამხ. ხლებნიკოვის აზრით ეს ნაკლი უნდა შევსებულ იქნას, რათა მეიერხოლდის დადგმების აზრი და მნიშვნელობა უფრო გასაგები გახდეს ფართე მშრომელი მასისათვის.

პაოლო იაშვილი შეჩერდა იმ არასასურველ გარემოებაზე, რომ ამხ. მეიერხოლდმა მეტი დრო მოანდომა რეცენზენტებთან კამათს, ვიდრე თავის სკოლაზე ლაპარაკს. გადავიდა რა „რევიზორი“-ს შეფასებაზე, პაოლო იაშვილმა აღნიშნა,—თუ ჩვენ მეიერხოლდისებური ექსპერიმენტი ვაწარმოეთ ასეთ ძვირფას და კლასიკურ შემოქმედებაზე, როგორიც არის გოგოლის „რევიზორი“, რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მისგან აღარაფერი დაგვრჩება. დასასრულ ორატორი ესალმება მეიერხოლდს, როგორც სცენის უდიდეს ოსტატს და როგორც ნიჭიერ ნოვატორს.

ამხ. პესიმისტმა, უსაყვედურა მეიერხოლდის თეატრის მოწინააღმდეგეებს არა ობიექტივობა და სხვათა შორის სთქვა: „რა უყოთ, რომ მეიერხოლდის დადგმების მლგზნებარე ძალა ღვინოსავით მოქმედებს ზოგიერთებზე და აიძულებს მათ გაუგებარი შეფასება მისცენ მეიერხოლდის დადგმებს. მეიერხოლდის „რევიზორი“ ამხ. პესიმისტის სიტყვით, უთუოთ დიდ სცენიურ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ჩვენს თეატრალურ სინამდვილეში.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. **სუტირინმა**. ის შეეხო ამხ. მეიერხოლდის უსაფუძვლო შიშს, რომელსაც ის ზოგჯერ იჩენს კრიტიკოსების წინაშე. თანამედროვე თეატრი არ უნდა გაურბოდეს კრიტიკის თვალს. ეს მავნე ჩვეულება ძველი დროის თეატრს ახასიათებდა. შემდეგ **ამხ. სუტირინი** გადადის „რევიზორი“-ს შეფასებაზე და ამბობს, რომ „რევიზორი“ ერთ-ერთ სუსტ ადგილათ უნდა ჩაითვალოს იმ უთუოდ დიდ და რევოლიუციონურ თეატრალურ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებს მეიერხოლდი. საჭიროა თეატრმა გამოასწოროს ეს ნაკლი.

ამხ. შურა დუდუჩავა მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ კამათი გადიხარა რეცენზიებისა და თეატრის დამოკიდებულების საკითხისაკენ და მთავარი საკითხები, რომლებზედაც აქ უნდა შეჩერებინათ აუდიტორიის ყურადღება, გაუშუქებელი დარჩენ. შემდეგ ორატორი გადადის პაოლო იაშვილის სიტყვის განხილვაზე და აღნიშნავს, რომ მისი სიტყვა მოიკოჭლებდა ლოღიკური დალაგების მხრივ. პ. იაშვილი აღტაცებით მიესალმება მეიერხოლდს, როგორც სცენის ოსტატს და იგივე იაშვილი უსაყვედურებს მას „რევიზორი“-ს დამახინჯებას. გარდა ამისა, როცა თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის კამერული თეატრი, პ. იაშვილი აღფრთოვანებით შეხვდა მის რეჟისორ თაიროვს და კამერის თეატრი უაღრესად მოწინავე თეატრად დასახა. დღის კი პ. იაშვილი თავის სიტყვის ბოლოში ასეთივე სიტყვებით მიესალმება მეიერხოლდის თეატრს.

კამათში მონაწილეობა მიიღო კიდევ მთელ რიგ ორატორებმა, რის შემდეგ მომხსენებელს მიეცა საბოლოო სიტყვა. ამხ. მეიერხოლდმა მოიყვანა ერთი მაგალითი, როგორც მისი მოხსენების დასკვნა. ეს მაგალითი შეეხებოდა იმათ, ვისაც მომხსენებლის სიტყვით არ ესმით მისი თეატრის ნამდვილი აზრი და მისწრაფება და ვინც „რევიზორს“, „მანდატს“; „ტყე“-ს და სხვებს ძველი თეატრის მისტიკოსის თვალით მისჩერებია. „მე ერთ დღეს მეწვია ჩემი კარგი მეგობარი, სთქვა მომხსენებელმა. ოთახი, რომელშიაც ვცხოვრობდი თეთრ კედლებიანი იყო. მაგიდაზე ლურჯი აბაჟურიანი ლამპა სდგა. კედელზე ეკიდა ჩემი ძველი შარვალი. ამხანაგი, რომელიც ჩემთან ბაასობდა, უცებ შესდგა და მეუბნება: „ნუ თუ თქვენ სხვა ფერის შუშა არა გაქვთ, რომ გაანათოთ თქვენი ოთახი, მე ყრუანტელი მივლის ტანში, როცა ლურჯათ გაშუქებულ ოთახში ვზივარ“-ო. თან შეშინებული თვალებით ჩემ შარვალისაკენ იცქირებოდა. გამოირკვა, რომ მას ეშინოდა შარვლის, რომელიც ლურჯ შუქზე მოსჩვენებოდა ჩამომხრჩვალ კაცად. მე თქვენ გეკითხებით, სთქვა მომხსენებელმა, ვინ იყო ამ შემთხვევაში მისტიკის გავლენის ქვეშ, მე, რომელიც შარვალს შარვლათ მივჩერებოდი, თუ ის ჩემი მეგობარი, რომელიც მას გაურბოდა, როგორც თოკზე ჩამოკიდებულ გვამს“?

დისპუტი საერთოდ ცოცხლად ჩატარდა და მან აუდიტორიაშიაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამას მოწმობდენ ის დაუსრულებელი რეპლიკები, რომლებიც მოისმოდენ სკამებიდან, როგორც მეიერხოლდის თეატრის სასარგებლოთ, ისე მის წინააღმდეგ მოლაპარაკე ორატორების მიმართ.

დისპუტი დამთავრდა ღამის 1-ლ საათზე.

პარტიული ცხოვრება

პარტიის ზრდა სოფლად

(თბილისის მაზრა)

საჭიროა ჩვენი სასოფლო ორგანიზაციების როგორც თვისობრივი, ისე რიცხვობრივი ზრდა. უკანასკნელი წინადადების საილუსტრაციოთ მოვიყვან მაგალითს მცხეთის თემკომის მუშაობიდან. როგორც თემკომის ანგარიშმა გამოამჟღავნა, მცხეთის ორგანიზაციის ზრდა ადგილობრივი გლეხობის ხარჯზე ფრიად უმნიშვნელოა და შეიძლება ითქვას—ეს ზრდა სრულიად არ სწარმოებს. ეს მოწმობს იმას, რომ თემკომის მუშაობა გლეხთა შორის იყო მეტად სუსტი.

ეს მაშინ, როცა მცხეთის თემის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მშრომელი გლეხკაცობა შეადგენს.

ასეთი მოვლენა მარტო მცხეთის ორგანიზაციის დამახასიათებელი არაა, იგი ბევრ სხვა თემებშიაც შეგვხვდება და მოითხოვს ფხიზელ ყურადღებას ჩვენი პარტიული ორგანოებისაგან. პარტიულმა კომიტეტმა სოფლად უნდა შეისწავლოს მოსახლეობის ყველა ფენები და და ამ შესწავლის საფუძველზე აწარმოოს მათ შორის მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მიაღწევს ორგანიზაციის ნორმალურ ზრდას და ვერ განახორციელებს თავისი მუშაობის სხვა ამოცანებსაც.

მუშათა კლასის და მისი პარტიის ძირითად სოციალურ დასაყრდენს სოფლად ღარიბი გლეხობა და პირველ რიგში—მოჯამაგირეობა წარმოადგენს. თავის თავად ცხადია ამ უკანასკნელთა ჩაბმას პარტიის რიგებში უნდა ექცეოდეს მთავარი ყურადღება, მაგრამ, როგორც უკანასკნელად ჩატარებულმა პარტიულმა აღწერამ დაგვანახა, მოჯამაგირეთა რიცხვი თბილისის სამაზრო ორგანიზაციაში უდრის მხოლოდ 1 პროცენტს. ასეთი დაბალი პროცენტი, აშკარაა, არ არის საკმარისი და ის ლაპარაკობს, რომ ჩვენს სამაზრო ორგანიზაციას შესაფერისად ვერ გაუჩაღებია მოჯამაგირეთა შორის მუშაობა. მომავალში საჭიროა ამ ნაკლის გამოსასწორებლად სამაზრო ორგანიზაციამ გააძლიეროს მოჯამაგირეთა მიღება პარტიის რიგებში. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? ცხადია, პარტიას არ შეუძლია მექანიკურათ, პრაქტიკულ საქმიანობაზედ გამოუცდელად და შეუმოწმებლად მარტო სოციალური მდგომარეობის მიხედვით მიიღოს ვინმე.

ქ. სურმუშელი.

რას უნდა აკეთებდეს სადელეგატო კრებები

სადელეგატო კრებები—არ არის ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაცია. მათ არ შეუძლიათ საბჭოების, პროფკავშირების და სხვა მუშათა ორგანიზაციების შეცვლა. სადელეგატო კრებები არსდებიან მხოლოდ ამ დაწესებულებათა დასახმარებლად. სადელეგატო კრებები ეხმარებიან პარტიას მშრომელ ქალებთან დაახლოვების საქმეში, ასწავლიან და ათვისებენ ქალებს, თუ რა ხდება მათ გარშემო და აბამენ მათ ქვეყნის მშენებლობისა და სახელმწიფოს მართველობის საქმეში.

სადელეგატო კრებაში გლეხი ქალი ეჩვევა საზოგადოებრივ მუშაობას და შეუძლია იქ გამოსთქვას თავისი გაჭირვება და აზრი, თუ როგორ შეიძლება უკეთესი ცხოვრების მოწყობა. სადელეგატო კრებებს უწოდებენ კომუნიზმის სკოლის მშრომელ ქალთათვის. კომუნიზმის მშენებლობის შესწავლა ნიშნავს მუშათა კლასის წინაშე მდგარ ამოცანების შეთვისებას და მათი ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელების შესწავლას. როგორც ამხ. სტალინი ამბობდა—„საბჭოთა სახელმწიფო აპარატი მარტო საბჭოებისაგან როდი შესდგება. საბჭოთა სახელმწიფო აპარატი შესდგება საბჭოებისაგან და ყოველგვარ უპარტიო და პარტიულ გაერთიანებათა მილიონ ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მილიონიან მასებთან აკავშირებენ საბჭოებს“. მუშა და გლეხ-ქალთა კრებები—ეს ისეთი ორგანიზაციებია, რომლებიც პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას უკავშირებენ მშრომელი ქალთა ფართო მასებთან დაახლოვების საქმეში. სადელეგატო კრებები აგებინებენ ხელისუფლებას მუშა და გლეხ ქალთა გაჭირვებას და უმზადებენ მას დამხმარე ძალებს. ყოველ წლობით სადელეგატო კრებების ახალ-ახალი მასები ირჩევენ. დელეგატ-ქალებად მხოლოდ პატიოსან მშრომელ ქალებს, რომლებსაც უნდათ თავი დააღწიონ სიბნელეს და უვიცობას. არჩეულ მუშა და გლეხ დელეგატ-ქალთა სწავლობენ მუშაობა. მთელ წლის განმავლობაში, მუშაობა სწარმოებს გეგმის მიხედვით და მას მიზნად აქვს ცოდნის მიცემა დელეგატ-ქალებისათვის და საზოგადო საქმესთან შერიგება,

სადელეგატო კრებები ასწავლიან საზოგადო მუშაობას.

დელეგატ-ქალი მარტო ლექციებსა და მოხსენებებს არ ისმენს; თვითეული დელეგატი ქალი უნდა ასრულებდეს განსაზღვრულ საზოგადო საქმეს.

დელეგატ-ქალები ფხიზლად უნდა ეკიდებოდენ თავის საქმეს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის არ კმარა მარტო ცოდნის მიღება; საჭიროა ამ ცოდნის გამოყენების შესწავლა.

მუშა ქალებს შორის ძალიან ცოტაა ისეთი, რომელსაც არ ესმის, რომ ჩვენი გაუნათლებლობა, ჩვენი უკულტურობა არის მშრომელების უმთავრესი ბოროტება. გაუნათლებელი და ბრმა კაცი—ერთი და იგივეა. და ამიტომ თვითეულმა დელეგატ-ქალმა ბოლო უნდა მოუღოს თავის გაუნათლებლობას—წერა-კითხვის უცოდინარობას და მცირე მცოდნეობას. ისე უნდა მოეწყოს, რომ სადელეგატო კრების მუშაობის მიწურულში არ დარჩეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი დელეგატი-ქალი.

დელეგატი-ქალი კლუბისა და ბიბლიოთეკის საშუალებით ეჩვევა კულტურულ მუშაობას. დელეგატ-ქალმა უნდა წაიკითხოს ჟურნალები და წაუკითხოს მუშა-ქალთა ფართო მასებს. გარდა ამისა საჭიროა, რომ მან სწეროს ჟურნალში თავისი და სადელეგატო კრების მუშაობის შესახებ. დელეგატ-ქალი უნდა ეხმარებოდეს მუშათა ბეჭდვითი ორგანოებს და განსაკუთრებით ჟურნალს „მშრომელი ქალს“.

დელეგატ-ქალები ყოველთვის მჭიდროდ უნდა იყონ დაკავშირებულნი თავის ამომრჩეველებთან, მუშა და გლეხ-ქალებთან, რომლებმაც ისინი ამოირჩიეს. პარტია უდიდეს მნიშვნელობას აძლევს დელეგატ-ქალთა კავშირს მუშა და გლეხ-ქალთა მასებთან. სადელეგატო კრებები—ეს შემაკავშირებელია ღვედია, რომელიც აერთიანებს პარტიას მუშათა კლასის მეორე—ქალთა ნაწილთან. დელეგატ-ქალებს მოეთხოვება და ეხმარონ პარტიას ლენინის გზით მშრომელ ქალთა მასების წაყვანის საქმეში.

ქ. კარტოზია.

კომკავშირში

ნაკლები ლაპარაკი—მეტი საქმე

ახალი ყოფა - ცხოვრების საკითხები ხშირათ ისმის, როგორც ახალგაზრდობის საკითხები.

ეს ბუნებრივიცაა. ახალგაზრდობა, როგორც ნორჩი ძალა, ყველაზე უკეთ შეითვისებს რევოლიუციის მიერ წარმოშობილ ცხოვრების ახალ ნორმებს და ამავე დროს, იგივე ახალგაზრდობა, როგორც წარსულის არმქონე, ზნეობრივათ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მასა, შეიძლება ყველაზე უფრო ადვილათ მოხვდეს მავნე მიდრეკილებათა გავლენის ქვეშ. ამიტომაა, რომ კომკავშირში ასე დიდი ყურადღება ექცევა ყოფა - ცხოვრების საკითხებს და ამ საგანზე ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ. მაგრამ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამ მუშაობას აქვს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი. ესაა ახალი ყოფა-ცხოვრების მეტის - მეტი თეორეტიულობა. ამავე დროს სწორეთ ახალი ყოფა - ცხოვრების დარგშია საჭირო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა და თვალსაჩინო მუშაობის წარმოება.

კომუნისტური ზნეობის ძირითადი პრინციპი, რომელიც გვეუბნება: ყველაფერი კარგია, რაც კომუნიზმის განხორციელების საქმეს ემსახურება, თითქმის ყველამ უკვე იცის. ამ დებულებას წერილობითი და ზეპირი კომენტარიები იმდენათ არ ესაჭიროება, რამდენადაც პრაქტიკული ღონისძიებანი. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა იმისათვის, თუ სად რამდენი საერთო სასადილო, სამრეცხაო ან სხვა ხელოსნი გაკეთდა. საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა კომკავშირულ ზნეობის დამრღვევთა წინააღმდეგ.

გარდა ამისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირის საწარმოო აღზრდას. ეს იგივეა ყოფა-ცხოვრების საკითხია. უსაქმობა, ძველი, ჩამორჩენილი წესით მუშაობა ნოყიერ ნიადაგს ქმნის ყოველგვარ მავნე ზნეობითი გადახრებისთვის. ამიტომ საქართველოს კომკავშირის უკანასკნელი კონფერენციის დადგენილებანი, რომელშიც საწარმოო აღზრდის საქმეს დიდი ადგილი აქვს დათმობილი, დიდი ყურადღებით უნდა იქნენ შესწავლილი. სასოფლო - სამეურნეო კოლექტივების დაარსება, ნადები და ამხანაგობები, რომელზედაც ამდენი ლაპარაკი იყო აღნიშნულ კონფერენციაზე, ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია სოფლად ახალი ყოფა-ცხოვრების განმტკიცების საქმეში.

ამრიგათ ნაკლები წერა და ლაპარაკი საზოგადოთ ყოფა - ცხოვრების მნიშვნელობაზე, მეტი პრაქტიკული მუშაობა ამ მიმართულებით, მეტი გულდასმით აღინიშნოს უკვე არსებულ მიღწევებისა, რაც უნდა უმნიშვნელო არ იყვნენ ისინი და დაუნდობელი ბრძოლა კომკავშირულ ეთიკის დამრღვევთა წინააღმდეგ, ასეთია ყოფა-ცხოვრების სადღეისო საკითხები.

დ. რ—ი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

დიდი მიღწევები

(ლეჩხუმის მაზრა)

ლეჩხუმის მაზრა ჩამორჩენილია საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. რა არის ამის „უმთავრესი მიზეზი? უგზობა. მაზრაში არის სხვადასხვა სიმდიდრეები, როგორიც არის ბარიტის, ხე-ტყის წარმოება, მეხილეობა, მევენახეობა, საერთო მნიშვნელობის კურორტები და სხვა. ყველა ამას, რომ ბაზარი ქონდეს ამისათვის საჭიროა გზა, ეს გლეხობასაც კარგათ აქვს შეგნებული. მაზრაში დღემდი არ იყო არამც თუ სათემო და სასოფლო მნიშვნელობის გზები, არამედ ცენტრალური გზა, რომელიც დააკავშირებდა მაზრას ცენტრთან.

გასაბჭოების შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლების მთავარ ამოცანათ შეიქნა მაზრის ამ მდგომარეობიდან გამოყვანა. ამ მიზნით ადგილობრივი ხელისუფლება უპირველეს ყოვლისა შეუდგა გზის გაყვანას.

1926 წ. ზაფხულში სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა. რაც არ უნდა დაჯდომოდა გზის გამოყვანა მაზრის ცენტრში. აღნიშნულ დადგენილებას გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა. პირველად ხაზი აღებულ იქნა ორბელ-ცაგერის მიმართულებით, რომლის მანძილი უდრის 12 ვერსს. რომელიც დადასტურებულ იქნა თვით ცენტრალურ კომისიის მიერ. მუშაობა დაიწყო 1926 წ. შემოდგომაზე. გლეხობა ამ დიდ საქმეს აღფრთოვანებით შეხვდა, თვითეულმა გლეხმა თავიანთი სურვილით გზაზე იმუშავა 15-20 დღე. ცენტრალურმა ხელისუფლებამაც საგრძნობი დახმარება გაგვიწია, შეერთებული ძალით და სწორი ხელმძღვანელობით მიზანს მივაღწიეთ. ამ ცოტა ხანში მოხდება ცაგეორბელის გზის საზეიმო გახსნა, ეს არის პირველი ნაბიჯი ადგილობრივი ხელისუფლების და გლეხობის, რომელიც პრაქტიკულად განხორციელდა.

ლეჩხუმის მშრომელ გლეხობას შეგნებული აქვს, რომ მისი დაწინაურება ყოველ მხრივ შესაძლებელია მხოლოდ მაზრაში სხვადასხვა მიმართულებით გზების შემოყვანით, პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით, შემდეგში უნდა ვიზრუნოთ მაზრაში სხვა მიმართულებითაც გზის გაყვანაზე.

აკაკი რამიშვილი.

აღმასკომის შენობის და საექიმო პუნქტის შესახებ

(ს. ზემო-ჭალადიდი, სენაკის მაზრა)

ზემო-ჭალადიდის თემი ითვლებოდა ერთერთი ჩამორჩენილ კუთხედ. დღეს თემს გამოცოცხლება დაეტყო: აშენებულია აღმასკომისათვის საკუთარი შენობა, შეკეთებულია გზები, გადაწყვეტილია საექიმო პუნქტისათვის ახალი შენობის აგება და სხვ. საზოგადოება თავს არ იზოგავს, მხოლოდ მას უნდა წინამძღოლი საქმიანი და საზოგადოებაც მას გვერდში ამოუდგება.

აღმასკომის შენობის აგება იჯარით ქონდათ აღებული ორ მოქალაქეს, რომელთაც დასრულებული შენობა უნდა ჩაებარებიათ მიმღებ კომისიისათვის, თუ ვერ შეასრულებდნენ, გათვალისწინებული იყო ჯარიმა ხელშეკრულებაში, რომელიც უნდა გადაეხადათ აღმასკომის სასარგებლოდ. კომისიამ შენობა არ მიიღო, რადგან არ იყო აშენებული კარგათ. იმის შემდეგ გადის ექვსი თვეზე მეტი და შენობა ერთის მდგომარეობაშია. დადის ხმები თითქოს მოიჯარადრებს ჯარიმის გადახდა აპატია საბჭომ. თუ ეს მართალია იმ შემთხვევაში ჩვენ დიდ შეცდომას უშვებთ. იმიტომ რომ მოიჯარადრენი არიან კულაკები, იმიტომ, რომ ჩვენ ამით გლეხობას გულს დაუტეხთ და გლეხობაც ზურგს შეაქცევს აღმშენებლობითი საქმეს. ამიტომ საჭიროა აღმასკომმა სისრულეში მოიყვანოს თავისი პირობა.

ახლა მინდა შევეხო ჩვენი თემის საექიმო პუნქტს. პუნქტში წესისამებრ სწარმოებს ავადმყოფების მიღება, მხოლოდ უბედურება იმაშია, რომ პუნქტი არ არის მომარაგებული ინვენტარებით. ვეკითხებით აღმასკომს: როდის მოაგვარებს ამ საკითხს? ყოფილ საფერშლო პუნქტის გამგეს აქედან პუნქტის კუთვნილი შკაფი თავისი საკუთრებათ წაუღია ქ. სენაკში, რაიც იცის გლეხობამ და რაც თითონაც მრავალჯერ უთქვამს; 2) მოქ. დავითაიას აქვს სახაზინო შკაფი ისეჭე პუნქტის, რატომ ეს ორი შკაფი პუნქტს არ დაუბრუნა აღმასკომმა?

ლუარსაბი.

აღმასკომი კარგად მუშაობს

(გურია, ხოფ. ამაღლება)

უნდა ითქვას, რომ ამაღლების თემ-აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას აქცევს ყველა საჭირბოროტო საკითხებს და კიდევაც აქვს მიღწევები. გადავავლოთ თვალი თუ რა გაკეთდა ამ ახლო ხანში? ერთი ის, რომ აშენდა სახალხო სახლი, რომელიც შედარებით დამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი. ამ სახლის ასაშენებლად თემ-აღმასკომმა გამოჰყო კომისია. ხალხის დახმარებით ამ კომისიამ როგორც იყო მოაგროვა ფული და ააშენეს სახლი. შემდეგ თემ-აღმასკომმა სხვადასხვა წყაროებიდან მოაგროვა საჭირო თანხა და ააშენა საექიმო პუნქტისთვის სახლი. თემ-აღმასკომმა, აგრეთვე დიდი ყურადღება მიაქცია სკოლების შეკეთებას. ამისათვის თემ-აღმასკომის შემადგენლობა ღირსია, რომ მათ ჩვენ გამოუცხადოთ შესაფერისი მადლობა და უსურვოთ მომავალში კიდევ სხვა ახალი კულტურული აღმშენებლობითი საქმეების შესრულება.

აკაკი შაფათავა.

დაიცავით ისტორიული ნაშთები

(თავასის თემი, შორაპნის მაზრა).

თავასის თემში არის ძველი ციხე „სკანდის ციხე“. ეს ციხე ყოფილა აგებული იბერიის და კოლხეთის საზღვარზე. ეს ერთი ხანია მას ანგრევენ გლეხები და ნანგრევებით შენობებს აგებენ. გაიტაცეს ჩუქურთმებიანი და წარწერილი ქვები. აღმასკომმა მას ყურადღება არ მიაქცია. იქვე ნახულობენ გლეხები ისტორიულ ნივთებს და ითვისებენ. ამ ციხიდან ერთი ვერსის მანძილზე არის ძველი ნაქალაქარი ამ ადგილზე გლეხები ნახულობენ ბევრ ნივთებს მაგრამ თვითონვე ითვისებენ.

კარგი იქნება რომ საქართველოს ისტორიული მუზ. მიიღებდეს ზომებს „სკანდის ციხის“ დაცვისთვის და მოახდენდეს გათხრას თავასის თემის მნიშვნელოვან ადგილებში, სადაც საჭირო დახმარებას გაუწევს ადგილობრივი გლეხობა და ინტელიგენცია.

პლატონ ცინაძე.

სანიტარულ კომისიას სძინავს

(ქ. ახალ-სენაკი)

ქ. ახალ სენაკის ბაზარში დიდი უსუფთაობაა—ყოველგვარ სიბინძურეს აქ ნახავთ, როგორიცაა: მკვდარი ქათმები, ძაღლები და სხვა გვარი სიბინძურე. სანიტარული კომისიას აქამდის ვერ ეხედავთ საუბედუროთ, რაც ყოვლად დაუშვებელია. ასევე ითქმის პურის გამოცხობის საკითხებზეც; პური კარგად არ ცხვება, ის ყველგან ცომია. ეხლა არ ეკითხავთ პური წმინდა პურისაგან ცხობა თუ არა—თამამად შეიძლება ითქვას, რომ არა ის რამოდენიმე ნარევისაგან შესდგება, და აი ეს არის მიზეზი, რომ პური პურს არ გავს და სანახევროდ ცომია. საჭიროა სანიტარულმა კომისიამ დააჯარიმოს ასეთი მეპურეები, რომ მომავალში მაინც გვეხსნან მეპურეთა თავ აშვებულებისაგან, თორემ პურის მაგიერ ახდა-სანდალის ყიდვა გვიხდება: ამით ავადმყოფობაც ვრცელდება.

კომისიავ, სადაა შენი მახვილი თვალი? ნუ თუ ვერ ხედავ რა ხდება შენს გარშემო.

აკ. აბულაძე.

ორი მძიმედ დაჭრილი ორი მსუბუქად

(გორის თემი, ქუთ. მ.)

დრომოჭმული და მავნებელი ჩვეულებების შესახებ ჩვენში ბევრი რამ იწერება. მიუხედავათ ამისა ზოგიერთ მიყრუებულ კუთხეში მომუშავე ამხანაგებს და მოწინავე გლეხობას დღემდის ვერ მოუხერხებია ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა. მე ვამბობ მთელი სოფლობით და კუთხობით დღეობების გადახდის შესახებ. აუარებელი ხარჯები, სამუშაო დღეების გაცდენა, სიმთვრალის დროს დაჭრილ-დახოცვა, [illegible] სიმრავლე სრულებითაც არ უწყობს ხელს სახელმწიფოში სახალხო სიმდიდრის დაგროვებას. უხუთელ გლეხს პ. ბაჯაძეს გაულახავს ორი წლის წინათ ბაბოთელი გლეხი მახარეიშვილი. წელს გარეჯობას (აღდგომის მეორე დღეს) მახარეიშვილს, მის მშობლებს, ძმებს და სტუმრებს ლხინის დროს შურის ძიების გრძნობა აღძრიათ და გაუმართეს ბრძოლა გზაში შემავალ ბაჯაძეს და მასთან მყოფ სხვა სტუმრებს. ხელჩართული ბრძოლის შედეგად დანებით და ქვებით მძიმეთ დაჭრილია და ქუთაისის სავადმყოფოში მოთავსებული პ. ბაჯაძე და დ. თითიშვილი. შედარებით უფრო მსუბუქათ არის დაჭრილი კიდევ ორი სხვა. ამ შემთხვევამ უნდა მაინც აიძულოს აქაური მოწინავე პირები იზრუნონ დღეობების გადაგდებაზე.

ბ. თ.

ახალ საბჭოზე დიდი იმედების დამყარება

(სოფ. კარდანახი, სიღ. მაზრა)

წელს საბჭოს დიდი მოვალეობა აწევს.

1926 წელში არ გაკეთდა სოფლისთვის იმდენი, რამდენის იმედიც გლეხობას ჰქონდა. მაგ. არ მიექცა სათანადო ყურადღება წყლების გამოყვანას, ჯანმრთელობის დარგს, სისუფთავის დაცვას და გლეხობის მიწებით დაკმაყოფილებას. მაგრამ წელს ყოველივე ეს უნდა გამოსწორდეს. ყურადღება უნდა მიექცეს გლეხობისათვის სამეურნეო იარაღების შეძენას, ქოხ-სამკითხველოს, წყლების გაყვანას, საკლუბო საქმეს და სხვა. წინეთ ზოგან ადგილი ქონდა ფულის გაწერის დროს უსამართლობას. ზოგ ღარიბებს გლეხს იმდენი შეაწერეს, რის გადახდითაც იგი ჩავარდა უმწეო მდგომარეობაში. წელს უნდა მოისპოს ასეთი გადახრება, თუ გვინდა, რომ ჩვენი სოფელი წინ წავწიოთ. წრევანდელ საბჭოზე დიდ იმედებს ამყარებს გლეხობა.

ვანო მათიაშვილი.

თავდაცვის დღე თბილისში

როგორ ჩატარდა ომის იმიტაცია

„ომისათვის“ მზადება თბილისში დაიწყო 22 მაისს დილიდანვე. ქუჩებში გამოჩნდნენ ქიმიური რაზმები, რომელნიც აწყობდნენ თავშესაფრებს საომარ გაზებისაგან თავდასაცავად. მოწყობილ იქნა სულ 10 თავშესაფარი. სანიტარულმა რაზმებმა, რომელნიც შეიარაღებულ იყვნენ ყველა საჭირო ხელსაწ. გაზებ. დაზარალებულთათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად, დაიკავეს ადგილები ქალაქის სხვადასხვა რაიონებში.

„ბომბების“ გადმოყრა აეროპლანებიდან მუშათა სასახლესთან

სრულ 11 საათზე გაისმა თბილისის ქარხნების საყვირების ხმა, რომელმაც აცნო ქალაქს „მტრის“ აეროპლანების მოახლოვება. ამავე დროს გაისმა ზარბაზნების გრიალი: არტილერია სამი მხრიდან (კოჯორის გზა, საბურთალო, არსენალი) (უშენდა ყუმბარებს აეროპლანებს.

ამავ დროს დაიწყო ომის ინსცენიროვკა. რუსთაველის გამზირი მოფენილი იყო ქიმიური ყუმბარებით, პროსპექტი მთლიანად დაიფარა კვამლით ისე, რომ ადამიანი ვერაფერს არჩევდა ერთი მეტრის მანძილზე. ასეთი სურათი იქნება სწორედ ქალაქად ქიმიური იერიშის დროს. ამუშავდნენ მილიცია, ქიმიური და სანიტარულ რაზმები და მეხანძრენი. ყველანი შეიარაღებულ იყვნენ ნიღბებით და სამუშაოს ასრულებდნენ მარდათ. გაზებისაგან „დაზარალებულნი“ მიჰყავდათ თავშესაფრებში. ქიმიური რაზმები „კუსსი“-ს ჰიდროპულტების საშუალებით, რომლებშიაც მოთავსებულია სოდის და გლიცერინის სითხე, სწმენდდენ გაზებისაგან მოწამლულ ადგილებს. მეხანძრენი აწარმოებდენ მანევრებს ცეცხლის „ჩასაქრობად“ იმ ადგილებში, სადაც გაჩნდა იგი „მტრების“ ყუმბარების გადმოყრის დროს.

ომის ინსცენიროვკამ გასტანა ნახევარი საათი, შემდეგ ქალაქმა მიიღო ჩვეულებრივი სახე. „მტრების“ აეროპლანები დაბრუნდნენ უკან და ქალაქს გადმოაყარეს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მოწოდებები,

ინსცენიროვკის სურათი გადაღებულ იქნა კინო-ლენტზე. მუშაობდნენ მრავალი ფოტოგრაფიული აპარატები.

მიტინგი

ინსცენიროვკის დასასრულს ყოფ. სამხედრო სობოროს ეზოში თავდაცვა-ავიოქიმის საზოგადოებამ მოაწყო მიტინგი.

მიტინგი გახსნა ქალაქის კომენდანტმა ამხ. ლ. აბუ მიძემ, რომელმაც აღნიშნა; რომ ინსცენიროვკა იყო ახალგაზრდა ქიმიურ რაზმების პირველი გამოცდა. ამ გამოცდამ დაგვანახვა, რომ რაზმებს კარგად აქვს შეთვისებული საჭირო ცოდნა და შეუძლიათ მოქმედება ბრძოლის პირობებში.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა თავდაცვა-ავიაქიმის ხელშემწყობ საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ფ. მახარაძემ, რომელსაც მიტინგი მქუხარე ტაშით შეხვდა.

ამხ. ფილიპემ სიტყვის დასაწყისს მოულოცა ქიმიურ რაზმებს გამარჯვება და პირველი „ქიმიური ნათლა“. შემდეგ იგი შეეხო შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას და აღნიშნა, რომ კაპიტალისტური ქვეყნები სცდილობენ ჩაათრიონ ომში საბჭოთა ქვეყნების მშრომელები. მათის მხრივ ამ მიმართულებით ადგილი ჰქონდა მრავალ ცდას. ასეთი ცდა არის თავდასხმები ჩვენ სავაჭრო და სრულუფლებიან წარმომადგენლებზე, (ლონდონში და პეკინში), უხეში დარღვევა ხელშეკრულებების და მრავალი სხვა. საბჭოთა მთავრობა სცდილობდა და ცდილობს ყოველივე სადაო საკითხი მოაგვაროს მშვიდობიანი გზით. მაგრამ, ამავე დროს, არ არის აცილებული თავიდან ომის საშიშროება. ამიტომ საბჭოთა ქვეყნების მშრომელნი ყოველთვის მზად უნდა იყვნენ ომისათვის, ყველა მშრომელი გაცნობილი უნდა იქნეს თანამედროვე ომის წესებთან და იცნობდეს თავდაცვის საშუალებებს.



აეროპლანებიდან გადმოყრილი „ბომბებით“ გაჩენილი „ხანძრის“ ჩაქრობის იმიტაცია

სიტყვის დასასრულს ამხ. ფილიპემ მოუწოდა მშრომელებს განამტკიცონ და გააძლიერონ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება, ვინაიდან მისი საშუალებით ერთის მხრივ შესაძლებელი იქნება ომის დროს მრავალი უბედურების აცილება თავიდან და მეორე მხრივ, ძლიერი თავდაცვა ავიაქიმის საზოგადოება თავდებია მშრომელთა გამარჯვებისა მტრებზე.

მოდელების შეჯიბრი

მიტინგის შემდეგ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან არსებულ საპლანერო წრემ მიტინგის ადგილზე მოაწყო მოდელების შეჯიბრი, საღამოს შვიდ საათზე ამავე წრემ გაუშვა ქალაქზე 6 ჰაეროსტატის მოდელი, გავსებული თბილი ჰაერით.

საღამოს მუშათა და წითელ არმიელთა კლუბებში მოწყობილ იქნა სპეციალური საღამოები, მიძღვნილი თავდაცვის დღისადმი.

მუშათა ცხოვრება

ხუთი შაური და... ხუთასი დავიდარაბა

ზეთისა და საპნის ქარხნის ადმინისტრაციამ თვალში ამოიღო ოთხი მუშა. ბევრი იჩხირკედელავა თუ ცოტა გამონახა ბრალდება და მუშები პასუხისგებაში მისცა. მუშებს დააბრალეს თითქოს მათ ქარხანაში მოიპარეს 25 კაპიკად ღირებული ტომარა. რა თქმა უნდა ისინი მყისვე დაითხოვეს სამსახურიდან. ამ დღიდან ამუშავდა კალამი. შესდგა ოქმი, დაიწყო ძიება, კვლევა, მოწმების დაკითხვა, „მნახველების“ ძებნა და სხვა. შესდგა ოქმი, ოქმს ნაძიები, მოემატა ნაძიები „საქმედ“ გადაიქცა, ხოლო საქმემ სასამართლოში ამოყო თავი. სასამართლოში მისვლამდე ხუთი შაურის საქმე ხუთასი მანეთი დაჯდა. ვინ იცის რამდენი ქაღალდი და მელანი დაიხარჯა მუშების გასამტყუნებლად?! ჯერი სასამართლოზე მიდგა. მუშურ - გლეხურმა სასამართლომ გაარჩია საქმე და მუშები რა თქმა უნდა გაამართლა. ადმინისტრაციას საყვედური გამოუცხადეს, ხოლო მუშებს თვე ნახევრის ჯამაგირი მიუსაჯეს. ამრიგად გათავდა ეგ საქმე.

ასეთ მოვლენებს სხვაგანაც აქვს ადგილი. აითვალწუნებენ რომელიმე მუშას ან თანამშრომელს, გამონახავენ ბრალდებებს, მისცემენ პასუხისგებაში და იწყება შემდეგ ერთი ამბავი. დაბოლოს სიმართლე ირკვევა, ხოლო გაცდენილ დროის ანაზღაურება სახელმწიფო სალაროს ხარჯზე ხდება. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია უკანონოდ დათხოვნილი მუშა - მოსამსახურეების ხელფასი ანაზღაურებულ იქნეს იმ ადმინისტრატორების ხარჯზე, რომლებიც თვითნებობენ და ხუთი შაურის საქმეზე სახელმწიფოს ათასობით აყენებენ ზარალს.

ს—ძე.

კედლის გაზეთს ხელმძღვანელი არა ჰყავს

მაისის პირველ რიცხვებში ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გამოვიდა კედლის გაზეთ „კულტძრავი“-ს მეორე ნომერი.

გაზეთს ხელმძღვანელობს რედკოლეგია, რომელიც გამოყოფილია კლუბის გამგეობის მიერ, მასში თანამშრომლობს ხუთი ექვსი მუშკორი. მოთავსებულია გაზეთში „სამ არშინიანი“ წერილები. გაზეთი არის თვიური, მაგრამ 2-3 თვეში ერთხელ ძლივს გამოდის. კლუბის გამგეობამ კლუბში გააკრა დიდი განცხადებები, რომ სარედაქციო კოლეგია ამორჩეული იქნება მუშკორთა საერთო კრებებზე, მაგრამ ეს „ვერ მოხერხდა“. ამ ჟამად ეს გაზეთი (მეორე ნომერი) არავინ იცის სად არის მიგდებული. ვერც იმ საკითხშია გარკვეული გამგეობა, სჭირდება თუ არა კლუბს კედლის გაზეთი.

ასეთია ამ კლუბის კედლის გაზეთის მდგომარეობა. მას ყურადღებას არავინ აქცევს.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

კლუბელი.

კულტკომისიას სძინავს

ავჭალის წყალსადენს აქვს მუშათა კლუბი. კლუბს ყავს 115 წევრი. კეთდება სხვადასხვა თემებზე მოხსენებები. იმართება აგრეთვე წარმოდგენები, კინო და სხვა, მაგრამ წარსულ წლებთან შედარებით, ეხლა უფრო სუსტად მიმდინარეობს კულტურული მუშაობა. კინო ორ კვირაში ერთხელ იწყობა, ისიც უმეტესად ძველ სურათებს უჩვენებენ. კედლის გაზეთი გამოდის, მაგრამ რედკოლეგია კედლკორების მიერ არ არის ამორჩეული. ამის შედეგია ის, რომ კედლის გაზეთი უსიცოცხლოა. გაზეთი სულ სამიოდე კაცის მიერ არის შევსებული. აქვე კლუბთან ახალგაზრდობის ინიციატივით დაიდგა ანძა რადიოს მიღებისთვის, მაგრამ უკვე ორი წელია მას შემდეგ და რადიო მიმღები აპარატის დადგმა კი ვერ მოახერხეს. არც კლუბის გამგეობა და არც ადგილკომი თავს არ იწუხებენ ამ საქმის მოსაგვარებლად.

ხოდაბუნელი.

საყურადღებო წვრილმანი

— **კოოპერატივის დაარსება.** 14 მაისს შესდგა მე-33 შრ. სკ. მოწაფეთა კრება. კრებაზე მოსმენილ [illegible] მოხსენება სკოლაში კოოპ. გახსნის შესახებ. კრებამ აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია, რომელიც ამავე სკოლაში დაარსებს კოოპერატივს.

სხვაველაშვილი.

— **ნივთები ტბაში ცურაობენ.** საქსელაოს ხე-ტყის ქარხნის ეზოში მუშებისათვის მიჩენილია საცხოვრებელი სახლი, რომლის სახურავი დაძველდა, წვიმის დროს ოთახები წყლით ივსება და მუშების ნივთები ტბაში ცურაობენ. მიმართეს სახლის გამგეს შეეკეთებინა სახლის სახურავი. მაგრამ ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს. დებულების თანახმად კი ქარხნის ადმინისტრაცია ვალდებულია აწარმოოს შენობის რემონტი.

ქარხნელი.

— **სეირნობის მოყვარული.** მიწა - ტყის კავშირის მუშაობა ძალზე მოისუსტებს ბორჯომის რაიონში. კავშირის თავმჯდომარე სამსახურში იღებს არა კავშირის წევრებს. გარდა ამისა, ის ხშირად უსაქმოდ დასეირნობს ბაკურიანის ხაზზე. მივლინებებშიაც ძალზე ხშირად არის.

შე—რე.

— **ამბულატორიით ვერ ვსარგებლობთ.** მეშვიდე რაიონის ამბულატორიაში კბილის ექიმი დღეში მხოლოდ სამ ახალ ავადმყოფს იღებს. სამი დღე ვიარე მტკივანი კბილით და ექიმის ნახვას ვერ ვღირსე. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზოგჯერ ნაცნობობით ეწერებიან ხოლმე რიგში, ცხადი გახდება, რომ კბილით ავადმყოფი რიგს დიდხანს ვერ ეღირსება. რას იტყვის ამის შესახებ ამბულატორიის გამგე?

ოლოლი.

მუშათა ქრონიკა

— **კულტკომისიის თათბირი.** სამშაბათს 24 მაისს, საღამოს 6 საათზე პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროში შესდგება კულტკომისიის თათბირი. აღმასბიუროს კულტმუშაკების, ფიზკულტურის წრეების ხელმძღვანელებთან და საექსკურსიო ბიუროს თავმჯდომარეებთან ერთად. დღის წესრიგი: 1) საზაფხულო ექსკურსიის შესახებ, 2) საზაფხულო არდადეგებში სტუდენტთა საზოგადოებრივ მუშაობის შესახებ, 3) ფიზკულტურის შესახებ, 4) მიმდინარე საქმეები.

— **სურათი „26 კომისრის დახვრეტა“.** ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებას სასურველად მიაჩნია, რომ კავშირების წევრებმა და მათი ოჯახის წევრებმა ინახულონ მხატვარ ი. ნ. ბროდსკის ხსენებული სურათი, როგორც ჯგუფებათ, ისე ინდივიდუალურად. სურათი გამოფენილია მუშათა სასახლის დარბაზში (რუსთაველის გამზირი, № 17). პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, რომელთაც სურთ ექსკურსიების მოწყობა სურათის სანახავად, უნდა მიმართონ ამის შესახებ ს პ. კ. ს. კულტგანყოფილების კინო-სალექციო-საექსკურსიო ბიუროს. გამოფენა გა-

— **რკ. გზ. სამგზავრო ბილეთები რიგს გარეშე.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს წინაშე, რათა დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში გასამგზავრებელ მუშა-მოსამსახურეებს რკ. გზ. სამგზავრო ბილეთები მიეცეთ რიგს გარეშე.

ჩვენი მიწერ-მოწერა

— **ს. კალის.** „ვინ არის ხულიგანი“ არ დაიბეჭდება. მივსწერეთ მუშგლეხინის საჩივართა ბიუროს.

— **დ. ღ-ს.** „ალბად არ იციან მშობლებმა“ არ დაიბეჭდება.

— **თოიკოლს.** „გადავირჩიოთ ადგილკომი“ არ დაიბეჭდება.

— **დრაკონს.** შემოიარეთ რედაქციაში.

— **ზ. ხუროძეს.** „ჩვენი უბნის სკოლა“ არ დაიბეჭდება. უმნიშვნელოა.

თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინ 23 მაისს შესდგა თბილისის საბჭოს სექციების მორიგი სხდომა.

კომუნალურ სექციაში

კომუნალურ სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **კამალოვის** მოხსენება საპარიკმახეროებში **სავალდებულო სანიტარული წესების შემოღების შესახებ.** აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სექციამ საჭიროდ სცნო სავალდებულო სანიტარული წესების გატარება საპარიკმახეროებში. გადაწყვეტილ იქნა აგრეთვე საპარიკმახეროების კედლების ზეთის საღებავით შეღება.

გარდა ამისა სექციამ განიხილა სექციის ზოგიერთ წევრის მიერ აღძრული საკითხი საპარიკმახეროების შესახებ კვირა დღეებში და დაადგინა დასვას საკითხი პარიკმახერთათვის დასასვენებელ დღის ორშაბათით შეცვლის შესახებ აღმასკომის პრეზიდიუმში.

ჯანმრთელობის სექცია

ჯანმრთელობის სექციის მორიგ სხდომაზე ამხ. **ცურცუმიამ** სექციის წევრებს გააცნო აპარატის სარაციონალიზაციოდ წარმოებული მუშაობის შედეგები. მოხსენების მიხედვით სექციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია მიღწევები ამ დარგში და საჭიროდ არის ცნობილი გაძლიერდეს მუშაობა სტატისტიკურ-საბიუჯეტო ნაწილებში.

ამავე დღეს შესდგა ჯანმრთელობის სამკურნალო ქვესექციის სხდომა, რომელზედაც გადაწყვეტილი იქნა თბილისის ყველა სამკურნალო დაწესებულებების გამოკვლევა. ამ მიზნით არჩეულ იქნა რამდენიმე კომისია სექციის ხუთ-ხუთ წევრისაგან. გამოკვლეულ იქნება თბილისის ყველა სავადმყოფოს სამკურნალოები, დისპანსერები და სხვა.

განათლების სექცია

განათლების სექციამ თავის გუშინდელ სხდომაზე მოისმინა მოხსენება სკოლების დამხმარე გამოირკვა, რომ საბჭოები დამაკმაყოფილებლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, უწევენ ნივთიერ დახმარებას სკოლებს და საერთოდ აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო მუშაობაში. სექციამ დამხმარე საბჭოების მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

წლიური ანგარიშის, კოლოკვიუმების ჩატარების და საზაფხულო მუშაობის გეგმის შესახებ მოხსენებათა მოსმენა ამ საკითხების ფრიად სერიოზული მნიშვნელობის გამო სექციამ შემდეგი სხდომისათვის გადასდო.

სავაჭრო-კოოპერატიული სექცია

სავაჭრო კოოპერატიულ სექციის პირველ სხდომაზე მოწესრიგებულ იქნა საორგანიზაციო საკითხები—არჩეულ იქნა სექციის ბიურო, რომელშიაც შევიდნენ ამხ. **გავაშელი, მარკაძე** და სხვა. შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **გავაშელის** მოხსენება სავაჭრო-კოოპერატიული სექციის ამოცანების შესახებ. მომხსენებლის გამოთქმით—მიმდინარე პერიოდისათვის სექციის მთავარ დანიშნულებას შეადგენს—დაეხმაროს და ხელი შეუწყოს სათანადო ორგანოებს ფასების დასაკლებათ წარმოებულ მუშაობაში, როგორც თბილისში ისე თბ. მაზრაში.

ამ მიზნით სექციამ გამოჰყო ორ-ორი წევრი, რომელნიც მიმაგრებულ იქნენ სავაჭრო კოოპერატიულ ორგანიზაციებზე მათი მუშაობის გამოსაკვლევად ფასების დაკლების სფეროში.

დასასრულ სექციამ დაავალა ახლად არჩეულ ბიუროს გამოიმუშაოს სექციის მომავალი მუშაობის გეგმა.

საფინანსო სექციის მორიგი სხდომა გუშინ არ შემდგარა.

როგორ ჩატარდა ფაშისტების დემონსტრაცია ბერლინში 7 და 8 მაისს

(წერილი გერმანიიდან)

შესავალში ორი სიტყვა თანამედროვე გერმანულ ფაშიზმის ხასიათის შესახებ. ის არ არის 1923 წლის ფაშიზმი, რომელიც მოითხოვდა ბერლინზე შეიარაღებულ თავდასხმას და ფაშისტურ გადატრიალებას (ჰიტლერის პროგრამა). დღეს გერმანიის ეგრედწოდებულ „რესპუბლიკის“ მთავრობაში ზის გერმანიის ნაციონალისტური პარტია, პარტია ჰოჰენცოლერნის და ფაშისტური საომარ კავშირების პოლიტიკური ხელმძღვანელები. გერმანიის „დემოკრატიულ რესპუბლიკის“ სათავეში კი სდგას გენერალი ჰინდენბურგი, ვილჰელმ მეორის ფელდმარშალი, დღევანდელი რეიხსვერის მთავარსარდალი და უძლიერეს ფაშისტურ ორგანიზაციის „სტალჰელმის*) საპატიო თავმჯდომარე.

ამ მიზეზთა გამო გერმანიის ფაშიზმის დამოკიდებულება დღევანდელ სახელმწიფოსადმი სრულიად სიმპატიურია. „სტალჰელმი“, „ახალგაზრდა გერმანული ორდენი“, „ოლიმპია“, „გუშაგი მგელი“ და სხვა ფაშისტური ორგანიზაციები სოლიდარობის განცხადებით გამოვიდნენ ბურჟუაზიულ ბლოკის მთავრობის პოლიტიკის მიმართ.

ფაშისტური ორგანიზაციები თუმცა მონარქისტული მიზნით სულდგმულობენ, მაგრამ არც ერთი მათგანი შეიარაღებულ გადატრიალებაზე არ ჰფიქრობს, პირიქით ფაშიზმის ხელმძღვანელები დამცველნი არიან დღევანდელ სახელმწიფოებრივი რეჟიმის. თვით ერჰარდტი, ეს ყველაზე უფრო ალვირახსნილი და თავხედი ავანტიურისტი მილიტარისტულ კონტრრევოლიუციისა, დღეს სულ სხვას ხმაზე მღერის. რამოდენიმე კვირის წინ მან ისროლა ლოზუნგი—„არსებულ სახელმწიფოსთან ერთად, მის სადარაჯოზე“. ეს პაროლი გასაგებიც არის. ღია კარების შემტვრევა უაზრობაა; ჰინდენბურგის რესპუბლიკას კი ღია აქვს ფაშიზმისათვის ყველა კარები და ფანჯრები და უმდაბლესი სალამით და ტკბილი სიტყვებით ეგებება ფაშისტებს სოც-დემოკრატიული პოლიციაპრეზიდენტი ბერლინისა (ბატონი ცორგიბელი): კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მე ჩემი ამალით სრულიად თქვენ განკარგულების ქვეშ ვიმყოფებით.

ამგვარად გერმანიის ფაშიზმი შედის კაპიტალისტურ რესპუბლიკაში არა იარაღით და მტვრევით, არამედ უბრალოდ როგორც თავის საკუთარ სახლში. თუმცა გერმანიის „რესპუბლიკა“ ჯერ კიდევ მთლიანად არ წააგავს იტალიის მოდელს, მაგრამ ამისათვის დღევანდელი რეჟიმის დამხობა სრულიად არ არის საჭირო. საჭიროა მხოლოდ ჰინდენბურგის რეჟიმის „შესწორება“, შეკეთება, შევსება და ამგვარად მისი გადაყვანა სრულ ფაშისტურ ლიანდაგზე.

ასეთ მეთოდურ და ტაქტიკურ თვალსაზრისიდან გამოსული „სტალჰელმის“ უახლოესი პროგრამას შეადგენს სამი მთავარი მოთხოვნილება: 1) „სტალჰელმი“ მოითხოვს რესპუბლიკანური დროშის მოხსნას და ძველი მონარქიული დროშის (შავ-თეთრ-წითელფეროვანი) ოფიციალურ სახელმწიფო დროშათ დაწესებას 2) ეკონომიურ ღონისძიებათა საკითხებში „სტალჰელმი“ მოითხოვს ახალშენების უკან დაბრუნებას. ახლად გამოქვეყნებული სტალჰელმის პროგრამა სწერს „ასეთი პოლიტიკური ღონისძიება, აუცილებელია, რათა ეკონომიურმა გაჭირვებამ გერმანიის ხალხი არ წაიყვანოს ბოლშევიკური გზითო“. 3) „სტალჰელმის“ უმთავრეს მოთხოვნილებას წარმოადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალ ჰინდენბურგის უფლებების გაფართოება.

ერთი სიტყვით „სტალჰელმი“ გერმანიის თანამედროვე სახელმწიფოს სრულიად არ ეომება, პირიქით მას მხარში უდგას როგორც დამცველი და მეომარი პროლეტარულ მოძრაობის წინააღმდეგ. „სტალჰელმის“ დამაარსებელი და მისი დღევანდელი ხელმძღვანელი კაპიტანი ზელდტე*) შემდეგს ამბობს: „დღეს დიდი ბრძოლაა გერმანიაში ძალაუფლების საკითხის გარშემო. ჩვენი ნაციონალური დროშის მაღლა აფრიალებასთან ერთად და მასთან ერთდროულად იზრდება და თავს სწევს წითელი აჩრდილი და მისი საშიშარი ბოლშევიკურ-აზიური სახე ჩვენი მიზანია დავიცვათ სახელმწიფო ბოლშევიზმისაგან... ჩვენ არ ვეომებით დღევანდელ ჩვენ სახელმწიფოს, მაგრამ ჩვენ გვსურს მისი ისეთი გადახალისება; რომელიც გერმანულ მომავლის სიძლიერეს უზრუნველჰყოფს;—ამიტომ მოვითხოვთ ჩვენ დღევანდელ სახელმწიფოებრივ კონსტიტუციის საგრძნობ შესწორებასო“.

ასეთი პროგრამით გამოაცხადა ფაშიზმის ხელმძღვანელობამ „იერიში ბერლინზე“. საქმე იმაშია რომ ბერლინში შტალჰელმი მეტად სუსტია (1500 წევრი). ბატონი ზელდტე გვპირდებოდა; რომ „ასეულ ათას სტალჰელმელებს გადმოსტყორცნის ბერლინში; რათა სატახ. ქალაქის მოსახლეობას უჩვენოს, რომ გერმანიას ჰყავს არა მხოლოდ წითელი მასსები. „სტალჰელმი“ დაიპყრობს ბერლინის ქუჩებს და ეს იქნება აქტი მიმართული წითელი პლებსის წინააღმდეგო“.

ერთ წელზე მეტია მემარჯვენე პარტიები ამზადებენ „სტალჰელმის“ რვა მაისის დღესასწაულს. გერმანიის ყველა ნაწილებში პროპაგანდის და მოყიდვის საშუალებით სტალჰელმი“ ემზადებოდა რვა მაისისათვის. იხარჯებოდა შოვინისტური სიტყვები, იხარჯებოდა აუარებელი თანხები; იხარჯებოდა მისალმებანი ჰინდენბურგის; ლუდენდორფის, მაკენზენის და სხვა მონარქიის გმირებისა. მემარჯვენე პრესა „სტალჰელმის“ ხოტბა დიდებით იყო სავსე, „ლოკალ-ანცაიგერი“ სენსაციებს გვპირდებოდა, „სტალჰელმის“ კუდაბზიკები იქაჩებოდენ—გაგვიშვითო! მსხვილი მრეწველობის ბარონები ფართედ ხსნიდენ საფულე ქისებს, მილიონობით შედიოდა შეწირულებანი „სტალჰელმის“ სალაროში, რადგან ეს ფაშისტური დღესასწაული მართლაც გრანდიოზული უნდა ყოფილიყო. მაგრამ დახეთ ბედს! დარიც კარგი იყო, ფულიც ბევრი იყო, სტუმართმოყვარე ცორგიბელის პოლიციურ-სოციალ-დემოკრატიული ხელიც ფართედ გაშლილი იყო და... მაინც ბანკროტი!

7 მაისი—ამ დღეს ბერლინში მოელოდინ გერმანიის სხვადასხვა ნაწილებიდან ფაშისტების ასეულებს. ბერლინის სადგურებზე მიმღები კომისიის წევრები განცვიფრებულნი იდგნენ—სხვები სად არიან? სხვები არ არიან. არ წამოვიდნენ.

— რისთვის?!

— ხმები დადიოდა ბერლინში თავები დასისხლიანდებაო. მართალია რომ ბერლინში ბევრია წითლები?

დაპირებულ ასეულ ათასების მაგივრად ფაშისტებმა ბერლინში ძლივს-ძლივობით ჩამოიტყუა 30 ათასი კაცი. დანარჩენები არ წამოვიდნენ, თავი სახლაფორთოთ რისთვის გავიხადოთ. ბერლინის სადგურზე მიმღებ კომისიებთან ერთად ფაშისტებს „შეხვედრა გაუმართა“ აგრეთვე ბერლინის მუშებმა. შეხვდა მათ ბერლინის პროლეტარიატი... სტვენით, „ძირს“ ძახილით და ინტერნაციონალის სიმღერით, ადგილ ადგილ კი, სადაც ეს მოსახერხებელი იყო, უთაქის კიდევაც ფაშისტებს თავგამოდებით იცავდა პოლიცია, რომელიც გაძლიერებული იყო სხვა ქალაქებიდან სპეციალურად გამოწერილი რაზმებით. პოლიცია შეეცადა წინასწარ გაეწმინდა ქუჩები და ისე გაეპარებია დაშინებული ფაშისტური რაზმები; რომ მასთან მისვლა არავის შესძლებოდა.

ბერლინის ყველა წარმოებათა მუშები მათი საერთო კრების დადგენილების თანხმად ერთხმად მოითხოვდნენ გაფიცვებს. გერმანიის პროლეტარიატმა საპროტესტო რეზოლიუციები და გაფიცვის მოთხოვნილებანი დაუშინა პროფესიონალურ კავშირებს. ყოვლად შეუძლებელია ჩამოთვლა რეზოლიუციების, რომელნიც გერმანიის პროფკავშირისაგან მოითხოვდნენ გაფიცვის გამოცხადებას, მაგრამ გერმანიის პროფკავშირების სინიდის გაყიდულ ხელმძღვანელებმა არჩიეს უარის თქმა ყოველივე გაფიცვაზე. ბერლინის პროლეტარიატი გაჰყვა კომუნისტური პარტიის ლოზუნგს: უარი ეთქვას ფაშისტებს ბინაზე, საჭმელზე და სასმელზე: ბერლინის პროლეტარიატმა გამოაცხადა; რომ ბერლინის მშრომელი მასსები ბოიკოტს გამოუცხადებენ ყველა იმ რესტორანებს და დაწესებულებებს რომელნიც ბინას და საჭმელს მისცემდენ ფაშისტებს 7 და 8 მაისის განმავლობაში. ბერლინის რესტორატორებისათვის ასეთი ბოიკოტი ყველაზე უფრო საშიშარი ტერორია და მართლაც ფაშისტურ რაზმებმა, მიუხედავად იმისა რომ მეოთხედი იმისა არ ჩამოსულა, რასაც მოელოდენ, ვერ იშოვნეს ბინა, შემოაკლდათ საჭმელი და მრავალი ასეულები იძულებულნი შეიქმნენ უკან დაბრუნებულიყვნენ, დანარჩენები ცის ქვეშ დარჩენ. ამ მიზეზების გამო დღესასწაულის ხელმძღვანელები იძულებული გახდენ შეემოკლებიათ პროგრამა და ნაცვლად იმისა, რომ 10 მაისამდე ბერლინში დარჩენილიყვნენ, რვა მაისს საღამოს გამოაცხადეს უკან დაბრუნების დღედ.

გარდა ამისა ბერლინის პროლეტარიატმა მოუწოდა კონტრდემონსტრაციისათვის, მაგრამ იმავე პოლიციაპრეზიდენტმა სოც.-დემ. ცორგიბელმა აკრძალა ამ დღეების განმავლობაში ყველა პროლეტარული დემონსტრაციები და დაემუქრა ბერლინის მშრომელ მასსებს სროლით უკეთუ დემონსტრაციები იქნება გამართულიო. კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა ბერლინის მუშებს ამ დღეებში ქუჩაზე გამოსულიყვნენ და მზად იყვნენ ფაშისტების თავდასხმის მოგერიებისათვის. ყველა პროლეტარული ორგანიზაციები და სოც-დემოკრატიის მუშები (მიუხედავად მათი პარტიის საწინააღმდეგო დირექტივებისა) გაჰყვნენ კომპარტიის ლოზუნგს და მთელი პროლეტარული ბერლინი ამ დღეს ფეხზე იდგა და მზად იყო საჭირო შემთხვევაში საწინააღმდეგო აქტისათვის.

7 მაისს საღამოს ბერლინის სტადიონში გამართულ იქმნა ფაშიტური დღესასწაული, რომელშიც ფასიანი ბილეთებით უშვებდენ მხოლოდ კარგად ჩაცმულ საზოგადოებას. მთელი ბერლინის და აგრეთვე პროვინციებიდან ჩამოსული ბურჟუაზია დაესწრო ამ მეტად მოსაწყენ დღესასწაულს. ავტომობილებით სავსე იყო ქუჩები, გავლა არ შეიძლებოდა. პოლიცია ყოველგან იდგა ფაშისტების სადარაჯოზე. დღესასწაული დაიწყო ორკესტრით, რომელიც მონარქისტულ - შოვინისტურ სიმღერებს უკრავდა. შემდეგ დროშების დემონსტრაცია. არავითარი აღფრთოვანება. ვითომც ვინმეს ასაფლავებენო. დაბოლოს გამართული იყო ფოიერვერკი, რომელიც წარმოადგენდა ომის იმიტაციას. ზარბაზნების გრგვინვა, ტყვის მფრქვეველის ფითქინი; შრაპნელების და ყუმბარების ჭექა, აფეთქების ხმები—ყველაფერი ეს ისე იყო მოწყობილი, რომ უსაშინელესი ომის ნამდვილი სურათი იშლებოდა თვალწინ. მე აღფრთოვანება არ წამიკითხავს ამ სურათის დროს „სტალჰელმელთა“ მასის სახეების გამომეტყველებაზე. პირიქით მეტად ჩაფიქრებულნი და შეწუხებულნი, გამოიყურებოდენ ისინი, ომის სიმბოლო არც „სტალჰელმის“ მასისათვის არ წარმოადგენს ბიონიერ მოგონებას; და გასაკვირიც არაფერია, რადგან ეს ორგანიზაცია 60 პროცენტით მოყიდულ მშრომელთა მასებისაგან შესდგება.

— როგორ მოგწონსო,—მკითხა ერთმა ჩემს გვერდში მდგომმა.

— მე ომი არ მომწონს-მეთქი უთხარი.

— არც მეო,—მიპასუხა მან.

— არის ხვალ მოსალოდნელი შეტაკებანი მეთქი,—ვჰკითხე.

—სოცების*) მხრივ საშიშარი არაფერიაო,—მიპასუხა მან,—რადგანაც მათ დადგენილება გამოიტანეს, რომ დღეს ჩვენ ხელი არ შეგვიშალონო, მაგრამ წითლები (ნაგულისხმევია კომუნისტები), ისინი საშიშარი ხალხია. მათ არაფრის ეშინიათ და საბრძოლველად მუდამ მზად არიანო.

მე კმაყოფილი დავრჩი მისი პასუხით.

მეორე დღეს 8 მაისს დანიშნული იყო ფაშისტური აღლუმი ლუსტ-გარტენში, სადაც 1918 წელში ლიბკნეხტის სახელოვან გვარდიას—სპარტაკელებისა თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ხელიდან გამოჰგლიჯეს რევოლიუციის დროშა.

ლუსტ-გარტენი და მისი გარშემო მდებარე უბნები სრულიად შემოკავებული იყო პოლიციელთა რაზმებით. ამ უბანში არავის უშვებდენ, ვისაც სტალჰელმის სპეციალური ბარათი არ ჰქონდა. დიდი ეშმაკობა იყო საჭირო, რომ ამ აკრძალულ ზონაში ვინმე ნებართვის არამქონე შემძვრალიყო, მაგრამ ვინც შიგ მოხვდა მისთვის აშკარა იყო, რომ გერმანიის ფაშისტებმა 8 მაისს მხოლოდ გარეგნული „ბლეფი“ გააკეთეს. ასეთი უსიცოცხლობა მე არც-ერთ დემონსტრაციაზე არ მინახავს. მიუხედავად იმისა, რომ აქ დასეირნობდენ რეინჰარდტი, ერჰარდტი, ომის დროის გენერლები, ერთი სიტყვით ჰოჰენცოლერნების ყველა პრინცები და ყველა ესენი ომის დროის სამხედრო ფორმაში იყვნენ გამოწყობილი და მკერდზე ამაყად ატარებდენ ყველა ორდენებს, მიუხედავად იმისა მაინცს დიდი მოწყენილობა სუფევდა „სტალჰელმების“ რიგებში. ბერლინის ძლევამოსილი ცორგიბელი აქვე ბრძანდებოდა, არ ვიცი როგორც მეთვალყურე, თუ როგორც მონაწილე. უბრალო ფაშისტური ჯარისკაცები კი მზეში ისხდენ, მოწყენილნი, ყურებ-ჩამოყრილნი. ალბად არ მოელოდნენ, რომ ბერლინი მათ დაუსტვენდა! მეტად ზანტად შეხვდა ფაშისტური მასა თავის მაღალ სარდლობას. როდესაც დიუსტერბერგმა თავისი საკუთარი ავტო შემოაქენა, მოწყენილი ფაშისტური ლაშქარი შეხვდა მას ორი-სამი გაუმარჯოს ამოძახილით. შემდეგ ისევ ყურჩამოყრილობა. და როდესაც რადიომ ზელდტეს ენით დაიწყო შოვინისტური აბდა-უბდის ლაპარაკი, არავის ჰქონდა ხალისი მის მოსმენისათვის.

— აკი გვპირდებოდნენ, რომ ჩვენი მოსვლით ბერლინს აღფრთოვანებაში მოვიყვანთო. გუშინ სადგურზე წითლები დაგვხვდენ და გვისტვინეს, დღეს დილით ქუჩებში გამოსვლის დროს, სიკვდილი ფაშისტებსო გვიძახოდნენ.

და მართლაც ნოიკოლნში და ნორდენში (ბერლინის პროლეტარული უბნები) ლაფში ამოსვარეს ფაშისტური დემონსტრაციები ბერლინის მუშებმა, მიუხედავად პოლიციელების გააფრთხილებისა და რიზინის მათრახებისა. ფუი ფაშისტებს, ძირს სტალჰელმი, სიკვდილი მოღალატეებს, გაუმარჯოს წითელ ფრონტს—ეს იყო ერთხმა პასუხი, რომელიც ფაშისტებმა ბერლინში მიიღეს. იქ, სადაც ფაშისტური ორკესტრი დაუკრავდა, იმწამსვე გვერდით გრიალებდა ძლიერი, მრავალი ათასი ხმებით გამაგრებული „ინტერნაციონალი“. პოლიციელები იმწუთშივე მათრახებით დაერეოდა მომღერლებს, მაგრამ 2 წუთის შემდეგ ბერლინის მუშები ისევ იკრიბებოდენ და კიდევ უფრო ძლიერი ხმით გრიალებდა „ინტერნაციონალი“ და ძახილი ძირს ფაშისტური ბანდებით.

საინტერესო სურათი იყო ვილმერსდორფში (ბერლინის ნახევრად პროლეტარული ნაწილი). ფაშისტების დემონსტრაცია მიდის ფართე ქუჩით, მას გარს არტყია პოლიციელების მცველები კბილებამდე შეიარაღებულნი. ქუჩის ერთ მხარეს იდგნენ ავტომობილებში ქონით ბრჭყინვალე სახის ჩასუქებული საზოგადოება და შელამაზებული ქალები ცხვირსახოცებს უქნევდენ „სტალჰელმს“ და უძახოდენ „გაუმარჯოს“. ქუჩის მეორე მხარეს კი სდგას მთელი კედელი ვილმერსდორფის მუშებისა და ჰყვირის „სიკვდილი ფაშისტებს“. ვიღაცამ „ინტერნაციონალი“ წამოიწყო, შემდეგ ის გაიზარდა ხმების ზღვათ. პოლიციელებმა პირველად ვერ მოხერხეს, შემდეგ კი ცხენოსანი პოლიციის ოფიცრის წაქეზებით და ბრძანებით დაერია პოლიციის დამქაშები მუშებს იარაღით და მათრახებით, მაგრამ „ინტერნაციონალის“ ხმები მაინც გრიალებდენ.

ზოგი მოწმეები ამბობენ, რომ სტალჰელმის უბრალო ჯარისკაცობა მეტად გაბრაზებულნი იყვნენ და ამბობდენ მეორე ხელ ბერლინში არასოდეს არ მოვალთო, ჩვენ გვპირდებოდნენ, რომ ბერლინი აღფრთოვანებით შეგვხვდებაო.

8 მაისს საღამოს მატარებლებით სტალჰელმის ამალა გაისტუმრეს ბერლინიდან; ამბობენ მატარებლის ფანჯრებიდან ფაშისტები მწარე სიტყვებით ემშვიდობებოდენ ბერლინს „ფუი ბერლინსაო“ არ მოეწონათ ალბათ!

გვპირდებოდენ, ტრაბახობდენ, გვაშინებდენ ჩამოვალთო, ასეული ათასები ჩამოვალთო. დაბოლოს კი ასეულებიდან ხელში შერჩათ ათეულები. „სტალჰელმის“ დემონსტრაციას თვლიან 55 ათასი მონაწილით! განა ამიტომ იჭიმებოდენ მთელი წლის განმავლობაში და მთელი გერმანიის მაშტაბით?! 1 მაისს ბევრი მზადება არ დასჭირდებია და 400.000 მონაწილეობდა ამ დღეს ბერლინის დემონსტრაციაში. საჭიროა კომუნისტური პარტიის რაიონულმა კომიტეტმა დილით მოუწოდონ მუშებს და საღამოს ბერლინის პროლეტარიატი მწყობრად იშლება 70-80 ათასიან დემონსტრაციაში. ეს გასაგებიც არის, რადგან აქ მოყიდულ ბანდებთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ კლასობრივად შეგნებულ მოქალაქეებთან.

ერთი უკანასკნელი ცნობა კიდევ,—ბერლინის პოლიცია-პრეზიდენტ ცორგიბელის დღევანდელ ოფიციალურ განცხადების თანახმად 13.486 პოლიციელი იცავდა ამ დღეს ფაშისტების დემონსტრაციებს ბერლინში. 55 ათასი დღესასწაულში მონაწილე ფაშისტები და 13.500 პოლიციელი მათ დასაცავად. ამრიგად თვითეულ სამ ფაშისტს ერთი პოლიციელი ჰყავდა მცველად! და მაინც ლაფში ამოვლებული და კუდ ამოძუებული გაისტუმრა ბერლინის მუშებმა „სტალჰელმი“ ბერლინიდან.

კიტა მეგრელიძე.

---

*) „სტალჰელმ“ ნიშნავს „ფოლადის მუზარადს“, რომელსაც გერმანელი ჯარისკაცები ომის დროს ატარებდენ.

*) ყოფილი კაპიტანი ზელდტე არის დღეს პატრონი დიდი ლიკიორის ქარხნისა მაგდებურგში, რის გამო მემარცხენე პრესსა უწოდებს მას მეტ სახელად „პრიმო დე ლიკიორა“.

*) „სოც“-ებს უძახიან სოციალ-დემოკრატიას.

რემედასის ცეკას პლენუმი

შაბათს, 27 მაისს ამხ. მ. ჩოდრიშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა საქ. რემედასის ცეკას გაფართოებული პლენუმი.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა რემედასის ცეკას თავმჯდომარე ამხ. **გ. ძიგრაშვილი,** იგი ეხება რემედასის მეორე საერთაშორისო კონფერენციის შედეგებს და რემედასის ორგანიზაციულ ზრდას 1-ლი საერთაშორისო კონფერენციიდან მეორე კონფერენციამდე.

მეორე სხდომაზე იწყება მოხსენებები ადგილებიდან. პირველი მოხსენებით გამოდის აჭარისტანის რემედასის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. **ბ. დიომიძე** და სიღნაღის რემედასის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. **გ. ჩხარტიშვილი.** მოხსენებათა დასრულების შემდეგ გაიმართა კამათი.

ცეკას პრეზიდიუმის მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. **ძიგრაშვილი.** მომხსენებლის თქმით, უკანასკნელათ რემედასის მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო. ჩატარებულ იქნა ორგანიზაციების წევრთა ხელახალი აღწერა და აღმოჩნდა, რომ 14 ორგანიზაციაში ყოფილა 49.000-მდე წევრი. ცნობები არ არის მიღებული 8 ორგანიზაციიდან. თუ ქალაქად რემედასის უჯრედებს ეტყობა გამოცოცხლება—სოფლად, პირიქით, ეს მუშაობა ძლიერ სუსტად მიმდინარეობს.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობას იღებენ ადგილების წარმომადგენლები.

პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე წაკითხულ იქნა რეზოლიუციები ყველა მოსმენილ საკითხთა შესახებ. რეზოლიუციების მიღებამდე პლენუმმა მიიღო პრაქტიკულ ღონისძიებათა წინადადებანი რემედასის უჯრედების სახელმძღვანელოთ მომავალ მუშაობაში.

პლენუმი დაიხურა 23 მაისს საღამოს.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

საუბარი ინჟ. ჰოლმთან

თბილისში ჩამოვიდა ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის მიერ სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის სამუშაოთა უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე მოწვეული ინჟ. ჰოლმი.

— ამჟამად—განაცხადა ინჟ. ჰოლმმა—მე ვეცნობი სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის პროექტს და გადამცემ ხაზის მიმართულებას.

სამუშაო ადგილების გასაცნობად ადგილობრივ, დღეს მივემგზავრები ხაზზე. ამ მგზავრობას დასჭირდება დაახლოებით ერთი კვირა.

დაბრუნებისთანავე შევუდგებით გამოკვლევითი მუშაობას გადამცემ ხაზის მიმართულების გამოსარკვევათ.

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობასთან სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო ბიუროს ორგანიზაცია ამჟამად უკვე მთავრდება.

სურამის უღელტეხილზე მუშაობის პირობებს და რკ. გზ. ხაზს მე გაცნობილი ვარ. ჯერ კიდევ 1913 წელს მიხდებოდა მუშაობა პროფ. გორშისთან სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო პროექტის შედგენაზე.

მთელი მუშაობა ინტენსიურად იწარმოებს, რაც თავდებია იმისი, რომ ეს დიდი საქმე წარმატებით დამთავრდება.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

შრომის დაცვის გასაძლიერებლად

საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ამიერ - კავკასიის შრომის დაცვის ორგანოების მუშაობის გასაძლიერებლად 1926—27 წელში გადადებული 20.000 მანეთი, ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ გაანაწილა შემდეგნაირად: საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატს მისცა 5.865 მანეთი, აზერბეიჯანს — 8.125 მანეთი, სომხეთს — 3.210 და ამიერ - კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს—2.800 მანეთი.

შაქრის ტრესტის წარმომადგენლობა

ამიერ - კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ აუცილებლად სცნო, რომ შაქრის ტრესტის ამიერ - კავკასიის კანტორა მოთავსებული იქნეს თბილისში.

ტყვარჩელის ქარხანაში

ამიერ - კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭომ ნება დართო „იუგოსტალ“-ს გადასდოს მიმდინარე წელში 100.000 მანეთი ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების სამრეწველო გამოკვლევისათვის.

ა.-კ. სოცდაზღვევის საბჭო

ამიერ - კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ა.-კ. სოცდაზღვევის სამმართველო შემდეგი შემადგენლობით: თითო წარმომადგენელი ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატიდან, ა.-კ. ფინსახკომიდან, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოებიდან, საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოდან, სამი წარმომადგენელი ამიერ კავკასიის პროფსაბჭოდან, თითო წარმომადგენელი რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებიდან და ერთი საერთო წარმომადგენელი რესპუბლიკანურ ჯანსახკომებიდან. სოცდაზღვევის საბჭოში ჯანსახკომების წარმომადგენების მონაწილეობის წესი და რიგი უნდა შეიმუშაონ თვითონ ამ კომისარიატებმა.

ეს დადგენილება წარდგენილია დასამტკიცებლად ამიერ - კავკასიის ცაკში.

თბილისის უბნის რკინისგზელთა მერვე ყრილობა

მე-8 და მე-9 სხდომები

კვირას, დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს თავმჯდომარის ამხ. **ლაშქარიშვილის** და საუბნო შრომის ინსპექტორის ამხ. **ზაზროევის** მოხსენებები.

ამხ. ლაშქარაშვილის მოხსენება

ამხ. ლაშქარაშვილის მოხსენება შეიცავს საუბნო დამზღვევ სალაროს საქმიანობას თერთმეტი (1926 წ. 1 მაისიდან—27 წ. 1 აპრილამდე) თვის განმავლობაში.

ამ პერიოდში სალაროში შესულა 1.290.014 მან., გაუციათ დახმარების სახით — 1.219.331 მან. ყველაზე მეტი დახმარება გაცემულია დროებით შრომის უნარ მოკლებულებზე—602.000 მან.; ინვალიდებზე გაცემულია 196.025 მან. დაზღვეულთა ოჯახის წევრებზე—398.025 მან. და უმუშევრებზე—35.812 მან.

საანგარიშო პერიოდში საექიმო-საკონტროლო კომისიები ინტენსიურად მუშაობდენ. მათ ჰქონდათ სულ 207 სხდომა და გაარჩიეს 6.157 საქმე.

კურორტებზე გამგზავნ საექიმო კომისიაში გატარებულა — 1.264 ავადმყოფი. მათგან საზაფხულო კურორტებზე გაუგზავნიათ 1926 წ. 219 კაცი (მათგან—179 მუშა), ხოლო ზამთრის პერიოდში 37 კაცი (მათგან—23 მუშაა).

ამხ. ზაზროევის მოხსენება

საუბნო შრომის ინსპექციას საანგარიშო პერიოდში მოუხდენია 143 გამოკვლევა. სულ წაუყენებია ადმინისტრაციისათვის—1.352 მოთხოვნა.

გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნების მიხედვით, ინსპექციას გამოუკვლევია 103 საქმე.

საანგარიშო პერიოდში, მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ინსპექციას გაუცია—41.680 მან. გარდა ამისა, ამავე მიზნით, გზის გამგეობას გაუცია 12.000 მანეთი. მთელი ამ თანხიდან დახარჯულია დანიშნულებისამებრ 80 პროცენტი.

სხდომის დასრულების შემდეგ, დელეგატების მთელი შემადგენლობა გაემგზავრა ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელსადგურის დასათვალიერებლად.

მორიგი სხდომა გაიხსნა გუშინ დილას კამათით ამხ. ლაშქარიშვილის და ზაზროევის მოხსენებების გარშემო.

კამათის დასრულების და საბოლოო სიტყვების მოსმენის შემდეგ სხდომა დაიხურა.

უკანასკნელი სხდომა

23 მაისის საღამოს სხდომაზე ყრილობამ მიიღო ცალკე კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები საუბნო კომიტეტის და გზათა გამგეობის მოხსენებების შესახებ.

დასასრულ მოხდა არჩევნები საუბნო კომიტეტის, სარევიზიო კომიტეტის და საუბნო დამზღვევ სალაროსი.

საუბნო კომიტეტში აირჩიეს 39 წევრი და 9 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში—3 წევრი და 2 კანდიდატი და საუბნო დამზღვევ სალაროში—11 წევრი და 2 კანდიდატი.

ყრილობის დახურვისთანავე შესდგა ახლად არჩეულ საუბნო კომიტეტის პლენუმი, რომელზედაც არჩეულ იქნა პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. **კ. სულავა**—თავმჯდომარეთ, **ბეჟანოვი**—პასუხისმგებელ მდივნათ, **რაზმაძე**—სატარიფო-ეკ; განყ. გამგეთ, **გვარამაძე**—საორგანიზაციო განყ. გამგეთ, **დ. ფანცულაია, დემეტრაშვილი, სურმავა, პონამარენკო** და **მაჭარაძე.**

კანდიდატებად: **მუკერია, არაქელოვი** და **ზოლქვაძე.**

საუბნო საგზაო შრომის ინსპექტორად აირჩიეს ამხ. **ზაზროევი.**

ქრონიკა

საქართველოს სამხედრო გზაზე

გუშინ „ზაკავტომპრომტორგ“-მა გაგზავნა მოტოციკლეტების საქართველოს სამხედ. გზის მდგომარეობის გამოსარკვევად. მიღებულ ცნობის თანახმად, მიმოსვლა ეხლა შესაძლებელია. მაგრამ „ზაკავტომპრომტორგ“-მა გადასწყვიტა ჯერ კიდევ არ გახსნას მიმოსვლა. სანამ გზატკეცილების სამმართველოდან არ მოვა ცნობა, რომ გზა სავსებით მზად არის მიმოსვლისათვის.

ჭლექის სამდღიური

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცნობით, ჭლექის სამდღიურის ჩატარება გადადებულია 11, 12 და 13 ივნისისათვის.

სომხეთის კომუნალური ბანკი

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება სომხეთის კომუნალური ბანკის განვითარებისა და განმტკიცებისათვის ხელისშემწყობი ზომების შესახებ.

აუცილებლად იქნა ცნობილი, რომ სომხეთის კომუნალურ ბანკს სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის საოლქო კანტორისაგან მიეცეს დამატებითი კრედიტი 350.000 მან.

თბილისის ალმასკომში

◆ **სამობილიზაციო ბიურო.** ალმასკომთან ამხ. სუხიშვილის თავმჯდომარეობით დაარსდა სამობილიზაციო ბიურო.

◆ **შეფასებითი გადასახადის** (შენობებზე) შეტანის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 15 ივნისი და 15 აგვისტო.

◆ **ახალი ქარხანა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება თბილისში აგებს ქუჩების მოსაკირწყლავ კუბიკების (გელათის ქვების) დამამზადებელ ქარხანას.

◆ **შოთა რუსთაველის** ძეგლის ასაგებათ ალმასკომმა ამოარჩია ის ადგილი, სადაც ამჟამად არის ყოფ. სამხედრო მუზეუმი (სამხატვრო გალერეა).

◆ **წყალსადენი სოფლად.** სოფ. წალასწყურში წყალსადენის გასაყვანათ ალმასკომმა გადასდო 2.812 მანეთი.

◆ **მოწაფეთა ექსკურსია.** განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა ზაფხულის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოაწყოს თბ. შრომის სკოლების მოწაფეთა ექსკურსიები.

◆ **ჭლექის სამდღიურის** ჩასატარებლად ალმასკომთან დაარსდა ცენტრალური კომისია ამხ. სუხიშვილის თავმჯდომარეობით.

განათლების კომისარიატში

◆ **თათბირი.** 30 მაისს პოლიტგანათლების მთავარ მმართველობა იწვევს პოლიტცოდნის მოძრავ სკოლების ლექტორთა რესპუბლიკანურ თათბირს.

◆ **არასრულწლოვანთა საქმეების** განმხილველ კომისიაში ა. წ. აპრილში შემოვიდა 50 საქმე. ბრალი ედებოდა 61 ბავშვს, მათ შორის 1 ქალია. ეროვნების მიხედვით: 12 ქართველია, 10 რუსი, 25 სომეხი, 14 თურქი.

◆ **ახალგაზრდობის სკოლა.** მანგლისში მომავალ სასწავლო წლიდან გაიხსნება გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

ა.-კ. სახ.-სამ. ბანკის აქციონერთა თათბირი

ხუთშაბათს, 26 მაისს თბილისში გაიხსნება ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო ბანკის აქციონერთა თათბირი.

სხვა და სხვა

◆ **გრიპი.** თბილი ამინდების გამო, გრიპით დაავადების შემთხვევები საგრძნობლად შემცირდა.

◆ **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** აგრონომიულ ფაკულტეტზე სახელმწიფო გამოცდების სესია დაიწყება ივნისის პირველს, განცხადებები მიიღება აგრონომიული ფაკულტეტის საქმის მწარმოებელთან მაისის 28-მდე.

— **თბილისის ბირჟის წევრთა კრება.** კვირას 29 მაისს დილის 10 საათზე შესდგება თბილისის საქონლის ბირჟის წევრთა წლიური კრება.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: მოხსენება საბირჟო კომიტეტის საქმიანობის შესახებ მთელი 1925-26 წ. და 1926-27 წ. პირველი მეოთხედის განმავლობაში, სარევიზიო კომისიის მოხსენება, მთელი 1925-26 წ. და 1926-27 წ. პირველი მეოთხედის საფინანსო ანგარიში, ამავე პერიოდების სტატისტიკური ანგარიში, მოხსენება საბირჟო მუშაობის რეორგანიზაციის შესახებ, ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება და ბირჟის თავმჯდომარის, საბირჟო კომიტეტის წევრების, სარევიზიო და საარბიტრაჟო კომისიების არჩევნები.

ჩაუბარებელი დეპეშები

ალიათიდან — პიგიხოვისას, მარსელიდან— პროიზის, გაგრიდან—ცეკავას, ჭიათურიდან— კარაპეტიანცს, მოკვიდან—ლიტვაკს, ნახიჩევანიდან — გრიკუროვს, ტყიბულიდან — კობერიძეს, ბქოდან — კამენსკის, კულაშიდან— წულაიას, ოზურგეთიდან — ვადაჭკორიას, ხარაგოულიდან — დევდარიანს, ბაქოდან — ზაკუტაშვილს, ზესტაფონიდან — ამაღლობელს, სამარიდან—ტამაროვს.

კრებები და მოხსენებები

◆ **საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებაში** დღეს, ა. წ. 24 მაისს, საღ. 7 საათზე, საქართველოს მუზეუმში დანიშნულია **საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების** სხდომა. დღის წესრიგი: 1) პროფ. **ალ. ჯავახიშვილი.**—დუგლას ფრეშფილდი — კავკასიონის მკვლევარი; 2) პროფ. **ალ. თვალჭრელიძე.** — მინერალოგთა პირველი ყრილობა ლენინგრადში; 3) მიმდინარე საკითხები.

მიწისძვრები

კატასტროფიული მიწისძვრა

კვირას, 22 მაისს, ღამის 1 საათზე 40 წუთზე (თბილისის დროით) საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს კატასტროფიული ხასიათის მიწისძვრა. მიწისძვრა იმდენათ ძლიერი იყო, რომ ცნობის ჩასაწერად საკმარისი აღმოჩნდა ჩვეულებრივი ზომის ფირფიტა.

მიწისძვრის კერა თბილისიდან დაშორებულია დაახლოვებით 5.000 კილომეტრით. მიმართულება გამოურკვეველია.

ახლობელი მიწისძვრა.

გუშინ, 23 მაისს, დილის 5 საათსა 33 წუთზე (თბილისის დროით) საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს ახლობელი სუსტი მიწისძვრა.

მიწისძვრის კერა თბილისიდან დაშორებულია დაახლოვებით 50 კილომეტრით.

ცნობები ადგილებიდან.

გორში

გორი, 23 მაისი. 22 და 23 მაისს გორში შენიშნეს სამი მიწისძვრა ბიძგი. პირველი ორი უმნიშვნელო იყო, ხოლო მესამე ბიძგის დროს დაზიანდა ზოგიერთი სახლების კედლები (ადს).

შემთხვევები

◆ **ფანჯრებიდან მინების** ამოჭრის საშუალებით 21 მაისს ლენინის ქ. 36 გაქურდეს გარეგინ ტერტეროვის სავაჭრო.

◆ **სასტუმრო „ორიანტი“-ს** საწყობიდან მოპარული იქნა 100 მანეთის ნივთები.

◆ **1-ლ საბავშვო სახლიდან** მოიპარეს წყალსადენის მილები და სხვ. ნივთები.

◆ **მწვანე ბაზარში** 22 მაისს ლევან გაბელიანცს ჯიბიდან ამოაცალეს 120 მანეთი.

◆ **გვამის პოვნა.** სოღანლუღის მახლობლად მდებარე კუნძულზე ნაპოვნი იქნა მამაკაცის გვამი, რომელიც აღმოჩნდა ტიგრან აბოვიანცი.

◆ **თავის დაჭრა.** 22 მაისს დილას ბოტანიკურ ქუჩაზე რომანიულ ნიადაგზე თავი დაიჭრა კატუშა არჩუაძემ.

◆ **ქალ .1-ლ საავადმყოფოს კლუბიდან** 21 მაისს მოიპარეს სცენის ფარდა.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 22 მაისს ანდრეევის ქ. 16 გაქურდეს ნიკიტა კოსლნიკოს ბინა. წაიღეს 150 მ. ნივთები.

◆ **ვერ მოასწრო.** 21 მაისს კამოს ქ. 72 აიკანუშ ოვასეპიანცის ბინაზე შეიპყრეს ვინმე ბორის საქსონოვი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

◆ **უცნობი პირი.** 21 მაისს პლეხანოვის გამზირი 165 შეიპარა მოქ. პერტუნოვის ბინაში. მაგრამ პატრონის დროზე გამოღვიძების გამო, ქურდმა წასაღებათ შეგროვილი ნივთები იქვე დასტოვა და მიიმალა.

◆ **კინო „სოლეი“-ში** იაგორ რაენიკოვს ჯიბიდან ამოაცალეს 465 მანეთი.

◆ **დეკეულის მოპარვისათვის.** 21 მაისს სოფ. რუსთავში შეიპყრეს ასან ალი-ოღლი, ასან ალი იბრაგიმ ოღლი და ალმაზ აჯი-ოღლი.

◆ **ქურდი ქალი.** 22 მაისს შეიპყრეს ქურდი ქალი ელენე იარცევა.

◆ **სხვადასხვა ქურდობის** ჩადენისათვის 22 მაისს შეიპყრეს ამუდ ბაბაევი.

◆ **ფულის მითვისება.** 22 მაისს სახაზინო ფულების მითვისებისათვის შეიპყრეს თბ. ალმასკომის უძრავ - ქონებათა სამმართველოს საბჭოთა სახლების კომენდატი გიორგი რიგიშვილი.

◆ **„საქართველოს ჩაი“-ს** სამმართველოდან ყალბი საბუთით 80 მ. გამოტანისათვის დააპატიმრეს ხაჩიკ აგაიანცი.

◆ **ქურდი ქალი.** 22 მაისს შეიპყრეს თამარ ბაზარაშვილი, რომელსაც ბრალდება ივანე ნინიძისათვის ოქროს საათის მოპარვა.

◆ **ნაბადის ქურდი.** 21 მაისს შეიპყრეს რუბენ ტერ-აკოფოვი, რომელმაც მწვანე ბაზარში აქსენტი მურღულიას მოპარა ნაბადი.

რიონის ჰიდროელსადგური

საბურღი სამუშაოების დაწყება

რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო ამ დღეებში სადგურის ასაგებ ადგილას გზავნის სპეციალურ საგამოკვლევო კომისიას, რომელმაც უნდა აწარმოოს საცდელი ბურღვა. საცდელი ბურღვა იწარმოებს გვირაბისა და მთავარი ჯებირის ადგილებზე.

გვირაბის ადგილას ამოღებულ იქნება რამოდენიმე ჭა-ბურღილი, რომლითაც გამოიკვლევენ გვირაბის გასაყვანი ნიადაგის შემადგენლობას და ამის კვალობაზე შეიმუშავებენ გვირაბის გაყვანის წესს.

რიონის ჰიდრო-ელსადგურის ტერიტორიაზე მომუშავე ტეხნიკოსების საგამოკვლევო კომისიას ხელმძღვანელობს ინჟ. **მურეევი,** ხოლო საბურღ სამუშაოებს უხელმძღვანელებს სპეციალურად მოწვეული ინჟ. **პესტოვსკი.**

სასამართლო

ოლქის სასამართლოს სესიის მუშაობა

ამ დღეებში თბილისის მაზრიდან დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია ამხ. **ლაშხის** თავმჯდომარეობით. სესიამ მაზრაში დაჰყო ერთ თვეზე მეტი და გაარჩია 43 საქმე.

გარჩეულ საქმეების ხასიათი შემდეგნაირია: თითქმის ნახევარზე მეტი — მკვლელობა და ხელის შეწყობა მკვლელობისათვის, შემდეგ— გაფლანგვა, სქესობრივი და თანამდებობრივი დანაშაული, მცირე პროცენტი სხვა ხასიათის ბოროტმოქმედებანი, როგორიც არის ქურდობა, ძალა-უფლების გადამეტება და სხვ.

მცირეა აგრეთვე საქმეები ყაჩაღობის შესახებ.

საქმეების უმრავლესობა განხილულია ადგილობრივად, სახელდობრ: მანგლისში, წალკაში და აღბულაღში.

სასამართლოს სხდომებს დიდძალი გლეხობა ესწრებოდა.

სესიის და საერთო სასამართლოს ავტორიტეტი გლეხობის თვალში ფრიად მაღალია.

სასამართლოს სესიის გამგზავრება

31 მაისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია ამხ. **ი. სიჭინავას** თავმჯდომარეობით მიემგზავრება გორის მაზრაში. სესია იქ დაჰყოფს ორ თვეს და გაარჩევს 51 საქმეს.

ორი ცოლის ქმარი

განაჩენი

გუშინ, სასამართლომ გამოიტანა განაჩენი **ივანე საკაშვილის** საქმეზე.

საკაშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი **მარო ლევერაშვილის** (მეორე ცოლი) წინასწარი განზრახვით დაჭრაში, რისთვისაც მიესაჯა მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუმცირა ორ წლამდე.

სასამართლომ გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ ბრალდებული არ წარმოადგენს სოციალურად მავნე პიროვნებას და სასჯელი შეუცვალა პირობით.

ერთი დავის შედეგი

გასული წლის 3 მაისს, ბორჯომის ფარგლებში რკინისგზის ლიანდაგზე, აღმოაჩინეს შაშხანა თოფით მოკლული მოქ. **პეტრე ნოზაძის** გვამი. ათი ნაბიჯის დაშორებით იპოვნეს თოფი.

საგამომძიებლო ორგანო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მკვლელობა ჩადენილია მოქ. **ალექსანდრე გურგენიძის** მიერ.

გამოირკვა, რომ მოკლულსა და გურგენიძის შორის წინედ დავა არსებობდა მიწის ნიადაგზე.

კარგა ხანი გავიდა, სანამ ალექსანდრე გურგენიძე დააპატიმრეს.

გამოძიებით გამოირკვა, რომ მოკლულსა და ბრალდებულს შორის წინედ არსებობდა დაუსრულებელი ჩხუბი და დავიდარაბა, რომელიც ზოგჯერ ცემა - ტყეპამდისაც მიდიოდა.

ნოზაძესა და გურგენიძის შორის დავა არსებობდა მიწის ნიადაგზე. წინასწარი გამოძიების დროს დაკითხულმა მთელმა რიგმა მოწმეებმა ეს გარემოება დაადასტურა.

ბოლოს მათი საქმე სასამართლოში გაირჩა და სადაო მიწები სასამართლომ ნოზაძეს მიაკუთვნა. ამით გურგენიძე კიდევ უფრო გაბრაზდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ალ. გურგენიძემ ნოზაძის მოკვლის განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

გამოძიების დროს გურგენიძემ თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ შემთხვევის დღეს ის იყო წალკაში „წმინდა - მამა“ **თომა საბაძეს**თან „ახლად აღმოჩენილ ეკლესიის სანახავად“.

საქმე მალე გაირჩევა სასამართლოში.

ტრაგიკულად დასრულებული ქეიფი

ეს ამბავი მოხდა გასული წლის 25 ნოემბერს. მოქ. **სერგო ცნობილაძე** და **პოლიკარპე არსენიძე** მიპატიჟებული იყვნენ ამხანაგის ოჯახში, სოფ. ჩხეთში (ქუთაისის მაზრ).

ცნობილაძე დათვრა და დაიძინა მახლობელ ოთახში. არსენიძემ შეამჩნია, რომ ცნობილაძეს საყელო უჭერდა და უთხრა ცოლს მძინარე მეგობრისათვის გაეხსნა საყელო. ქალმა უარი განაცხადა, შემდეგ არსენიძემ თვითონ გაუხსნა საყელო ცნობილაძეს. ამ დროს სიმთვრალით, წაიბორძიკა და დაეცა მძინარეს. ცნობილაძე შეშინებული წამოხტა და დანით დასჭრა არსენიძე, რომელიც გარდაიცვალა.

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ქუთაისში გაარჩია ცნობილაძის საქმე და სისხლის სამართლის დანაშაულობის უქონლობის გამო — საქმე მოსპო.

პროკურორი **დევდარიანი** არ დაეთანხმა განაჩენს და საკასაციო პროტესტი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საქმე გაირჩევა დღეს.

სახლი მუშებისათვის

19 მაისს საალმშენებლო კომიტეტმა ჩააბარა რკ. გზ. კიდევ ერთი ახალი სახლი. სახლი აშენებულია ნაძალადევში და მდებარეობს რკინისგზის ელსადგურის ახლოს.

ახალი სახლი აშენებულია ქვისაგან, არის ორ სართულიანი და შეიცავს რვა ბინას.

სახლი დაჯდა 60.000 მანეთზე მეტი.

დღეს ამ სახლში ჩაასახლებენ თბილისის კვანძის უბინაო რკინის-გზელებს.

ხელოვნება

სამხატვრო აკადემიის იუბილე

22 მაისს, სახელმწ. სამხატვრო აკადემიის არსებობის ხუთი წლის თავის გამო, აკადემიის დიდ დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა. დღის 12 საათიდან აკადემიის შენობაში თავი მოიყარა დიდძალმა სტუდენტობამ და ხელოვნების ყველა დარგების წარმომადგენლებმა. აქვე იყვნენ აგრეთვე სხვადასხვა კულტურულ, სამეცნიერო და სხ. დაწესებულებათა წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა აკადემიის რექტორმა პროფ. **გ. ჩუბინაშვილმა,** რომელმაც ამასთანავე მოკლე მიმოხილვა გაუკეთა აკადემიის მიერ ჩატარებულ მუშაობას და ფართოდ განმარტა აკადემიის მომავალი მუშაობის პერსპექტივები.

— ხელოვნების განვითარების გზები,—ამბობს პროფ. ჩუბინაშვილი,—ბურჟუაზიულ ქვეყნებში სულ სხვა გზებით მიემართებიან. იქ ტეხნიკისა და ინდუსტრიალიზაციის განვითარებამ წარმოშვა მდიდართა ხელოვნება, რომელიც მათ გაიხადეს სიამოვნების მონოპოლიურ საგნათ. იქ ხელოვნება სავსებით მოშორებულია თავის პირველყოფილ წყაროს—მშრომელ ხალხს.

შემდეგ ორატორი ამბობს, რომ ბურჟუაზიულ სინამდვილეში ხელოვნების, და კერძოთ, მხატვრობის განვითარების გზები დახშულია, ვინაიდან ხელოვნება კაპიტალმა გაიხადა თავის მოსამსახურეთ.

საბჭოთა კავშირში კი გამეფებულია მშრომელი ხალხი, რომელთანაც, ხელოვნება დაკავშირებულია უშუალოდ.

შემდეგ დაიწყო მისალმებანი. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს კომპოზიტორმა **დ. არაყიშვილმა,** ხელოვნების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელმა—ამხ. **შესტოვმა,** პროლეტარული სტუდენტების წარმომადგენლებმა, ქართველ მხატვართა საზოგადოების წარმომადგენელმა და სხ. წაკითხულ იქნა აგრეთვე მისასალმებელი ბარათები განათლების კომისარიატიდან. ჰაიარტუნიდან და სხ. დაწესებულებებიდან.

სხდომის დასრულების შემდეგ ზეიმის მონაწილეებმა დაათვალიერეს აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენა სამხატვრო აკადემიაში

საქართველოს სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა აკადემიის მსმენელების ნამუშევართა გამოფენა, რომელიც ღიაა დილის 11 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

ექსკურსანტებისათვის გამოყოფილია სპეციალური კაცი, რომელიც ახსნა - განმარტებას მისცემს მათ, შესვლა უფასოა.

რკინისგზის გაყვანა

ქალაქ ზუგდიდამდე

ზუგდიდის ალმასკომმა აღძრა საკითხი, რომ შავი ზღვის რკინის გზის ხაზი, რომელიც ეხლა გაჰყავთ, მიუახლოვდეს ქალ. ზუგდიდს. შავი ზღვის რკინის გზის მაგისტრალი ქალ. ზუგდიდიდან არის დაშორებული 5 ნახევ. ვერსით.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ რკინის გზის ქსელი შავი ზღვის რკინის გზის ხაზიდან უნდა იქნას გაყვანილი სოფ. ჯვარამდე, სადაც აიგება ქაღალდის ფაბრიკა, და აგრეთვე ის გარემოება, რომ ეს ხაზი გაივლის თვითონ ქალაქ ზუგდიდზე, მიზანშეწონილად სცნო შავი ზღვის რკინის გზის მაგისტრალის მიმართულების შეცვლა.

ამასთან ერთად, საქართველოს საგეგმო კომისიამ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შავი ზღვის რკინის გზას წინასწარი მუშაობისათვის დაუყოვნებლივ მიეცეს ფული იმ თანხებიდან, რომელიც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ უნდა გაიღოს რკინის გზის ხაზის ზუგდიდამდე მოახლოებისათვის ხარჯების დასაფარავად.

სოფელ ჯვარამდე

რადგან სპეციალისტების დასკვნით ქაღალდის ქარხანა უნდა აშენდეს სოფელ ჯვარში და ეს კი მოითხოვს ხსენებულ სოფლის დაახლოვებას ცენტრთან რკ. გზის ლიანდაგით, საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო შავი ზღვის რკინის გზის მაგისტრალიდან აღნიშნულ სოფლამდე რკ. გზის შტოს გაყვანა, რაც ერთის მხრივ სავსებით დააკმაყოფილებს ქალაქ ზუგდიდის საჭიროებას და მეორეს მხრივ კი დააახლოებს ერთი მეორესთან საქართველოს უმდიდრეს ნაწილებს (სამეგრელო, სვანეთი და სხვ.)

ამისათვის პრეზიდიუმის აზრით საჭიროა აღიძრას შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე, რათა დასახელებულ რკინის გზის სამმართველოს მიეცეს განკარგულება ამ შტოს გასაყვანად საჭირო გამოკვლევითი ხასიათის მუშაობის ეხლავე დაწყების შესახებ და ამასთან დაკავშირებით გაცემულ იქნეს ახალი ვარიანტით გათვალისწინებული თანხა, დაახლოვებით 400.000 მან. რაოდენობით.

3.5000.000.000 მანეთი

კომუნალური მეურნეობისათვის

ხარკოვიდან თბილისში დაბრუნდენ ამხ. **დიასამიძე, ქურდიანი,** და სხვ., რომლებიც დაესწრენ წყალსადენის; სანიტარულ და ტეხნიკურ დარგის მუშაკთა საკავშირო ყრილობას.

ყრილობას დაესწრო 500-ზე მეტი დელეგატი. ყრილობას დაესწრენ აგრეთვე დელეგატები ოსმალეთიდან, ამერიკიდან და გერმანიიდან.

ყრილობამ დაასახა მთელი რიგი საბჭ. კავშირის ტერიტორიაზე კომუნალური კეთილმოწყობის გენერალური გეგმა. ამ გეგმის განხორციელების ღირებულება ყრილობამ განსაზღვრა 13 მილიარდი მანეთით. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ჩუბარმა** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საკავშირო მთავრობამ საჭიროდ სცნო ამ მიზნის განსახორციელებლად ახლო მომავალში მიღებულ იქნეს სამ მილიარდ ნახევარი მანეთი. ახალ მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 2 მილიარდი მანეთის დახარჯვა, კერძოო კეთილმოწყობილობისათვის—550 მილიონის. ახალ მშენებლობისათვის გაღებულ თანხიდან 640 მილიონი მანეთი უნდა მოხმარდეს ქუჩების მოკირწყვლას, 800 მილიონზე მეტი სანიტარიას დასახლებულ ადგილებში.

ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე სოფლის მომარაგებას წყლითა და ელექტრონით.

ყრილობამ სავსებით მოიწონა თბილისის ალმასკომის მიერ გაწეული მუშაობა.

საექსკურსიო ბიურო

პოლიტგანათლების მთავარ მმართველობასთან დაარსდა ცენტრალური სახელმწიფო საექსკურსიო ბიურო, რომელსაც ევალება იდეური ხელმძღვანელობა გაუწიოს საქართველოს ფარგლებში მოწყობილ ექსკურსიებს. ცენტრალური ბიუროში შედიან შემდეგი დაწესებულებების წარმომადგენელნი: პოლიტგანათლების, ფიზკულტურის უმაღლს საბჭოს, გეოგრაფიულ საზოგადოების, სოციალურ აღზრდის და პროფგანათლების სამმართველოების, სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტეხნიკუმის, თბ. გლეხკომის და თბ. ალმასკომის პოლიტგანათლების განყოფილების.

ეს ბიურო იკრიბება საჭიროების დროს, ხოლო მიმდინარე მუშაობის საწარმოებლად ირჩევს პრეზიდიუმს, რომელიც კვირაში ერთხელ გამართავს სხდომას. შორეულ და ადგილობრივ ექსკურსიათა მოწყობის ხელმძღვანელობისათვის ბიუროსთან დაარსდება ტეხნიკურ-მეთოდიური კომისია. ბიურო ექსკურსიებისათვის შეადგენს მარშრუტს ექსკურსიების შემადგენლობის მიხედვით.

ადგილის და საჭიროების მიხედვით ბიურო მოაწყობს ბაზებს, თავშესაფარებს, ქოხებს; შეინახავს ბიბლიოთეკებს ეყოლება საკუთარი ინსტრუქტორ-მოგზაურები, ტვირთმზიდავები და სხვ. ბიურო მოიწვევს კრებას და ყრილობებს საექსკურსიო საკითხების განსახილველად, მოაწყობს მოკლევადიან მეთოდიურ კურსებს და კონფერენციებს, გამოსცემს საჭირო ლიტერატურას ფართო მასებში გასავრცელებლად, გასწევს პროპაგანდას მოხსენებების, ლექციების, მოწოდებების და სხვ. საშუალებით.

ფეხბურთი

„დინამო“ — „არსრაიონი“

„დინამო“-ს შემდეგ „არსრაიონი“ ყველაზე უფრო ძლიერი გუნდია ამჟამად თბილისში. ამიტომ ამ გუნდების შეხვედრას დიდის ინტერესით მოელოდა ფეხბურთის მოყვარულთა საზოგადოება.

მართლაც გუნდების ამხანაგური შეხვედრა, რომელიც გაიმართა კვირას „დინამო“-ს მოედანზე, მეტად საინტერესო გამოდგა, როგორც თამაშის, ისე შედეგის მხრივ. „დინამო“-ს ამ მატჩში აკლდა ძირითადი მოთამაშე **ანიკინი,** რომელიც შესცვალა **გუნიამ,** „არსრაიონ“-მა კი მეკარეთ გამოიყვანა ისეთი ძლიერი მოთამაშე, როგორიც არის **ალ. პაპკოვი.**

პირველ ტაიმის ნაწილში დინამოელები აძლიერებენ შეტევას. ხშირია „შუშტები“ „არსრაიონის“ კარებში, მაგრამ პაპკოვი მოხდენილად იჭერს ყველა ბურთებს. თამაშის შემდეგ პროცესში ორივე გუნდი სცდილობს მიაღწიოს შედეგს, მაგრამ ცდები უნაყოფოდ თავდება.

მეორე ტაიმში აშკარა ხდება დინამოელების უპირატესობა. ტაიმის პირველ ნახევარში თამაში თითქმის სულ „არსრაიონის“ კარებთან სწარმოებს. **ფაჩულია** რამოდენიმეჯერ ურტყამს მძლავრად გოლში, მაგრამ პაპკოვი ამ ბურთებსაც იჭერს. შუა ტაიმში დინამოელები მაინც ახერხებენ პირველი ბურთის გატარებას „არსრაიონის“ კარებში.

„არსრაიონი“ სცდილობს გააქვითოს ანგარიში, მაგრამ დიდხანს თამაში შედეგს არ იძლევა. ტაიმის ბოლოს არსრაიონელი **მალალაშვილი** საჯარიმო დარტყმიდან გააქვითებს ანგარიშს და მიღებული შედეგი აღარ ირღვევა თამაშის დასრულებამდე.

ამრიგად, შეჯიბრი თავდება 1:1.

ვ—ნი.

ავტომობილის კატასტროფა გაგრა-სოხუმის ხაზზე

რამ გამოიწვია კატასტროფა

თბილისში დაბრუნდა „ზაკავტოპრომტორგ“-ის რწმუნებული, რომელიც გამგზავრებული იყო გაგრა-სოხუმის გზაზე 29 აპრილს ავტომობილის დამტვრევის მიზეზების გამოსარკვევად. მიზეზების გამორკვევა სწარმოებდა დაწვრილებით, დათვალიერებული იქნა როგორც ის ადგილი, სადაც კატასტროფა მოხდა, ისე მთელი გზა გაგრიდან სოხუმამდე.

გამოძიების შედეგების შესახებ „ზაკავტოპრომტორგ“-ის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ცურინოვმა** განაცხადა შემდეგი:

არავითარ შემთხვევაში კატასტროფის მიზეზად არ ჩაითვლება ავტომობილის ნაწილების გაფუჭება, რადგან მუხრუჭი ან რაიმე სხვა ნაწილი, რომ გაფუჭებულიყო, შეუძლებელი იქნებოდა მანქანის შეჩერება დაღმართზე და ის უსათუოდ ხრამში გადაიჩეხებოდა. ავტობუს („ფიატ“ № 128), რომელსაც 29 აპრილს კატასტროფა მოუვიდა, მართავდა შოფერი გძელიშვილი. უკანასკნელს დიდი სისწრაფით მიჰყავდა მანქანა და დაავიწყდა, რომ იქავე მახლობლად მანქანას ერთბაშად მოხვევა დასჭირდებოდა. გზის ამ რაიონის მდგომარეობა შოფერ გძელიშვილს უნდა სცოდნოდა. მან ვერ გამოიჩინა განსაკუთრებული სიფრთხილე, რაც საჭირო იყო ამ ადგილას მოხვევის დროს.

დასასრულ ამხ. ცურინოვმა განაცხადა, რომ შოფერი გძელიშვილი პასუხისგებაშია მიცემული, როგორც დამნაშავე ამ კატასტროფის გამოწვევაში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, 24 მაისს, 2 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკ. ბიუროს კრება, ხოლო 3 საათზე კი უჯრედის საერთო კრება. წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ის ამხ., რომელთაც აქვთ შემოტანილი განცხადებები.

— **ოთხშაბათს, 25 მაისს, ნაშუადღევს 5 საათზე შესდგება** საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას საკონფლიქტო კომისიის მორიგი სხდომა დასწრება კომისიის წევრების სავალდებულოა დაუგვიანებლად. მასთან ქვემოაღნიშნულ ამხ. წინდადება ეძლევათ გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე. ქრისტიფორე ვახტანგიშვილს, ამირზაგულოვ ერვანდს, ალექ. ბატიაშვილს, გაბოიან მამიკონს, ირაკლი აბაშიძეს, აზარ დიაროვს, ურუშაძე გრ.

— სახ. უნივ. პედაგოგიური ფაკ. კომუჯრედის ბიურო აცხადებს პედაგოგიური ფაკ. უჯრედის წევრ - კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ ვინც ხელახალ რეგისტრაციაში არ გატარებულა 21 მაისს, მათ წინადადება ეძლევა გამოცხადდენ და გატარდენ რეგისტრაციაში 24 მაისიდან 28 მაისამდე, ალმასბიუროში ამხ. ფანცხავასთან.

— დღეს, 24 მაისს, დილის 11 საათზე, საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობის შემმოწმებელ კომისიების თათბირი.

— დღეს, 24 მაისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება **წერკუმს-ის მე-4-ხე რაიონის** ბიუროების გაფართოებული პლენუმი. დასწრება ყველა ბიუროების წევრებისა სავალდებულოა.

— **სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო** კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, დღეს 24 მაისს 12 საათზე გამოცხადდენ ყოველ მიზეზ გარეშე ბიურო-კოლექტივში. **სოც. ეკონ. დარგიდან:** ნუცუბიძე აპალონ, ენუქიძე ევდოკიმე, ცაგარეიშვილი ყორა, ჰაია სევერიან, ადეიშვილი ილია, ტოროშელიძე გრიშა, კბილაძე კალისტრატე, წულეისკირი ბაბულია, კვანტალიანი კონსტანტინე, მეგრელიშვილი გაბრიელ, ხუციშვილი სარდიონი, ბარდაველიძე ნიკოლოზ, კაცია აკაკი, კაპანაძე დავით, რობაქიძე სევერიან. **პედაგოგი. უჯრედიდან:** პეტრიაშვილი, ფანცხავა სოსო, ბობოხიძე კალისტრატე, ჯალაღანია დავითი, ლოლობერიძე სილოვან, ვეკუა ილია, მამულაშვილი კონსტანტინე, გოგია ნიკოლოზ, ყალიჩავა სევერიან, ხაჯალია გრიგოლ. **სამკურნალო დარგიდან:** გიორგაძე ვარლამ, ჯაფარიძე აკაკი, ნარიკაშვილი სერგო, ხონელიძე შალვა, ხურციძე პოლიკარპე, ინასარიძე გიორგი. გოჩალეიშვილი აპალონ, გაბიანი არჩილ, სიმონგულოვი ვართან, ჩიქოვანი სერაპიონ. **აგრონომიული ფაკულტეტიდან:** აბანოიძე ნიკოლოზ, ქილაძე გიორგი, ცინცაძე გრიგოლი, ცომაია ნიკოლოზ, შალამბერიძე ხარიტონ.ხაჯაია ვლადიმერ, ქვირია ანდრო, უჩანეიშვილი ირაკლი, კუარაძე ნიკოლოზი, კაკულია ლეონტი. **პოლიტეხნიკური ფაკულტეტიდან:** ღაღანიძე შალვა, ცირეკიძე რაულ, ონიბროვსკი კონსტანტინე, გუჯეჯიანი ბორის, [illegible] მიხეილ.

— **საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ დღეს, 24 მაისს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახ. პოლიტსამმართველოს, მილიციის, მე-8 ათასეულის, ა.-კ. პოლიტსამმართველოს, თემქას, გრეხილი ავეჯეულობის ქარხნის, ალმასკ. 1 და 2 სტამბის, პოლიგრაფტრესტის 1, 2, 3 და 4 სტამბის, „ზარია ვოსტოკას“ სტამბის, „კრასნი ვოინ“-ს სტამბის, ლიტოგრაფიის, ლენინის ფაბრიკის, ფოსტის, ტელეფონის, ტელეგრაფის, საფოსტო საოლქო კავშირის და მშენებელთა უჯრედების მდივნების თათბირი.

—**სქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება** სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. თარხანოვთან (ოთახი 34).

1) ათანასე ანდროს ძე კოკაია, 2) დავით იუდას ძე ბევიშვილი, 3) გიორგი ივანესძე კიკნაძე, 4) ვასილი მიხეილის ძე ვოლკოვი, 5) ვართან კოჩაროვი,6)მიხეილ მარ კოზის ძე ბლინოვი, 7) აბრამ სოლომონის ძე ვიშოკოვეცკი, 8) აბელ ივანეს ძე სოლომონიშვილი, 9) ნიკოლოზ ალექსის ძე როგოვი, 10) სილიბისტრო გიორგის ძე სხირტლაძე, 11) მკრტიჩ ბაღდასარის ძე მკრტიჩიანი, 12 ნიკოლოზ ვასკანის ძე აბრამიანი, 13) გიორგი ქიტესას ძე შეწირული, 14) შალვა ლევანის ძე ჯალაღანია, 15) პავლე სამსონის ძე მახარაძე.

— **საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ დღეს, 24 მაისს, დილის 11 საათიდან დღის 1 ნახევ. საათამდე გამოცხადდენ რაიკომში.

1) მარკოვიჩი, 2) აფციაური, 3) მორჩილაძე, 4) გორიაჩევი, 5) კარპი, 6) ბობოხიძე, 7) მირზაბეკიანი, 8) ჭიპაშვილი, 9) ასლიბეკოვი, 10) ხოშტარია, 11) ბურჯანაძე, 12) პეტროვი, 13) სნევირევი, 14) ჭიპაშვილი, 15) ბავინი, 16) ნიკიტინი, 17) ასათიანი, 18) ი. კიკნაძე, 19) ბოკოვი, 20) ჟუკოვი, 21) ბლინოვი, 22) ჩხეტიანი, 23) სტეპანოვი, 24) კალატოზოვი, 25) ხარაზიანი, 26) შტეპპა, 27) გრეკოვი, 28) დავიდოვი, 29) ადამაძე, 30) არსენიძე, 31) იავენტინსკი, 32) იმედაძე, 33) ბუხნიკაშვილი.

— **საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ - განმანაწილებელი განყოფილება** სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რომ ორი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღმრიცხველ - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. [illegible] (ოთახი 24).

1) ივანე სპირიდონის ძე მარდალეიშვილი, 2) შალვა სიმონის ძე ჩხეიძე, 3) კონსტანტინე პავლეს ძე [illegible], 4) [illegible] კოპჯანიანი, 5) ვერასიმე ქიშვარდის ძე კილაძე, 6) ადამი ლეონტის ძე მარხვაიძე, 7) მიხეილ პავლეს ძე ჭიპაშვილი, 8) გრიგოლი ავთანდილის ძე გარაგანიძე, 9) შალვა ანტონის ძე ნიუცუბიძე, 10) ვლადიმერ ბართლომეს ძე ლეჟავა, 11) იონა ფარნაოზის ძე ჯავახია, 12) ვასილი ნიკოლოზის ძე ფანცულაია, 13) სევასტი გერასიმეს ძე თალაკვაძე, 14) იპოლიტე ლუკას ძე ბახტაძე, 15)ნიკიფორე ბესარიონის ძე ენუქიძე, 16) მიხეილ მიხეილის ძე ბახტაძე, 17) ანტონ სტეფანეს ძე აუშტროვი, 18) ვლადიმერ მათეს ძე თენეიშვილი, 19) ბორის (ბესარიონი) ალექსის ძე კველიშვილი, 20) ოგანეს ხაჩატურის ძე ხარიკიანი, 21) ვასილი ეფიმის ძე დუმბაძე.

— **საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას აღმრიცხველ-განმანაწილებელი განყოფილება** სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ ცეკას აღმრიცხველ - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **ლიცინოვთან.**

1) კონსტანტინე ვასილის ძე სიტნიკოვი, 2) გიორგი მიხეილის ძე პოპოვი, 3) ვლადიმერ გიორგის ძე კუზნეცოვი, 4) პავლე არტემის ძე დანჩენკო, 5) მიხეილ ვასილის ძე ჩუპაევი, 6) შერიფ ახმედის ძე მანათოვი, 7) დავით იოსების ძე მათიაშვილი, 8) დიმიტრი ნიკოლოზის ძე შემელევი, 9) იაკობ მიხეილის ძე გაავა, 10) იასონ დიმიტრის ძე მარტაია, 11) ამბერკი ივანეს ძე დუმბაძე, 12) სერგო მარქარის ძე ბოჭორიშვილი, 13) კონსტანტინე საბას ძე ვაშაკიძე, 14) ალექსანდრე დიმიტრის ძე დევდარიანი, 15) ივანე ერასტის ძე ბერძენიშვილი, 16) ნესტორ პავლეს ძე არჩვაძე, 17) ვლადიმერი მათეს ძე თენეიშვილი, 18) პალადი ალექსის ძე დარახველიძე, 19) გიორგი კონსტანტინეს ძე გაზუნია, 20) მიხეილ ნიკოლოზის ძე ცუცქირიძე, 21) სიმონ გერასიმეს ძე გრიგოლია, 22) გრიგოლ ტაყტალაკვაძე, 23) ნიკოლოზ გიორგის ძე ღლონტი.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ლიზა თეიმურაზის ასული, ლევან იოსების-ძე პატარა დაიკო ბაბუცა, ბიძა ალექსანდრე იოსების-ძე, ბიცოლა ნინა სეითის ასული კერესელიძეები· ნათესავები ვასილ, ვარლამ კენჭაძეები და ამბაკო ჯოხაძე, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ა. წ. 22 მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პატარა

სულხან (უჩიკა) ლევანის-ძე კერესელიძე

რომლის გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 24 მაისს, დღის პირველ საათზე ქაშვეთის ეკლესიიდან, დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 2823

გულდათუთქული მეუღლე ნადია ანტონის ასული და შვილი ევგენი ჭყონიები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს და ნაცნობებს პირველის დაუვიწყარი მეუღლის და მეორეს მამის

ვასო იოსების-ძე ჭყონიას

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფ. ხაჯალიაში, ა. წ. 24 მაისს. 2825

გაუბედურებული ცოლი ნინა პატარა შვილებით: მარუსია, კლარა და პაწია ვაჟიშვილით, უბედური მოხუცი მამა ივანე, გულდათუთქულნი ძმები: ესე, ისაკი და ლუკა აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს და მოკეთეებს, რომ ორმოცი დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მარად დაუვიწყარი

ერმილე ხინველი

რომლის დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს, ა | წ. 25 მაისს სოფ. უჩხობში სტეფან-წმიდის ეკლესიის სასაფლაოზე. ნ. 1—1

ულრმესად დამწუხრებულნი, მეუღლე იულია, მამა იაკობი, დედა მარიამი, ბებია მართა. ძმები: ნოე, მიშა, და ალიოშა, და მავრა ნეფარიძენი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს რომ ოთხშაბათს, 25 მაისს, ერთი წლის თავზე, უდროვოდ დაკარგულ

ივანე (ვანიკო) ნეფარიძის

მოსაგონრად გადახდილი იქნება პანაშვიდი სოფ. შუქრუთის ეკლესიაში ქ. ჭიათურა

სია იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

(გაგრძელება № 4).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმოოს საგანი	ძირითადი კაპიტალი	სარეწავო მოწმობის ხარისხი
114	5 აპრ. 1927 წ.	საგინოვი, სერგო მიკირტიჩის-ძე	თბილისი, წითელი მთის ქუჩა № 22.	ღვინის სარდ.	4.000 მ.	მე-4-ხე
115	16 მაისს „	ბაბუევი, ალექსანდრე აბელის ძე	თბილისი, ირაკლის ქუჩა № 10.	სასადილო	500	„
116	„	ადამოვი, არტემ კარაპეტის-ძე	თბილისი, რკინების რიგი № 9.	„	900	„
117	„	სოლოკიანცი, ზაქარია კარაპეტის-ძე	თბილისი, მილუტინის ქუჩა № 13.	გასტრონ. მაღ.	10.000	„
118	„	ლაღიძე, მიტროფანე ერმოლოზის-ძე.	თბილისი, საშა წულუკიძის ქუჩა.	ქარხანა ხელოვნურ მინ. წყლების	10.834	მე-5-თე
119	„	„ „ „	თბილისი, რუსთაველის გამზირი № 18.	გრილ სასმელთა სავაჭრო	3.263	მე-4-ხე
120	„	ბეიტრიშვილი, ალექსანდრე მიხეილის-ძე	თბილისი 19 თებერვლის ქუჩა № 73.	სასადილო	700	
121	„	ყაზაროვი, კარაპეტ ბეგდარის-ძე	თბილისი, კახეთის მოედანი № 13.	„	282	„
122	„	ციხისელი, კონსტანტინე ნესტორის-ძე	თბილისი, ძნელაძის ქუჩა № 15.	„	670	„
123	„	ოქროევი, ლევან გიორგის-ძე	თბილისი, საბჭოს ქუჩა № 18.	„	800	„
124	„	სიხარულიძე, ალექსანდრე ალმასხანის-ძე	თბილისი, ლენინის ქუჩა № 14.	„	500	„
125	„	ფარსადანოვი, სერგო ვასილის-ძე	თბილისი, ლენინის ქუჩა № 4.	„	600	„
126	„	აპრესოვი, გრიგოლ ზაქარიას-ძე	თბილისი, ბაყლის ქუჩა № 14.	„	350	„
127	„	თბილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივი	თბილისი, საყასბოს ქუჩა № 15.	მაღ. 33	ს. თ. არა აქვს	„
128	„	კერვალიშვილი, ბიქტორ ივანეს-ძე	თბილისი, საბჭოს ქუჩა № 104.	სასადილო	600	„
129	„	ჭიჭინაძე, გიორგი მიხეილის-ძე	თბილისი, მალაკნის ქუჩა № 14.	„	800	„
130	„	მარკაროვი, არშაკ არუთინის-ძე	თბილისი, მეტეხის ქუჩა № 33.	„	560	„
131	20 „	აბაშიძე, ივანე იოსების-ძე.	თბილისი, კლარა ცეტკინის ქუჩა № 176.	„	530	„
132	„	ქარელოვი, კარაპეტ სერგოს-ძე.	თბილისი, ბაყლის ქუჩა № 14.	„	470	„
133	„	ლელაშვილი, ვასილ გიორგის-ძე.	თბილისი, ლენინის ქუჩა № 29.	„	700	„
134	21 „	გველესიანი, იაკინთე გიორგის-ძე.	თბილისი, საბჭოს ქუჩა № 104.	„	400	„
135	„	მღებრიშვილი, გეურქ სოსიას-ძე.	თბილისი, პუშკინის ქუჩა № 29.	„	600	„
136	„	მირაქოვი, გეურქ წყალობის-ძე.	თბილისი, მუხრანის ქუჩა № 3.	„	600	„
137	„	გაბრიელოვი გეურქ ესტატეს-ძე.	თბილისი, კახეთის ქუჩა № 38.	„	1.800	„
138	„	არგანაშვილი, გიორგი ზაქარიას-ძე.	თბილისი; კახეთის ქუჩა № 4.	„	400	„
139	„	ციხისელი, პავლე ნესტორის-ძე.	თბილისი, ლენინის ქუჩა № 31.	„	900	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**

ნ. 1228.

სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
0—14 ნ. 1094

ჰოლა ნეგრი, ადოლფ მენჯუ, კონვეი ტირლ
მხატვრული შედევრში
„ბელლა დონნა“

დადგმის მეორე კვირა საუკეთესო სურათი
„დეკაბრისტები“ 8 ნაწილად
რეჟისორი—ივანოვსკი
(ცნობილი სურათის „სასახლე და ციხე“-ს დამდგმელი)
სურათი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს
ყოველ დღე ანშლაგები!!!

ცნობილი სურათის
„ნიუ-იორკის საიდუმლოებანი“-ს
ახალი ეკზემპლიარი 6 სერიათ 35 ნაწ. 1 და 2 სერია ერთად. მთავარ როლში პირლ უაიტ

ანონსი: ამ დღეებში „ქალი ნილაბში“ კოვანკოს, რიმსკის და კოლინის მონაწ.

ადონ

რა არის ადონი?

2—1 ნ. 1231

გაზეთ „კომუნისტზე“ ხელის მოწერა მიიღება

1. ქ. ოზურგეთში — — — პ. ინწკირველთან.
2. ს. შემოქმედში — — — ჩ. სიმონიშვილთან.
3. ს. ლიხაურში — — — კ. გორდელაძესთან.
4. ბახვში — — — ვ. ანდღულაძესთან.
5. ს. ნაგომარში — — — ა. კოპლატაძესთან.
6. ს. ხიდისთავში — — — კ. კალანდაძესთან.
7. ს. ჩოხატოურში — — ი. ჯინჭარაძესთან.
8. ს. ცხემლისხიდზე — — ი. კობიძესთან.
9. ს. ნატანებში — — — ს. ქინქლაძესთან
10. ს. სუფსაში — — — ყ. სოხაძესთან.

2—1 „კომუნისტი“ მთავარი კანტორა

ვანო გოთუა

აცხადებს ივანე არობელიძის საყურადღებოდ, რომ ის გამოცხადდეს მასთან, რომ მიიღოს დახმარება მისი ანგარიშების გასასწორებლად და მის მიერ მიღებულ ვალდებულებათა ასასრულებლად.

გამოცხადების ვადა სამი კვირა. 3—1

პარიზის ჭრა-კერვის

უნივერ. დამთავრებული

მარო რევიშვილი

ჩამოვიდა და ღებულობს მოწაფეებს და დაკვეთებს საშუალო ფასებში. აქვს პარიზის ჭრა-კერვის დიპლომი. პირობების გაგება შეიძლება ყოველ-დღე ჭავჭავაძის ქუჩა № 25 მარქაროვის სახლებში. ნ. 1222

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების. 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ კრუზენშტერნის ქ.) 25—5

პროფესორმა
გრ. მ. მუხაძემ
ლენინგრადში გამგზავრების გამო
შესწყვიტა
ავადმყოფების მიღება 15 ივნისამდე. 10—1

მზადდება დასაბეჭდათ
ს. დევდარიანი
ქართული ლიტერატურის და საზოგადოებ. აზრის ისტორია
მე-19—20 საუკუნე

მთავარი თეზისები:

I.

საქართველო მე-18 საუკუნის დამლევს, საქართველო და რუსეთი.

ქართული ლიტერატურა მე-18 საუკუნის დამლევს.

II.

საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

საქართველოს გაერთიანება.

საზოგადოებრივი კლასები, საზოგადოებრივი ურთიერთობა, საზოგადოებრივი მოძრაობა, მხატვრული მწერლობა, კრიტიკა, პრესა.

III.

საქართველო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ლიტერატურა და მარქსიზმი.

მხატვრული მწერლობა, კრიტიკა, პრესა.

IV.

მე-20 საუკუნე.

საქართველო მე-20 საუკუნის დამდეგს.

ლიტერატურული მიმდინარეობები მე-20 საუკუნეში.

ქართული ლიტერატურა 1905 წლამდე.

ქართული ლიტერატურა 1905—1917 წლ.

ქართული ლიტერატურა 1917—1920 წლ.

წიგნი გამოვა ორ ტომად.

დაწვრილებით პროგრამა გამოცხადებული იქნება ახლო მომავალში. ნ. 1220 2—1

სურენ ქოხატაურის შარა-გზის გარშემო

ოთხშაბათს 25 მაისს საღამოს სრულ 6 საათზე შრომის სასახლის მცირე დარბაზში (რუსთაველის გამზირზე)

მოწვეულია—ამ ჟამად ქალაქში მცხოვრებ ბუკისციხის თემის და სურების სამივე თემების მუშა-მოსამსახურეთა

საერთო კრება

კრებაზე დასწრება სავალდებულოა ქალაქ თბილისში მყოფ ყველა ზემოდ აღნიშნულ თემების პირებისათვის. აგრეთვე ვთხოვთ კრებას დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

1. გიორგი რამიშვილი
2. ან. დოლიძე
3. თ. დოლიძე
4. გერ. მგალობლიშვილი
5. გრ. მგალობლიშვილი
6. ტ. მგალობლიშვილი
7. სერგ. მეგრელიშვილი
8. თ. ჩიჩუა

აგრეთვე დასწრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირთ. სხდომა გაიხსნება სრულ 6 საათზე; თხოვნაა გამოცხადდენ დაუყოვნებლივ.

3—1 ნ. 1221 კრების მომწვევი კომისია

---

24 მაისს, სახელმწიფო კონსერვატორიაში
შესდგება სახელმწიფო ოპერის მსახიობთა
ნ. ქუმსიაშვილის და გ. ვენაძის გამოსათხოვარი კონცერტი

სახელმწ. ოპერის მსახიობთა **ა. დანელიანის** და **ე. კაპელნიცკის** მონაწილეობით.

როიალთან დამს. მსახიობი **ნ. გრიქუროვა.**

დასაწყისი საღამოს 9 საათ. ნ. 1230

სამხედრო საფონდო ბიურო
(ВОЕНФОНДБЮРО)

თბილისში ჰყიდის სხვადასხვა სისტემის 33 მსუბუქ ავტომობილს (მათ შორის 9 ფორდის სისტ.), ერთს ხახევრად საბარგო ავტომობილს („პეჟო), **რკინის ნიჩბების დიდ პარტიას და სანაღმო დენთს.**

ავტომობილებზე და ნიჩბებზე სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებისაგან და კოოპერატივებისაგან განცხადებები მიიღება **15 ივნისამდე.** ამ ვადის გასვლის შემდეგ დაშვებულ იქნება კერძო პირებზე გაყიდვა.

ფასების გაგება შეიძლება პირველ ივნისის შემდეგ რწმუნებულთან, ჯორჯიაშვილის ქუჩა 10, ტელეფ. 18—11. დათვალიერება 8 და 15 ივნისს დილის 10 საათიდან. ნ. 1227

აგარაკ ბახმაროს
სახლის პატრონთა ბიურო

ამით აცხადებს მოაგარაკეთა საყურადღებოთ, რომ მომავალ სეზონისათვის აგარაკზე იშოვება საქირაოდ საკმარისი რიცხვი ოთახებისა. ბინები შეკეთებული და მოწყობილი იქნება გასულ წელთან შედარებით. ნიხრი რომლის დაცვას თვალყურს ადევნებს, როგორც კურორტის ადმინისტრაცია, აგრეთვე ბიუროც, დადგენილია შემდეგი

I ხარისხის 1 კვად. არშინი 1 მ. 50 კ.
II „ „ „ „ 1—25
III „ „ „ „ 1
IV „ „ „ „ —75

ბინების დაქირავების შესახებ განცხადებით შეიძლება მიმართოთ ქ. ოზურგეთში—1905 წლ. ქუჩა № 11, ილიკო ქარციველაძეს, სოფ. ბახვში აფრასიონ ლომთათიძეს, ჩოხატაურში მაქიმედ კობალაძეს ან ვაკი-ჯვარში—ილია კვერღელიძეს. 1232

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
ბ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

ექიმი
კონსტ. ს. ფონ-ირტელი

საშარდე, სასქესო ორგანოების, ვენერიული, სიფილისი, კანის ავადმყოფობანი და ქირურგიული ავადმყოფობანი (სიმსივნე, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, სიფილისი, სუსუნატი). ელექტრონით წამლობა. პლეხანოვის გამზ. 10, ვორონცოვის მახლობლათ. ავადმყოფები მიიღება დილის 7 საათიდან შუადღის 12-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ქალები მიიღება 2-დან 3 საათამდე. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

დავკარგე სასწავლებლის დამთავრების მოწმობა—ამბროსი მატკავას სახელზე, ჩ. გ. 2815

დავკარგე ჯირაობის ბარათი № 658, და ბინის ნასყიდობის მოწმობა № 689, ნინა ივანეს ასული ედიგარაშვილის სახელზე, ჩ. გ. თუ ვინმემ იპოვნა, ვთხოვ მოიტანოს აფთიაქში, მუხრანის ხიდის წინ, გვანცელაძესთან. 2818

დავკარგე სურსათ-გემოვნების კავშირის საწევრო წიგნაკი № 2565 მუშკოოპის წიგნაკი 1399, საანგარიშო წიგნაკი № 695 და პირადობის მოწმობა კოლა ქრისტეფორესძე ინასარიძის სახელზე, ჩ. გ. 2820

დავკარგე განათლების მუშ. კავშირის წიგნაკი № 14052 იაკო პ. ახვლედიანის სახელზე, ჩ. გ. 2817

დავკარგე პირადობის მოწმობა № 837 გეურქა გეუას-ძე მაჭკალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2816

დავკარგე სარეწავი მოწმობა № 6702 შიო დავლაშერიძეს სახელზე, ჩ. გ. 2822

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 1192 ევგენი იაკობისძე კუხალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2821

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი (ფ. № 4) № 819—ალექსანდრე ნიკოსძე შილორავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1226

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი სერგო ახვლედიანის სახელზე, ჩ. გ. 2824

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.